ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ავტორიტარიზმის წნეხის ქვეშ:

რეპრესია, წინააღმდეგობა და გრძოლა გადარჩენისთვის

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ავტორიტარიზმის წნეხის ქვეშ: რეპრესია, წინააღმდეგობა და ბრძოლა გადარჩენისთვის

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
თბილისი, 2025

კვლევაზე პასუხისმგებელი პირი: თამთა მიქელაძე
კვლევის ავტორი: ლინა ღვინიანიძე
კვლევის ინტერვიუერები: ლინა ღვინიანიძე, ნარგიზა არჯევანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ლინა ღვინიანიძე, „ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები ავტორიტარიზმის წნეხის ქვეშ: რეპრესია, წინააღმდეგობა და ბრძოლა გადარჩენისთვის“ 2025*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

https://socialjustice.org.ge/
info@socialjustice.org.ge
www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

1. შესავალი 6
2. კვლევის საგანი და მეთოდოლოგია 11
3. კონტექსტის მიმოხილვა 15
4. კვლევის ძირითადი მიგნებები 32
5. მტრული საკანონმდებლო ჩარჩოსა და რიტორიკის გავლენა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაზე 39
5.1. ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და დიალოგის სივრცეების გაქრობა და საქმიანობის რესტრატეგირების სირთულეები 41
5.2. ცვლილებები საზოგადოებრივ განწყობებში და თემთან მუშაობის სირთულეები 51
5.3. შიდა ორგანიზაციული სირთულეები: ფინანსური რესურსებისა და საქმიანობის შემცირება, ორგანიზაციული ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების დაკარგვა 57
5.4. სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკები, ფიზიკური უსაფრთხოების გამოწვევები და მზარდი ემოციური წნეხი: თანამშრომელთა გადინება, თვითშეზღუდვა 70
6. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობის განსხვავებული შესაძლებლობები 78
6.1. პირველი დარტყმა: ე.წ. „რუსული კანონის“ ძალაში შესვლა და მისი გავლენა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე 79
6.2. მეორე დარტყმა: ე.წ. „აგენტების შესახებ“ კანონის გავლენა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე 85
6.3. მესამე დარტყმა: ცვლილება „გრანტების შესახებ“ კანონში და მისი გავლენა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე 86
6.4 მეოთხე დარტყმა: სამოქალაქო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშების დაყადაღება 87
7. სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგობა და ბრძოლა გადარჩენისთვის 89
7.1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგობისა და გადარჩენის გზების კოლექტიური ძიება 90
7.2. დონორი ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გადარჩენის პროცესში 99
7.3. ხელისუფლების შესაძლო მიზნები და სექტორის მომავალი 107
8. დასკვნა 110
დანართი #1: ინტერვიუები რესპონდენტებთან 113
გამოყენებული წყაროები: 115
გამოყენებული მედია წყაროები: 120

1. შესავალი

საქართველოში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები (შემდგომში: სამოქალაქო ორგანიზაციები/საზოგადოებრივი ორგანიზაციები) მათი არსებობის მანძილზე პირველად დადგნენ ეგზისტენციალური გამოწვევების წინაშე. საქართველოს დემოკრატიული უკუსვლისა და ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესი დემოკრატიული ინსტიტუტების, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დამცავი ნორმატიული გარემოს სწრაფი და შეუქცევადი ეროზიის პარალელურად, ასევე მოიცავდა ხელისუფლების მიზანმიმართულ და განგრძობად ძალისხმევას საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესავიწროებლად და გასაჩუმებლად. „ქართული ოცნების“ პოლიტიკა, რაც დამოუკიდებელი და ავტონომიური საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების განადგურების ამოცანებს გულისხმობდა, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ქვეყნის ავტოკრატიზაციის პროცესში. შედეგად, სამოქალაქო სივრცის შეზღუდვისა და რეპრესირების მრავალწლიანი ძალისხმევა მძიმედ აისახა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საარსებო გარემოზე. ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი 2024 წლის გაზაფხულის შემდეგ, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელისუფლების დამანგრეველი პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის, საზოგადოებრივი საქმიანობის გადარჩენისა და ორგანიზაციული ადაპტაციის რეჟიმში ფუნქციონირებდნენ.

საქართველოში დემოკრატიის კრიზისის ცხადი ნიშნები 2020 წლიდან ჩნდება, რაც „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლიდან მესამე საპარლამენტო არჩევნების შედეგების კვალდაკვალ, ქვეყანაში შექმნილ ღრმა პოლიტიკურ კრიზისსა და პოლარიზაციას უკავშირდება. ერთ-ერთი პირველი სახელდება საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის შესახებ ევროპარლამენტის 2022 წლის ანგარიშში ჩნდება, რომელიც 2020 წლიდან დემოკრატიული პრინციპების, პოლიტიკური პოლარიზაციის, დემოკრატიული ინსტიტუტების რღვევისა და მმართველი გუნდის ხელში ხელისუფლების კონსოლიდაციის სახიფათო ტენდენციებსა და დემოკრატიის მიმართულებით მნიშვნელოვან უკანდახევაზე მიუთითებს.[1]

უკრაინის ომის კონტექსტში 2022 წლის მარტში საქართველომ ევროკავშირის წევრობის განაცხადი გააკეთა. არსებული მძიმე გამოწვევების მიუხედავად, 2023 წლის დეკემბერში საქართველომ კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიიღო.[2] ევრო-

1 European Parliament, Association agreement between the EU and Georgia European implementation assessment (update), 2022.

2 European Council meeting (14 and 15 December 2023) – Conclusions, pr.16.

კავშირის საბჭოს გადაწყვეტილება მოიცავდა მოთხოვნას ქვეყნის მხრიდან ცხრა რეკომენდაციის შესრულების თაობაზე, რაც გულისხმობდა საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესებას, სასამართლოს დამოუკიდებლობისკენ გადადგმულ ნაბიჯებს, პოლარიზაციის შემცირებასა და სხვა კრიტიკული მნიშვნელობის სფეროებში პროგრესის აუცილებლობას. საქართველოს რეკომენდაციები მეტწილად არ შეუსრულებია,[3] რასაც თან ახლდა ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მიმართ მზარდი მტრული სახელისუფლებო რიტორიკა.[4] 2024 წლის 26 ოქტომბრის მანიპულირებული საპარლამენტო არჩევნებიდან[5] ერთ თვეში, 2024 წლის 28 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ საჯაროდ განაცხადა ხელისუფლების გადაწყვეტილების შესახებ, რაც ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნის საკითხის საქართველოს დღის წესრიგიდან მოხსნას გულისხმობდა.[6] პრემიერ-მინისტრის ამ განცხადებამ და მისმა თანმდევმა მოვლენებმა, რაც ევროკავშირისკენ ქვეყნის გაცხადებული კურსის მიზანმიმართულ საბოტაჟს წარმოადგენდა, ქვეყანა უმძიმეს პოლიტიკურ კრიზისში შეიყვანა, რის საპასუხოდაც წელიწადზე მეტია გრძელდება საქართველოს მოქალაქეების მშვიდობიანი და უწყვეტი წინააღმდეგობა.[7] 2024 წლის ნოემბერ-დეკემბერში მიმდინარე მრავალათასიანი სახალხო დემონსტრაციების ჩასახშობად ხელისუფლებამ უმძიმეს ძალადობას მიმართა, რაც ავტორიტარული შემობრუნების პროცესში ერთ-ერთ გარდამტეხ ეტაპად უნდა მივიჩნიოთ. საქართველოს სახალხო დამცველი, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციები ამ მოვლენებთან კავშირში აღწერენ მოქალაქეებზე უპრეცედენტო ძალადობის სისტემურ პრაქტიკას, რაც დღემდე გამოუძიებელია. სახალხო დამცველის მიხედვით,[8] „2024 წლის 28 ნოემბრიდან 3-4 დეკემბრის ღამის ჩათვლით

3 სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, სტატუსმეტრი 2.0 – როგორ მიდის საქართველო ევროკავშირის 9 ნაბიჯის შესრულებისკენ, 2024.

4 მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, 2024.

5 H. Gutbrod, A Dozen Daggers: How Georgia's 2024 Elections Were Systematically Rigged, 2024.

6 Civil Georgia, „ქართული ოცნება" ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს დღის წესრიგიდან ხსნის", 2024.

7 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სოფო ზვიადაძე, „ეს წინააღმდეგობა იწყება გამარჯვებიდან" – დაუსრულებელი პროტესტის კვლევის ჩანაწერები, 2025.

8 სახალხო დამცველის ანგარიშის მიხედვით სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული საპროტესტო აქციებზე დაკავებული პირებიდან არასათანადო მოპყრობის შესახებ 2024 წლის აპრილ-მაისის აქციებზე – 51.1% პირი უთითებდა, ხოლო „2024 წლის 28 ნოემბრიდან 2025 წლის 1 მარტამდე სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ მონახულებული პირებიდან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა 60%; ამასთანავე, ზამთრის აქციების დაშლის პირველ დღეებში – 2024 წლის 29 ნოემბრიდან – 2 დეკემბრის პერიოდში, მონახულებული პირებიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე 79.5%, ხოლო 2025 წლის 2-3 თებერვლის შეხვედრებისას 25 პირიდან 22, ე.ი. 88% აცხადებდა, რომ არასათანადო მოპყრობას დაექვემდებარა". წყარო: საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, გვ. 77.

და 6-7 დეკემბრის ღამეს მშვიდობიანი საპროტესტო აქციების უკანონო დაშლისას, ასევე, 2025 წლის 2 თებერვალს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წევრების მხრიდან სავარაუდო წამებას, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას დაექვემდებარა თითქმის ყველა დაკავებული".[9] პოლიციის მხრიდან ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის მასიურ პრაქტიკაზე უთითებს ადგილობრივი უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ მომზადებული ერთობლივი ანგარიშიც.[10]

საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყნის დემოკრატიული უკუსვლის შეუქცევადი პროცესის პასუხად, 2024 წლის ივნისში ევროკავშირის საბჭომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის ფაქტობრივი შეჩერების თაობაზე განაცხადა.[11] მოგვიანებით, ევროკავშირის საბჭოს 2025 წლის გაფართოების ანგარიშმა, რომელიც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია ევროკავშირში ქვეყნის გაწევრიანების პროცესში, უკიდურესად მძიმედ შეაფასა საქართველოს მდგომარეობა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მნიშვნელოვნად გაუარესებული ვითარების გამო. ანგარიში არაერთ კრიტიკულ საკითხთან ერთად აღწერდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეზღუდვის მიზნით მიღებულ საკანონმდებლო ცვლილებებსა და ორგანიზაციების რეპრესირების, დევნისა და შევიწროების მძიმე გარემოს.[12] შედეგად, ამ დრომდე საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი არათუ დაზიანებული, ფაქტობრივად შეჩერებულია.

საქართველოს უპრეცედენტოდ სწრაფ რეგრესსა და ავტოკრატიზაციის აჩქარებულ პროცესზე მიუთითებს არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ინდექსი. მაგალითად, Freedom House, რომელიც საქართველოს ჰიბრიდული რეჟიმების კატეგორიაში ათავსებდა, 2022 წლიდან დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებაზე და არაერთი ფუნდამენტური მიმართულებით საქართველოს

9 საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024, გვ. 89.

10 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი. 2025, გვ.46-62.

11 European Council conclusions, 27 June 2024, pr.36.

12 European Commission, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2025 Report Accompanying the document COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS 2025 Communication on EU enlargement policy, Brussels, 4.11.2025.

მაჩვენებლების დრამატულ ვარდნაზე უთითებს,[13] რაც 2025 წლის ანგარიშის მიხედვით, განსაკუთრებულად საშიშ ნიშნულს მიუახლოვდა.[14] 2024 წლის დემოკრატიის ანგარიშის თანახმად, უკანასკნელ პერიოდში ავტოკრატიზაციის აჩქარებული პროცესის გათვალისწინებით, საქართველომ ელექტორალური დემოკრატიის ქვეყნებიდან ელექტორალური ავტოკრატიის ქვეყნების კატეგორიაში გადაინაცვლა.[15]

ამდენად, კვლევისთვის მნიშვნელოვანია ლიტერატურა, რომელიც იხელთებს საარჩევნო ავტორიტარიზმის ჩარჩო კონცეფციას, რომელიც ამ ტიპის რეჟიმების ცენტრალურ მახასიათებლად და რეჟიმის ლეგიტიმაციის მთავარ ინსტრუმენტად ინსტიტუციური ფასადისა და არჩევნების გამოყენებას მიიჩნევს, რაც არა დემოკრატიის, არამედ ავტორიტარული მმართველობის შენარჩუნების მიზანს ემსახურება. სწორედ ეს განასხვავებს საარჩევნო ავტორიტარიზმებს ე.წ. დახურული ავტორიტარიზმებისა და კონკურენტული დემოკრატიებისაგან.[16] კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანია ლიტერატურა, რომელიც ერთმანეთისგან განასხვავებს საარჩევნო ავტორიტარიზმის სხვადასხვა გამოვლინებებს დეფექტური დემოკრატიის, ჰიბრიდული რეჟიმებისა თუ ახალი ავტორიტარიზმის სახელდებებით,[17] ან იმგვარ მახასიათებლებს აღწერს, რაც არჩევნების თავისუფლებისა თუ საარჩევნო მანიპულაციის ხარისხის, რეჟიმის შენარჩუნების/მდგრადობის სიცხადისა და დემოკრატიზაციის საფრთხეების გათვალისწინებით, ერთმანეთისგან განასხვავებს საარჩევნო ავტორიტარიზმის ჰეგემონიურ და კონკურენტულ ფორმებს.[18] კვლევისთვის ასევე მნიშვნელოვანია ტექსტები, რომელიც საქართველოს გამოცდილების კონცეპტუალიზებას ცდილობს დემოკრატიული უკუსვლის, დე-დემოკრატიზაციის თუ საარჩევნო ავტორიტარიზმის სხვადასხვა გამოვლინებების აღსაწერად გამოსადეგი თეორიული ჩარჩოებით, რაც საქართველოს შემთხვევაში ავტორიტარიზმის კონსოლიდაცი-

13 Freedom House, NATIONS IN TRANSIT 2022, From Democratic Decline to Authoritarian Aggression, 2022. pg. 22. Freedom House, NATIONS IN TRANSIT 2023, War Deepens a Regional Divide, 2023. pg. 26, 29.

14 Freedom House, FREEDOM IN THE WORLD 2025, The Uphill Battle to Safeguard Rights, 2025. pg.4

15 V-DEM Institute, DEMOCRACY REPORT 2025, 25 Years of Autocratization – Democracy Trumped?, pg. 16. 21.

16 Schedler, A., ed. Electoral Authoritarianism: The Dynamics of Unfree Competition, Lynne Rienner Publishers, 2006. pg. 3-5.

17 Ibid.

18 Levitsky, S. & Lucan A. W. Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War. Cambridge Univesrity Press, 2010. Bernard M, Edgell A.B., Lindberg S. I. Institutionalising Electoral Uncertainty and Authoritarian Regime Survival, European Journal of Poliitical Research, 2019.

ისკენ სწრაფვისა თუ ჰეგემონიური საარჩევნო ავტორიტარიზმის მნიშვნელოვან ნიშნებზე მიუთითებს.[19]

ლიტერატურაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს კვლევები, რომელიც ამგვარი ჰიბრიდული რეჟიმების მიერ ავტოკრატიზაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოებრივი სივრცის შევიწროების, შეკუმშვის, განადგურებისა თუ მოთვინიერების სტრატეგიებს შეისწავლის, რაც კონტექსტების მიხედვით განსხვავებულია და მნიშვნელოვან მრავალფეროვნებასა და კომპლექსურობას აჩვენებს. ასევე მრავლად ვხვდებით კვლევებს, რომელთა მიზანია რეჟიმის მხრიდან სამოქალაქო ველის შეზღუდვის კვალდაკვალ შეისწავლოს ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების მიერ გამოყენებული საპასუხო სტრატეგიები, რაც ასევე მრავალფეროვანი და არაერთმნიშვნელოვანია და ხშირად მორგების, კოოპტაციის, გაქრობის/უკან დახევისა თუ წინააღმდეგობის სტრატეგიებს მიმართავს, რაც საპასუხო მოქმედების რეპერტუარის მრავალფეროვნებასთან ერთად, ხშირად ავლენს საპასუხო მოქმედებების განსაზღვრულობას სხვადასხვა სტრუქტურული მახასიათებლებით.[20]

არსებულ რთულ კონტექსტში, რომელიც საქართველოს და ქართულ საზოგადოებას უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე აყენებს, მნიშვნელოვანია იმის დანახვა, თუ რა ემართება ორგანიზებული ფორმით არსებულ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა როგორც ქვეყნის დემოკრატიზაციის, ისე სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და საზოგადოებისთვის საბაზისო სიკეთეების შექმნისა და შენების პროცესში. წინამდებარე კვლევა სწორედ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობაა.

19 Ph. Fluri & T. Pataraia, Democratic Backsliding and De-Democratization: How the Georgian Dream Party Eroded the Rule of Law, Undermined the Integrity of Independent State Institutions, and Consolidated Power, Connections QJ 23, no 4. 2004,.139-158. Torres-Adán, Á., & Buzogány, A. Democratic backsliding in the shadow of crises. How pandemics, war and democratic regression impact attitudes towards democracy in Georgia. Contemporary Politics, 2025, 1–16. ზედელაშვილი დ. საქართველოს დემოკრატიზაცია ავტორიტარიზმის ჩიხში. Gnomon Wise, 2024.

20 Chimiak, G., Kravchenko, Z. & Pape, U. Civil Society and the Spread of Authoritarianism: Institutional Pressures and CSO Responses. Voluntas 35, 221–225, 2024. Gerő, M., Fejős, A., Kerényi, S., & Szikra, D. From Exclusion to Co-Optation: Political Opportunity Structures and Civil Society Responses in De-Democratising Hungary. Politics and Governance, 11(1), 2023. Yabanci, B., Turkey's tamed civil society: Containment and appropriation under a competitive authoritarian regime, Journal of Civil Society, 15:4, 285-306, 2019. Chulitskaya T., Belarusian Civil Society Inside and Outside of the Country, Stocholm Center for Easter European Studies, SCEEUS Guest Commentary, 2024.

2. კვლევის საგანი და მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია საქართველოს ავტორიტარული შემობრუნებისა და მისი კონსოლიდაციის აჩქარებულ პროცესში მოიხელთოს, თუ როგორია ხელისუფლების მიმართება დამოუკიდებელი, ავტონომიური და ორგანიზებული ფორმით არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ, თუ რა გავლენა იქონია ხელისუფლების მიზანმიმართულმა პოლიტიკამ მათ ფუნქციონირებაზე და როგორია არსებულ პოლიტიკურ კონტექსტში ორგანიზაციების მოქმედებისა და შეცვლილ გარემოსთან მიმართების სტრატეგიები.

კვლევა ქვეყნის მასშტაბით მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გამოცდილებებს შეისწავლის და კვლევის მონაწილეების დაკვირვებების მოხელთების გზით ცდილობს ერთის მხრივ აღწეროს, თუ როგორ შეიცვალა პოლიტიკური, სოციალური და დისკურსული ველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ და რა გავლენა იქონია შეცვლილმა და შემზღუდავმა სამართლებრივმა და საარსებო გარემომ ორგანიზაციების არსებობასა და ფუნქციონირებაზე. კვლევა ასევე შეისწავლის, თუ როგორ პასუხობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს და რამ განსაზღვრა მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, გამოყენებული სტრატეგიები, ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობა თუ მოწყვლადობა.

კვლევა პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზს ეფუძნება. კვლევის მიზნებისთვის პირველად წყაროა კვლევის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები, ხოლო მეორად წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები, გამოხმაურებები, კვლევები, ანგარიშები და მედიაში გამოქვეყნებული საჯარო მასალები.

კვლევის არსებითი კომპონენტია საველე კვლევა, რომელიც თვისებრივი მეთოდის გამოყენებით ჩატარდა. თვისებრივი კვლევისთვის შერჩეულ იქნა სიღრმისეული, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს ფორმატი. საველე კვლევამ მოიცვა 30 სიღრმისეული ინტერვიუ (31 რესპონდენტი),[21] რომელთაგან 22 ქალია, ხოლო 9 რესპონდენტი – კაცი. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 5 ექსპერტული ინტერვიუ იმ რესპონდენტებთან,[22] რომელთაც სამოქალაქო სექტორთან დაკავშირებულ სა-

21 ერთი ინტერვიუს შემთხვევაში მკვლევრის კითხვებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის ორი ხელმძღვანელი პირი პასუხობდა.

22 ამათგან ერთ შემთხვევაში ექსპერტულმა ინტერვიუმ რესპონდენტის ექსპერტული გამოცდილების გარდა ასევე მოიცვა რესპონდენტის, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გამოცდილებაც.

კითხებზე მუშაობის ექსპერტული გამოცდილების გარდა, ასევე უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა მიმდინარე პროცესებსა და დისკუსიებში. 25 ინტერვიუ ჩატარდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში იყვნენ ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში – ხელმძღვანელების მოადგილეები ან ორგანიზაციაში არსებული მმართველი კოლეგიური ორგანოების წევრები. ყველა შემთხვევაში, რესპონდენტები უშუალო იყვნენ ჩართულნი მიმდინარე პროცესებში და იღებდნენ ორგანიზაციულ გადაწყვეტილებებს ან მონაწილეობდნენ ამგვარი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კვლევის ფარგლებში 28 საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ მოვახერხეთ ინფორმაციის შეგროვება.[23] რესპონდენტების/საზოგადოებრივი ორგანიზაციების შერჩევისას რამდენიმე თანადროული კრიტერიუმი იყო გამოყენებული, მათ შორის – ორგანიზაციის საქმიანობის პროფილი, ორგანიზაციის სიდიდე და საქმიანობის გეოგრაფიული არეალი (დედაქალაქი/რეგიონები). შედეგად, კვლევამ მოიცვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსხვავებული საქმიანობის პროფილით. არაერთ შემთხვევაში ორგანიზაცია საზოგადოებრივი საქმიანობის რამდენიმე ბუნებას თანადროულად მოიცავდა. ამდენად, გამოკითხული ორგანიზაციების ნაწილის პროფილი შერეულია და ის ქვემოთ ჩამოთვლილ რამდენიმე მიმართულებას აერთიანებდა. ზოგიერთ შემთხვევაში რესპონდენტი ახერხებდა ორგანიზაციის საქმიანობის წამყვანი პროფილის გამოკვეთას. შერეული პროფილის ორგანიზაციების გარდა, კვლევამ მოიცვა ორგანიზაციის შემდეგი ტიპები: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ე.წ. watchdog ორგანიზაციები, ე.წ. think tank ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები, ადგილობრივი ფონდები, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები, პროფესიული კავშირები, პროფესიული ასოციაციები, კვლევითი, სექტორული, ინფრასტრუქტურული და ე.წ. bridging ორგანიზაციები.[24]

23 კვლევის ფარგლებში ორმა რესპონდენტმა ინფორმაცია გაგვიზიარა ორი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შესახებ, რომელთაც ისინი წარმოადგენდნენ.

24 აქ გამოყენებული ინგლისურენოვანი ტერმინების არაერთი განმარტება არსებობს აკადემიურ ლიტერატურაში. თუმცა, დასახელებულ ტერმინებს კვლევაში შემდეგი მნიშვნელობებით გამოვიყენებთ (რაც მათ შორის იმ ორგანიზაციების თვითაღქმასაც ითვალისწინებს, რომლებიც საკუთარ თავს აღნიშნული ორგანიზაციული ტიპის ქვეშ მოიაზრებენ). Watchdog ისეთი ტიპის სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას გულისხმობს, რომელიც ორიენტირებულია საჯარო ინსტიტუტებისა და გავლენის მქონე სხვა აქტორების საქმიანობის შესწავლასა და მონიტორინგზე, რაც უპირატესად პასუხობს გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების მიზნებს. Think tank გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის ისეთ ტიპს, რომელიც ორიენტირებულია საჯარო პოლიტიკის (სხვადასხვა მიმართულების) კვლევაზე, მისი გავლით საჯარო პოლიტიკის ცვლილების ხელშეწყობაზე და გადაწყვეტილების მიმღები პირების კვლევაზე დაფუძნებული ექსპერტიზით აღჭურვაზე; Bridging ორგანიზაცია კი გულისხმობს ისეთი ტიპის სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც ასრულებს დამაკავშირებელ როლს საზოგადოებას/საზოგადოებრივ ჯგუფებს, პოლიტიკის განსაზღვრაზე პასუხისმგებელ სექტორსა და აკადემიურ სექტორს შორის და უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემასა და კოორდინაციას.

ორგანიზაციების სიდიდის განსაზღვრას თავად რესპონდენტები ახდენდნენ და ორგანიზაციას მცირე, საშუალო ან დიდი ზომის ორგანიზაციების კატეგორიას მიაკუთვნებდნენ, რა დროსაც ვთხოვდით გაეთვალისწინებინათ ორგანიზაციების შემოსავლები, თანამშრომელთა რაოდენობა, საქმიანობის მასშტაბი და ორგანიზაციის სიდიდე საქართველოში მოქმედ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მიმართებით განესაზღვრათ. სიდიდის მიხედვით, კვლევამ მოიცვა 8 დიდი ზომის, 10 საშუალო ზომისა და 10 მცირე ზომის ორგანიზაცია. გეოგრაფიული მოცვის თვალსაზრისით, კვლევამ ორგანიზაციების სამი კატეგორია განსაზღვრა: ორგანიზაციები, რომლებიც თბილისში ფუნქციონირებენ, ორგანიზაციები რომელთა ცენტრალური ოფისი დედაქალაქშია, თუმცა აქვთ რეგიონული მოცვა ადგილობრივები ოფისებითა და წარმომადგენლებით და ორგანიზაციები, რომლებიც რეგიონ(ებ)ში ფუნქციონირებენ. ამდენად, კვლევამ მოიცვა 17 ორგანიზაცია, რომელიც დედაქალაქში ფუნქციონირებს (თუმცა, ამ ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა აქტიურად მუშაობს რეგიონებში როგორც სექტორულ, ასევე სათემო საკითხებზე და ფაქტობრივად ფარავს საკითხებსა და ბენეფიციარებს მთელი ქვეყნის მასშტაბით); 6 ორგანიზაცია, რომელიც ოფისებითა და წარმომადგენლობებით დედაქალაქსა და რეგიონებში თანადროულად ფუნქციონირებს და 5 რეგიონული ორგანიზაცია, რომლებიც მხოლოდ რეგიონ(ებ)ში ფუნქციონირებს.

კვლევისას უშუალოდ 28 საზოგადოებრივი ორგანიზაციის სრული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის შეგროვება შევძელით. თუმცა, კითხვარში ერთი სექცია ეთმობოდა რესპონდენტებისგან ინფორმაციის მიღებას მათი პარტნიორი ორგანიზაციების გამოცდილებების შესახებ, რამაც მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობა მოგვცა დედაქალაქსა თუ რეგიონებში მოქმედ დამატებით ათეულობით ორგანიზაციის გამოცდილებაზე.

ინტერვიუები 2025 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში ჩატარდა, მხოლოდ ორი ინტერვიუ ჩატარდა ივლისის ბოლოს. ამდენად, წინამდებარე კვლევა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგომარეობას 2025 წლის ოქტომბრის დასაწყისის მდგომარეობით აღწერს და ამდენად, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ 2024-2025 წლებში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებისა თუ მიმდინარე მოვლენის გავლენის შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

ინტერვიუები ჩატარდა როგორც პირდაპირი, ისე ონლაინ პლატფორმების გამოყენების გზით. საერთო ჯამში, 17 ინტერვიუ ჩატარდა პირდაპირი შეხვედრის გზით, ხოლო 13 მათგანი ონლაინ ფორმატის გამოყენებით. ინ-

ტერვიუების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 90 წუთს. კვლევა მისი მონაწილეების უსაფრთხოებისა და ანონიმურობის დაცვის მიზნით, არ იყენებს რესპონდენტების სახელებს, გვარებს, ორგანიზაციების დასახელებებს, ან იმგვარ მახასიათებლებს, რამაც შესაძლოა გაამჟღავნოს რესპონდენტების ვინაობა. კვლევაზე დანართის ფორმით დართული ინტერვიუების სიაც, მხოლოდ განზოგადებული ფორმით მოიცავს მონაცემებს ჩატარებული ინტერვიუების შესახებ. კვლევაში გამოყენებული ციტირებებისას უმეტესად დაცულია რესპონდენტების თხრობის სტილი. ასევე, ციტირებები მოხმობილია ისე, რომ არ ამხელს კვლევის რესპონდენტის, ან ორგანიზაციის მაიდენტიფიცირებელ ინფორმაციას.

მონაცემების მოპოვების შემდეგ, მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის მიზნით, ინტერვიუების ტრანსკრიპტირებისა და თემატური კოდირების მეთოდი გამოვიყენეთ. დამატებით, ანალიზისას გამოყენებული იქნა მეორადი წყაროების დამუშავების გზით მიღებული ინფორმაცია.

კვლევის შეზღუდვები

კვლევა მხოლოდ ორგანიზებული ფორმით არსებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მდგომარეობის შესწავლას ისახავს მიზნად. ამდენად, შეზღუდული რესურსებიდან გამომდინარე, კვლევამ არ მოიცვა არაფორმალური თუ არაორგანიზებული ფორმით არსებული საინიციატივო ჯგუფები, სამოქალაქო და სოციალური მოძრაობები, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილსა და შემზღუდავი პოლიტიკის სამიზნეებს წარმოადგენენ. კვლევა ასევე არ მოიცავს მედია ორგანიზაციებზე არსებული პოლიტიკის გავლენის შესწავლას, რომელთა არსებობასა და ფუნქციონირებაზე ასევე აისახა შეცვლილი სამართლებრივი, პოლიტიკური და დისკურსული ველი, რაც მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე დამოუკიდებელ შესწავლას საჭიროებს.

3. კონტექსტის მიმოხილვა

საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის პროცესი უკანასკნელ წლებში, რაც არა მხოლოდ ავტორიტარული შემობრუნების ნიშნებში გამოიხატება,[25] არამედ უკვე ცხადად ავლენს ავტორიტარიზმის კონსოლიდაციისკენ მიმართულ ტენდენციებს,[26] ხასიათდება ორგანიზებული სამოქალაქო სივრცის შეზღუდვისა და რეპრესირების მზარდი ტენდენციით. ხელისუფლების თავდაპირველი მოქმედებები რაც სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციისა და მარგინალიზაციისაკენ იყო მიმართული, მოგვიანებით ნაცვლდება დამოუკიდებელი და ავტონომიური სამოქალაქო სივრცის ინსტიტუციური დასუსტებისა და პრაქტიკული განადგურების ამოცანებით, რაც 2024-2025 წლებში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საზოგადოებრივი საქმიანობისთვის უკიდურესად მტრული, შემზღუდავი სამართლებრივი, ფინანსური და ადმინისტრაციული პრაქტიკების შექმნაში გამოიხატა.

მიმოხილვისთვის მნიშვნელოვანია მოკლედ აღვწეროთ ის ნიშნული, საიდანაც იწყება ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების საარსებო სივრცის შევიწროება და მოგვიანებით, მისი არსებითი დაზიანება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში, ორგანიზებული ფორმით არსებული სამოქალაქო სივრცე აღიწერება, როგორც მრავალფეროვანი, აქტიური და მნიშვნელოვანი გავლენის მქონე აქტორი. ამ წლებში საზოგადოებრივი სექტორი საკმაოდ ლიბერალური საკანონმდებლო სივრცის პირობებში თავისუფლად, ხელისუფლებისგან შეზღუდვების გარეშე[27] ვითარდებოდა, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში, ხშირად წამყვან როლს ასრულებდა არაერთი სფეროს რეფორმირებაში და საჯარო დისკუსიებსა და კონსულტაციებში ჩართულობის გზით მონაწილეობდა საჯარო პოლიტიკის განსაზღვრაში.[28] მეტიც, 2016 წლამდე პერიოდში „ქართული ოცნების“ მიერ იქმნება საზოგადოებრივი მონაწილეობის საკანონმდებლო გარანტიები და ინსტიტუციური ფორმატები როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეებზე, რაც მეტად ამყარებს საჯარო პოლიტიკის წარმოებაში საზოგა-

25 L. Fix and C. Kapp, The Dangers of Democratic Backsliding in Georgia, Council on Foreign Relations, 2023.

26 S. Schiffers, The 2024 Elections in Georgia: descent into hegemonic authoritarianism, Heinrich Boell Foundation, South Caucasus Region, Tbilisi, 2024.

27 ევროპის ფონდი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სიტუაციური ანალიზი (ანგარიშის მოკლე მიმოხილვა), 2016, გვ. 1-3.

28 Europe Foundation, Situation Analysis of Civic Space in Georgia, 2023. pg.4.

დოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის მექანიზმებს.[29] 2016 წლამდე პერიოდში, სექტორის მთავარ პრობლემად საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხი, შიდა დემოკრატიის და მმართველობის სისუსტე, სექტორის შიგნით (ცენტრი/რეგიონი) რესურსების არათანაბარი გადანაწილება და საერთაშორისო განვითარების დახმარებაზე მაღალი დამოკიდებულება სახელდება.[30]

კვლევა აჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების მიმართ ხელისუფლების მიდგომის ცვლილების პირველი ნიშნები ჯერ კიდევ 2016 წლიდან ჩნდება. მიმართებების ცვლილებას ამ პერიოდისთვის ეპიზოდურობა ახასიათებს, რაც სოციალურ ქსელებში ცალკეული უფლებადამცველების მიზანმიმართულ დისკრედიტაციაში, უსაფრთხოების სამსახურების მიერ მათი კომუნიკაციისა და გადაადგილების უკანონო კონტროლში, მოგვიანებით, ცალკეული ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების მიმართ ვერბალურ თავდასხმებსა და სხვა მეტ-ნაკლებად ინდივიდუალურ მიზნობრივ ქმედებებში გამოიხატებოდა.[31] ამ ქმედებებმა მოგვიანებით მეტად ორგანიზებული ფორმები მიიღო, რაც უსაფრთხოების სამსახურების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების კომუნიკაციის ტოტალურ უკანონო კონტროლში,[32] თუ სოციალური მედიის გამოყენებით საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ ნეგატიური მოსაზრებების გავრცელებაში გამოიხატებოდა, რაც ხელისუფლებასთან დაკავშირებული სუბიექტების მიერ, კოორდინირებული და სიმულაციური მასობრივი მოქმედებების გზით ხორციელდებოდა.[33] 2022 წელი ხელისუფლების მიერ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მარგინალიზაციისა და მიზანმიმართული ვერბალური თავდასხმების გაძლიერების თვალსაზრისით გარდამტეხი პერიოდია,[34] რაც მადისკრედიტირებელი საინფორმაციო ნარატივის ინტენსიურ წარმოებასა და გავრცელებას გულისხმობს და სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ აშკარად მტრულ და გამრიყავ მიმართებას აყალიბებდა. ეს

29 ევროპის ფონდი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სიტუაციური ანალიზი (ანგარიშის მოკლე მიმოხილვა), 2016, გვ. 5.

30 იქვე, გვ. 2-3.

31 Europe Foundation, Situation Analysis of Civic Space in Georgia, 2023. pg.30.

32 ადამიანის უფლებათა ცენტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების სამართლებრივი შეფასება, 2021, გვ.4. https://hrc.ge/files/176mosmenebi-geo.pdf. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.)

33 Civil Georgia, Facebook Removes Hundreds of Georgia Govt Linked Pages for ‘Coordinated Inauthentic Behavior’, 2019, https://civil.ge/archives/332443. (Accessed 28.12.2025).

34 ნინო სამხარაძე, სცილა და ქარიბდა: ქართული სამოქალაქო საზოგადოება ავტორიტარიზმსა და გეოპოლიტიკურ ცვლილებებს შორის, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2025.

გარდატეხა დროში დაემთხვა ხელისუფლების მიერ ქვეყნის ევროინტეგრაციის კურსის განზრახი და აშკარა დაზიანების პროცესის დასაწყისს და ქვეყნის პარტნიორი დასავლური სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების მიმართ მტრული რიტორიკის ზრდას.[35] მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ ხელისუფლების მიდგომების/მიმართების ამ გარდატეხას, რაც 2022 წლიდან აღიწერება, წინ უსწრებდა ცალკეულ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან დაკავშირებული მძიმე შემთხვევები, კერძოდ, მათ მიმართ ორგანიზებული ძალადობის წახალისების გამოცდილებები თუ დისკრედიტაციის მიზნით წარმოებული მასობრივი საინფორმაციო კამპანიები. მაგალითად, 2021 წლის 5 ივლისს Tbilisi Pride-ის მიერ ორგანიზებული კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი ღირსების მარშის წინააღმდეგ ულტრაკონსერვატიული და რადიკალური ჯგუფების მიერ ორგანიზებული ძალადობრივი აქცია, რომელიც მოქმედი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ იქნა წახალისებული, რამდენიმესაათიან ძალადობრივ მოქმედებებში გადაიზარდა, რასაც ორგანიზაცია Tbilisi Pride-ისა და მოძრაობა „სირცხვილია“-ს ოფისებში შეჭრა და დარბევა მოჰყვა.[36]

საზოგადოებრივი სექტორის ცალკეული წარმომადგენლებისა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიზანმიმართული დისკრედიტაციის განგრძობითმა და მასობრივმა ტალღამ ნიადაგი მოამზადა მოგვიანებით, 2023 წლის მარტში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის, ე.წ. პირველი „რუსული კანონის“ (შემდგომში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი ან ე.წ. „რუსული კანონი“) ინიციირებისთვის.

„ქართულმა ოცნებამ“ საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემზღუდავი საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემოს შექმნა 2023 წლის მარტში სცადა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის, ე.წ. „რუსული კანონის“ ინიციირებით, რასაც სამოქალაქო ორგანიზაციები კოლექტიური წინააღმდეგობით შეხვდნენ.[37]

35 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების ასახვა მმართველი პარტიის დისკურსში, 2024, https://socialjustice.org.ge/ka/products/sagareo-politikuri-kursis-tsvlilebis-asakhva-mmartveli-partiis-diskursshi. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.)

36 „ტაბულა“, პრემიერი 5 ივლისზე: ვინ იყო ორგანიზატორი ვიცით, ლგბტ ორგანიზაციის დირექტორი და სირცხვილია, 2022. ფორმულა, ღარიბაშვილმა 5 ივლისს ძალადობა წაახალისა, პროვოცირებაში კი დღესაც აქტივისტებს ადანაშაულებს, 2022.

37 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი (400 მდე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება). 2023. https://www.gyla.ge/post/rusuli-kanoni-ar-aris-saqartvelos-archevani; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.)

კანონპროექტის ინიციირების თანმდევ სტიქიურ და მასობრივ სამოქალაქო წინააღმდეგობას რამდენიმე დღეში ხელისუფლების უკანდახევა მოჰყვა.[38] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების მცდელობა ჩავარდა, თუმცა, 2023 წლის მოვლენები და ხელისუფლების განგრძობითი მტრული რიტორიკა ნეგატიურად აისახა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე და გარკვეულწილად შეცვალა მათი საარსებო გარემო.[39]

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღების მცდელობიდან ერთი წლის თავზე, 2024 წლის აპრილში ხელისუფლებამ მეორედ დაინიციირა კანონპროექტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, რასაც მძიმე შეფასებები მოჰყვა როგორც ადგილობრივი,[40] ისე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.[41] უწყვეტი სამოქალაქო პროტესტისა და კანონპროექტის მიმართ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკული სამართლებრივი დასკვნების მიუხედავად, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, რაც გარდამტეხი მომენტად იქცა ორგანიზებული ფორმით არსებული სამოქალაქო საზოგადოების ეროზიის პროცესში.

2024-2025 წლები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების დასუსტებისა და გაუქმების[42] განგრძობითი პროცესითა და მოვლენებით ხასიათდებოდა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა დემოკრატიული უკუსვლის პროცესი და ავტორიტარული ტენდენციების

38 პუბლიკა, როგორ ვერ მიიღეს რუსული კანონი, პროტესტის ქრონიკა, 2023. https://publika.ge/photo/rogor-ver-miighes-rusuli-kanoni-protestis-qronika/ (ბოლოს ნანახია 28.12.2025.)

39 C.Pruth and E. Zillén, Hope and Resistance Go Together, The State of Woman Human Rigths Defenders, The Kvinna till Kvinna Foundation, November 2023, pg.11.

40 საქართველოს ამბები, არ დავუშვებთ რუსული კანონის მიღებას – მედიასაშუალებები ე.წ. აგენტების კანონზე; 2024; https://sakartvelosambebi.ge/ge/akhali-ambebi/ar-davushvebt-rusuli-kanonis-mighebas-damoukidebeli-media; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.); საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რუსული კანონის ჩაგდებამდე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, 2024, https://www.gyla.ge/post/the-non-governmental-and-media-organizations-suspend-cooperation-formats-with-the-government-until-the-russian-law-is-dropped; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.); Amnesty International, Georgia: Stop the bill „On transparency of foreign influence" that threatens civil society; 2024, https://www.amnesty.org/en/latest/news/2024/04/georgia-stop-the-bill-on-transparency-of-foreign-influence-that-threatens-civil-society/; (Accessed 28.12.2025).

41 European Parliament resolution of 25 April 2024 on attempts to reintroduce a foreign agent law in Georgia and its restrictions on civil society (2024/2703(RSP)), 2024, https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-9-2024-0381_EN.html; (Accessed 28.12.2025).

42 საერთაშორისო გამჭვირვალობა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების გაუქმებისკენ მიმართული რეპრესიული წესები. 2025. https://transparency.ge/ge/post/shekrebisa-da-gamoxatvis-tavisuplebis-gaukmebisken-mimartuli-represiuli-cesebi; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

გაძლიერება.[43] სწორედ 2024-2025 წლებს უკავშირდება ხელისუფლების მიერ სამოქალაქო სივრცის განეიტრალების და გაქრობის მიზნით მიღებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ცვლილებების ერთობლიობა, რამაც მოკლე დროში სრულად გარდაქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირების უფლებრივი და საარსებო გარემო და ფაქტობრივად, შეუძლებელი გახადა დამოუკიდებელი და ავტონომიური სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობა, რაც ასევე მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ავტორიტარული შემობრუნების მოხელეთების თვალსაზრისით. ამ კვლევის მიზნებისთვის მოკლედ მიმოვიხილავთ მხოლოდ იმ საკანონმდებლო ცვლილებებსა და მოვლენებს, რაც უშუალოდ ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების განეიტრალებისა და რეპრესირების მიზანს ატარებდა.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ 2024 წლის კანონით, ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებით დაიწყო ორგანიზებული სამოქალაქო სივრცის ნორმატიული გარემოს რღვევის პროცესი, რაც მოგვიანებით სხვა რეგრესული საკანონმდებლო ცვლილებებით გაგრძელდა. „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონმა განსაზღვრა „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის“ ცნება და ასეთად მიიჩნია ისეთი არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის მიერ წლის განმავლობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის 20%-ზე მეტის წყარო უცხოურია. კანონმა დაადგინა სუბიექტის უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად რეგისტრაციის ვალდებულება, განსაზღვრა ამ კანონის აღსრულების მიზნით შესაბამისი უწყების მიერ მონიტორინგის განხორციელებისა და კანონის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესაძლებლობა.[44] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის შინაარსი და მიზნები, რომელიც იმეორებს რუსეთში და მოგვიანებით სხვა ქვეყნებში, მათ შორის უნგრეთში, მიღებული ანალოგიური მიზნების მქონე კანონების შინაარსს, მწვავედ შეფასდა როგორც ადგილობრივი,[45] ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან,[46]

43 European Parliament, 2023 and 2024 reports on Georgia European Parliament resolution of 9 July 2025 on the 2023 and 2024 Commission reports on Georgia (2025/2024(INI)), P10_TA(2025)0158. https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-10-2025-0158_EN.pdf; (Accessed 28.12.2025).

44 საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, 03/06/2024.

45 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რატომ ეწინააღმდეგება რუსული კანონი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და კანონის უზენაესობის პრინციპებს? 2024;

46 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), GEORGIA, URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE issued on 21 May 2024 pursuant to Article 14a of the Venice Commission's Revised Rules of Procedure; CDL-PI(2024)013, 2024. pr. 96-99; EXPERT COUNCIL ON NGO LAW THE LAW OF GEORGIA ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE An opinion adopted by the Expert Council on NGO Law of the Conference of INGOs of the Council of Europe; EXPERT COUNCIL ON NGO LAW CONF/EXP (2024), pr.152-164. https://rm.coe.int/conf-exp-2024-2-en-opinion-on-georgian-transparency-law-/1680afb1d5; (Accessed 28.12.2025).

რამდენადაც კანონიდან მომდინარე რისკები კანონის სამიზნე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციების სტიგმატიზების, გაჩუმებისა და გაქრობის საფრთხეებს უკავშირდებოდა. „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული კანონი არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, მიზნად ისახავს სამოქალაქო ორგანიზაციების სტიგმატიზაციას, აღვივებს მათ მიმართ საზოგადოებრივ უნდობლობასა და მტრულ განწყობებს და ხელისუფლებას სამოქალაქო ორგანიზაციებზე ზედამხედველობის ბერკეტებს აძლევს. მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ საქართველოში აქტიური სუბიექტის სტატუსის მქონე 3878[47] ორგანიზაციიდან,[48] 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის, ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნათა მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებულ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ მხოლოდ 383 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია რეგისტრირებული.[49]

ამავე წლის 17 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონი, ე.წ. ანტილგბტ კანონი[50] (შემდგომში, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონი ან ე.წ. ანტილგბტ კანონი), რომელიც ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის სახელდების ქვეშ, ლგბტ(ქ)ი ადამიანების უფლებათა საკითხის პოლიტიკურ ინსტრუმენტალიზების ახდენს, ფაქტობრივად აუქმებს მათ ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებს და თავს ესხმის თანასწორობისა და დემოკრატიის იდეებს.[51] „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონი, ლგბტ(ქ)ი ადამიანების საბაზისო უფლებების გაუქმებასთან ერთად, ასევე მიზნად ისახავს ცენზურის დაწესებას საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფე-

47 2025 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით;

48 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და ზომების მიხედვით, 2025. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

49 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი, 2025. https://fitreg.napr.gov.ge/fitr/fitr-pub (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

50 რადიო თავისუფლება, პარლამენტმა ლგბტ უფლებების შემზღუდავი კანონპროექტი მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო, 2024, https://www.radiotavisupleba.ge/a/33123114.html; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

51 ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, კიდევ ერთხელ ფაშისტური, ანტილგბტ კანონის რეალური მიზნების შესახებ, 2024, https://wisg.org/ka/news/detail/445; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

როში, რაც პირდაპირ ზღუდავს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის არაერთ სფეროსა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესაძლებლობებს.[52]

დამოუკიდებელ სამოქალაქო ორგანიზაციებზე შეტევის შემდეგი ტალღა 2025 წლის მარტსა და აპრილს უკავშირდება, როდესაც ორთვიან პერიოდში „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვისკენ მიმართული ოთხი საკანონმდებლო ცვლილება, უმეტესად დაჩქარებული წესითა და საზოგადოების მონაწილეობის სრული გამორიცხვით მიიღო.

2025 წლის 24 თებერვალს საქართველოს პარლამენტში დაინიციირდა „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, ე.წ. „აგენტების კანონი“ (შემდგომში „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ ან ე.წ. „აგენტების კანონი“). „ქართული ოცნების“ თქმით, ეს ნაბიჯი ამერიკული კანონის (Foreign Agents Registration Act (FARA)) ანალოგის გადმოტანას ისახავდა მიზნად. თუმცა, ამერიკული კანონის მიღების კონტექსტის, მიზნებისა და მოქმედების პრაქტიკის საპირისპიროდ, ხელისუფლება „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ მიღებას ცალსახად სამოქალაქო საზოგადოებრივ და მედია ორგანიზაციებზე კანონის გავრცელებისა და კონტროლის კონტექსტში განიხილავდა, რაც ცხადი იყო, რომ კანონის თვითნებური გამოყენებისა და ორგანიზაციების კონტროლის, რეპრესიისა და დასჯის ინსტრუმენტად მის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად.[53] კანონი ადგენს, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც საქართველოში „პოლიტიკურ საქმიანობაში“ მონაწილეობს „უცხოური პრინციპალის“ სასარგებლოდ ან მისი ინტერესების გამო, აქვს „უცხოური პრინციპალის აგენტად“ რეგისტრაციისა და კანონმდებლობის სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილების ვალდებულება. კანონმა ხელისუფლებას საზოგადოებრივ და მედია ორგანიზაციებზე კიდევ უფრო მაღალი და თვითნებური კონტროლის შესაძლებლობა მისცა და კანონის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში განსაზღვრა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების სისხლისსამართლებრივი დევნის შესაძლებლობა.[54] კანონპროექტის მიმართ არსებული მწვავე კრიტიკის მიუხედავად, რაც კანონის ბუნდოვან მიზნებსა

52 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სოლიდარობა ქვიარ თემს – ფაშისტური კანონი უპირობოდ უნდა გაუქმდეს!, 2024, https://socialjustice.org.ge/ka/products/solidaroba-kviar-tems-fashisturi-kanoni-upirobod-unda-gaukmdes; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.); სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ: ჰომოფობიური საკანონმდებლო ცვლილებების ვრცელი სამართლებრივი ანალიზი, 2024.

53 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, FARA სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებზე არ ვრცელდება: FARA-ს გამოყენების პრაქტიკა აშშ-ში და მისი დამზღვევი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები, 2025. https://socialjustice.org.ge/ka/products/ratom-ar-vrtseldeba-fara-sinamdvileshi-samokalako-da-media-organizatsiebze-ashsh-shi (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

54 საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი” 02/04/2025.

და მოქმედების განუჭვრეტელ მასშტაბებს უკავშირდება და გაუმართლებლად ზღუდავს სამოქალაქო ორგანიზაციებში ჩართული ადამიანების გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებას,[55] „ქართულმა ოცნებამ“ „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ 2025 წლის 1 აპრილს მიიღო (კანონი ძალაში 31 მაისს შევიდა). ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“, ე.წ. „აგენტების კანონი“ მოთხოვნების თანახმად რეგისტრირებულია 12 აქტიური უცხოური პრინციპალი.[56]

2025 წლის 1 აპრილს საქართველოს პარლამენტმა ასევე მიიღო 14 ცვლილებისაგან შემდგარი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რითაც გაუქმდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობა მმართველობისა და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საკანონმდებლო პაკეტმა მოიცვა მთელი რიგი ცვლილებები, რომლებიც მიზნად ისახავდა (1) მმართველობის პროცესში მონაწილეობის შეზღუდვასა და ხელისუფლების საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების დასუსტებას, (2) კონკრეტული თანამდებობის პირების არჩევის პროცესში სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა სავალდებულო მონაწილეობის გაუქმებასა და (3) საკონსულტაციო პროცესებში სამოქალაქო ორგანიზაციების ჩართულობისა და მონაწილეობის შესაძლებლობების გაუქმებას. მაგალითად, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის შესაძლებლობა გაუქმდა ისეთი თანამდებობის პირების არჩევის პროცესში, როგორიცაა საპროკურორო საბჭოს 2 წევრი, მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2 წევრი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 5 წევრი თუ ისეთი ორგანოებისა თუ კომისიების დაკომპლექტების პროცესში, როგორიცაა იურიდიული დახმარების სამსახურის საბჭო, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის შესარჩევად შექმნილი საკონკურსო კომისიები და სხვა.[57] იმავე დღეს ცვლილება

55 EXPERT COUNCIL ON NGO LAW OPINION ON THE LAW OF GEORGIA „FOREIGN AGENTS REGISTRATION ACT” Adopted by the Expert Council on NGO Law of the Conference of INGOs of the Council of Europe, pr.149-154. EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW OF THE COUNCIL OF EUROPE (VENICE COMMISSION) GEORGIA OPINION ON THE LAW ON THE REGISTRATION OF FOREIGN AGENTS, THE AMENDMENTS TO THE LAW ON GRANTS AND OTHER LAWS RELATING TO „FOREIGN INFLUENCE” Adopted by the Venice Commission at its 144th Plenary Session (Venice, 9-10 October 2025), CDL-AD(2025)034. pr.114-117.

56 ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, 2025. https://fara.acb.gov.ge/search/by-principal, (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

57 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება“ სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ფორმალურ შესაძლებლობასაც ართმევს, 2025. https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsneba-samokalako-sazogadoebas-gadatsqvetilebebis-mighebis-protsesshi-monatsileobis-formalur-shesadzleblobasats-artmevs; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

შევიდა „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში, რის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობიდან ამოღებულ იქნა ტერმინები „გენდერი“ და „გენდერული იდენტობა“.[58]

მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი დარტყმა, რითაც ფაქტობრივად დასრულდა ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების დასუსტებასა და პრაქტიკულ განადგურებაზე მიმართული საკანონმდებლო და ინსტიტუციური გარემოს ფორმირება „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებების მიღებას უკავშირდება. 2025 წლის 16 აპრილს, ინიციირებიდან 9 დღეში, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც აიკრძალა მთავრობის თანხმობის გარეშე გრანტის გაცემის შესაძლებლობა, რამაც გრანტის გაცემა და მიღება სრულად ხელისუფლების პოლიტიკურ კონტროლს დაუქვემდებარა. ასევე, საკანონმდებლო ცვლილებებმა გრანტის მიღების წესის დარღვევის მონიტორინგისა და მასზე რეაგირებისათვის სახელმწიფო უწყებებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და ინდივიდებზე განუსაზღვრელი და დაუსაბუთებელი კონტროლისა და ზემოქმედების ბერკეტები შესძინა,[59] რამაც კანონის ფართო, თვითნებური და დისკრიმინაციული გამოყენების შესაძლებლობა შექმნა.[60] მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადგილობრივი სამოქალაქო ორგანიზაციების, მედია ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გასაჩივრებულია „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი,[61]„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“, „გრანტების შესახებ“ კანონი[62] და ამ კანონების საფუძველზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმ-

58 Civil Georgia, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა რიგი შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო, 2025. https://civil.ge/ka/archives/673120; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

59 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გრანტების შესახებ კანონში გატარებული ცვლილებების მიზანია ქართული სამოქალაქო საზოგადოების განადგურება – შეფასება, 2025. https://socialjustice.org.ge/ka/products/grantebis-shesakheb-kanonshi-gatarebuli-tsvlilebebis-mizania-kartuli-samokalako-sazogadoebis-ganadgureba-shefaseba; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

60 EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW OF THE COUNCIL OF EUROPE (VENICE COMMISSION) GEORGIA OPINION ON THE LAW ON THE REGISTRATION OF FOREIGN AGENTS, THE AMENDMENTS TO THE LAW ON GRANTS AND OTHER LAWS RELATING TO „FOREIGN INFLUENCE" Adopted by the Venice Commission at its 144th Plenary Session (Venice, 9-10 October 2025), CDL-AD(2025)034. pr.118.

61 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსულ კანონთან" დაკავშირებით არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების საჩივრის განხილვა დაიწყო, 2025.

62 „გრანტების შესახებ“ კანონი, „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშების დაყადაღების თაობაზე გადაწყვეტილებები ასევე გასაჩივრებულია საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჯგუფის მიერ (კვლევის ერთ-ერთი რესპონდენტის ინტერვიუ).

დეგ, შესაბამისი უწყებების მიერ დაწყებული კონკრეტული მოქმედებები".[63] დასახელებული კანონების არაკონსტიტუციურობის თაობაზე ასევე არაერთი სარჩელია წარდგენილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოშიც.[64]

„უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტმა", რომელიც ძალაში 2025 წლის მაისის ბოლოს შევიდა, ორგანიზაციებისთვის რეგისტრაციის ვადა 10 დღით განსაზღვრა. ამ ვადის გასვლისთანავე, ხელისუფლებამ შემზღუდავი საკანონმდებლო ბაზის გამოყენება დაიწყო რვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართ. 2025 წლის 17, 19 და 23 ივნისს რვა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს", „საფარს", „სამოქალაქო საზოგადოების ფონდს", „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს", „მედიის განვითარების ფონდს", „სოციალური სამართლიანობის ცენტრსა" და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას"[65] იდენტური სასამართლო გადაწყვეტილებები ჩაბარდათ, რომლითაც დაკმაყოფილდა ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა და ორგანიზაციებს 2024 წლის 1 იანვრიდან ბრძანების გამოცემის მომენტისთვის არსებული შეუზღუდავი მოცულობის სამართლებრივი, პერსონალური, ფინანსური და ტექნიკური ინფორმაციის, მათ შორის მესამე პირებთან და ბენეფიციარებთან დაკავშირებული სრული ინფორმაციის გაცემა დაევალათ.[66] ანტიკორუფციული ბიუროს შუამდგომლობა ორგანიზაციების საქმიანობის შემოწმების დასაბუთებისას „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ," „გრანტების შესახებ," „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" და „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის შესახებ" კანონებს დაეყრდნო (სასამართლოს ბრძანება დაეყრდნო მითითებულიდან სამ საფუძველს, თუმცა, არ გამოუყენებია „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის შესახებ" კანონი), რომელთა ნაწილი რელევანტურიც კი არ არის საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე წვდომის მოპოვებისთვის, ხოლო ნაწილი მოთხოვნილი ინფორ-

63 საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო, სტრასბურგის სასამართლომ დარეგისტრირდა საჩივარი ივანიშვილის ფარას და რეპრესიული კანონების წინააღმდეგ, 2025.

64 Civil Georgia, საკონსტიტუციო სასამართლო „უცხოელი აგენტების" კანონს განიხილავს, 2024. ბათუმელები, საია „უცხოეთის აგენტების აქტს" საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, 2025. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საია საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწოდებს დროულად განიხილოს ,,გრანტების შესახებ" კანონთან დაკავშირებით წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელები და შეაჩეროს სადავო ნორმების მოქმედება, 2025.

65 სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციას ანტიკორუფციული ბიურო „სამართლიანი არჩევნებისგანაც" ითხოვს, 2025, https://www.isfed.ge/geo/gantskhadebebi/benefitsiarebis-shesakheb-informatsias-antikoruftsiuli-biuro-samartliani-archevnebisganats-itkhovs; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

66 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართულმა ოცნებამ" სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამანგრეველი კანონების გამოყენება უკვე დაიწყო, 2025, https://socialjustice.org.ge/ka/products/kartulma-otsnebam-samokalako-sazogadoebistvis-damangreveli-kanonebis-gamoqeneba-ukve-daitsqo; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

მაციის ვადებისა და ფარგლების გათვალისწინებით, ასევე არარელევანტური, უკანონო და დაუსაბუთებელი იყო.[67] საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ ანტიკორუფციული ბიუროს მიერ დაწყებული ინსპექტირებები ორგანიზაციების ავტონომიაში დაუსაბუთებელ ჩარევას გულისხმობდა, რამაც უკანონოდ და თვითნებურად შეზღუდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლება და მათი ბენეფიციარების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებები.[68] სასამართლო ბრძანებების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების შემდეგ, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მათი საქმიანობის მხოლოდ ნაწილზე მისცეს წვდომა ანტიკორუფციულ ბიუროს და არ გაასაჯაროვეს მესამე პირებთან და ბენეფიციარებთან დაკავშირებული სენსიტიური ინფორმაცია.[69]

2025 წლის 11 აგვისტოს შვიდმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ, რომელთა შორისაა, „საფარი“, „სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „მედიის განვითარების ფონდი“, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი”, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება” ანტიკორუფციული ბიუროსგან მეორე წერილი მიიღო.[70] ანტიკორუფციული ბიურო „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ საფუძველზე დაწყებული ინსპექტირების ფარგლებში ორგანიზაციებისაგან ითხოვდა წერილობით ახსნა-განმარტებას, თუ რატომ არ დარეგისტრირდნენ უცხოეთის აგენტად. ბიუროს წერილი მოიცავდა მითითებას შესაძლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ მათი დასჯის მუქარად და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნის გაგრძელებად იქნა აღქმული. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ანტიკორუფციულ ბიუროს 22 აგვისტოს გაუზიარეს წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელიც „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ მათზე გავრცელების დაუშვებლობას ასაბუთებდა.[71]

67 იქვე.

68 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საზოგადოებას ვაწვდით განახლებულ ინფორმაციას ორგანიზაციის წინააღმდეგ ანტიკორუფციულ ბიუროში მიმდინარე პროცესის შესახებ, 2025.

69 სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განცხადება, 2025.

70 რადიო თავისუფლება, „ვემსახურებით საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს“ − NGO-ებმა ანტიკორუფციულ ბიუროს უპასუხეს, 2025, https://www.radiotavisupleba.ge/a/33510314.html. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

71 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება” აგრძელებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დევნას – სოციალური სამართლიანობის ცენტრი ანტიკორუფციულ ბიუროში გაგზავნილი წერილობითი განმარტების ტექსტს აქვეყნებს, 2025, https://socialjustice.org.ge/ka/products/kartuli-otsneba-agrdzelebs-samokalako-sazogadoebis-organizatsiebis-devnas-sotsialuri-samartlianobis-tsentri-antikoruftsiul-biuroshi-gagzavnili-tserilobiti-ganmartebis-teksts-akveqnebs; (ბოლოს ნანახია 28.12.2025.); სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, სამოქალაქო საზოგადოების ფონდის პასუხი ანტიკორუფციულ ბიუროს, 2025.

ანტიკორუფციულ ბიუროსთან საპასუხო კომუნიკაციიდან მალევე, 2025 წლის 27 აგვისტოს ცნობილი გახდა, რომ პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში, რომელიც შეეხება საბოტაჟს, დამამძიმებელ გარემოებაში საბოტაჟის მცდელობას, უცხოეთის ორგანიზაციისა და უცხოეთის კონტროლს დაქვემდებარებული ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას, საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, ეროვნული უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული საქმიანობისთვის ფინანსების მობილიზებას, საქალაქო სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე შვიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციის („სამოქალაქო საზოგადოების ფონდი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „დემოკრატიის მცველები“, „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“, „საფარი“, „სოციალური სამართლიანობის ცენტრი“) საბანკო ანგარიშები დააყადაღა.[72] მოგვიანებით, პროკურატურამ ამავე ორგანიზაციების ხელმძღვანელები მოწმის სახით სასამართლოს წინაშე გამოჰკითხა.[73] ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების[74] და საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების მიერ[75] ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშების დაყადაღება და მათი საქმიანობის გამოძიების ობიექტად ქცევა, უფლებადაცვითი საქმიანობის კრიმინალიზებად და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნის პრაქტიკის გაგრძელებად შეფასდა, რამაც დაყადაღებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის არსებული ფორმით ფაქტობრივი გაჩერება გამოიწვია. დაყადაღებული სამოქალაქო ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საყოველთაო დემონსტრაციებზე დაშავებული და დაკავებული ასეულობით პირისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევის, სასამართლო წარმომადგენლობისა და სხვადასხვა სახის აუცილებელი მხარდაჭერის უზრუნველყოფაში. ასევე, მათი ნაწილი უზრუნველყოფდა დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის უკანონოდ დაკისრებული ჯარი-

72 OMCT, Georgia: Tbilisi City Court freezes bank accounts of seven further leading civil society organisations amid unfounded investigations for „sabotage", 2025, https://www.omct.org/en/resources/urgent-interventions/georgia-tbilisi-city-court-freezes-bank-accounts-of-seven-further-leading-civil-society-organisations-amid-unfounded-investigations-for-sabotage. (Accessed 28.12.2025).

73 რადიო თავისუფლება, პროკურატურა გამოკითხვაზე იბარებს დაყადაღებული სამოქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, 2025, https://www.radiotavisupleba.ge/a/33518732.html. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

74 პუბლიკა, ყადაღებისა და რეპრესიების მიუხედავად, ჯიუტად ვაგრძელებთ საქმიანობას და ბრძოლას – არასამთავრობოები, 2025, https://publika.ge/yadaghebisa-da-represiebis-miukhedavad-jiutad-vagrdzelebt-saqmianobas-da-brdzolas-arasamtavroboebi/. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

75 Amnesty International, The EU and its member states should take urgent, coordinated measures to respond to Georgia's crackdown on civil society and human rights organisations, 2025, https://www.amnesty.eu/news/eu-should-respond-to-georgias-crackdown-on-civil-society/; (Accessed 28.12.2025).

მების გადასახდელად ფონდების მობილიზებას და სხვა.[76] პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული განცხადება[77] და უწყების წარმომადგენლების მიერ საჯაროდ გაკეთებული შეფასებები[78] აჩვენებს, რომ ორგანიზაციების უფლებადაცვითი საქმიანობა, მათ შორის, დემონსტრაციებზე დაკავებული პირებისათვის სამართლებრივი დახმარების გაწევა, ორგანიზაციების ხელმძღვანელების საჯაროდ გამოთქმული პოზიციები და დემონსტრაციებზე დაკვირვებისას ორგანიზაციის თანამშრომელთა შრომითი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მცირე რაოდენობის (ორი-სამი ათეული) დამცავი ეკიპირებას შეძენის ფაქტი,[79] საფუძვლად დაედო ყადაღის ღონისძიების გამოყენებას, რაც აჩვენებს მისი გამოყენების დაუსაბუთებლობას და მართლმსაჯულების სისტემას უფლებადაცვითი საქმიანობის დასჯისა და კრიმინალიზების ინსტრუმენტად აქცევს.

ამავე გამოძიების ფარგლებში, რამდენიმე თვით ადრე, 2025 წლის მარტში პროკურატურამ დააყადაღა ორი ორგანიზაციისა და სამი ფონდის საბანკო ანგარიშები, მათ შორის, ა(ა)იპ „ნანუკას ფონდის"; ა(ა)იპ „ფროსფერითის"; ა(ა)იპ „ფონდი ერთმანეთისთვის 24/7-ს"; ა(ა)იპ „სირცხვილიას"; ა(ა)იპ „თბილისის ადამიანის უფლებათა სახლის",[80] რომლებიც მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეებს სამართლებრივ, ფინანსურ და სამედიცინო მხარდაჭერას უწევდნენ, რაც ხელისუფლების მიერ მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის კრიმინალიზების მცდელობას წარმოადგენდა.[81] 2025 წლის 29 აპრილს კი „ადამიანის უფლებათა ცენტრის" ხელმძღვანელის, ალეკო ცქიტიშვილის საცხოვრებელი სახლის და პირადი ჩხრეკა ჩატარდა.[82] რამდენიმე დღით ადრე, 24 აპრილს, დამოუკიდებელი პროფკავშირის „ლაბორის" ოფისში, რომელიც ბოლო წლებში 20-მდე მშრომელთა გაფიცვის ორგანიზატორი და თანაორგანიზატო-

76 FIDH Internation Federation for Human Rights, Georgia: Tbilisi City Court freezes bank accounts of seven further leading civil society organisations amid unfounded investigations for „sabotage", 2025.

77 საქართველოს პროკურატურის განცხადება, https://pog.gov.ge/news/saqartvelos-prokuraturis-gantskhadeba-4982, 2025. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

78 Ipress, პროკურორი: თამთა მიქელაძე აქციების დროს გამოირჩეოდა აქტიურობით, აკეთებდა მოწოდებებს და პირდაპირ ამბობდა, რომ ბრძოლა უნდა ყოფილიყო სასტიკი. მას ფინანსური დახმარებაც აქვს გაწეული, 2025.

79 პუბლიკა, „ამ პროცესების მთავარი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების განადგურების გეგმის გადაფარვაა" – მიქელაძე „პირბადეების საქმეზე", 2025.

80 პუბლიკა, პროკურატურა: ფონდების ანგარიშები დავაყადაღეთ „საბოტაჟზე" მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2025, https://publika.ge/prokuratura-fondebis-angarishebi-davayadaghet-sabotadjze-mimdinare-gamodziebis-farglebshi/ (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

81 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ფონდების დაყადაღება პროტესტის დასჯისა და სამოქალაქო ორგანიზაციების დევნის კიდევ ერთი აგრესიული მცდელობაა, 2025,

82 რადიო თავისუფლება, ალეკო ცქიტიშვილი ჯერ ავტობუსიდან ჩამოიყვანეს, შემდეგ მისი ბინა გაჩხრიკეს, 2025.

რია, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ ჩხრეკა ჩატარდა. გაჩხრიკეს სამი ადგილი და მათ შორის პროფკავშირის ხელმძღვანელის საცხოვრებელი სახლიც, რაც არსებული კონტექსტისა და ჩხრეკის დაუსაბუთებლობის გათვალისწინებით, დამოუკიდებელი პროფკავშირის დევნისა და რეპრესირების თვალსაჩინო მაგალითია.[83]

2025 წლის 8 სექტემბრის შემდეგ ანტიკორუფციულმა ბიურომ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნის ახალი ეტაპი დაიწყო, რაც გულისხმობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი მიმართვას „გრანტების შესახებ“ კანონის საფუძველზე დაწყებული მონიტორინგის ფარგლებში ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. ამ შინაარსის წერილი 30 სექტემბრის მდგომარეობით 30-მდე ორგანიზაციამ მიიღო და მათი რიცხვი ყოველ დღე იზრდებოდა. სამიზნე ორგანიზაციების შემხვედრ წერილზე საპასუხოდ, რომელშიც ბიუროს მოთხოვნის უკანონობა იქნა განმარტებული, ანტიკორუფციულმა ბიურომ სასამართლოსადმი მიმართვის პროცესი დაიწყო ორგანიზაციებში დაცულ ინფორმაციაზე წვდომის მოპოვების მიზნით. ამ დროისთვის ანტიკორუფციული ბიურო „გრანტების შესახებ“ კანონის საფუძველზე ათეულობით საზოგადოებრივი ორგანიზაციის უკანონო და დაუსაბუთებელ მონიტორინგს ახორციელებს.[84]

სტრუქტურულ ცვლილებებს, ორგანიზაციების მიმართ უკანონო და დაუსაბუთებელ მონიტორინგებსა და ინსპექტირებებს, სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში ორგანიზაციების ანგარიშების დაყადაღებისა და ჩხრეკის არაერთ შემთხვევას, 2024-2025 წლებში თან სდევდა სამოქალაქო ორგანიზაციების დისკრედიტაციის და რეპუტაციის შელახვის მიზნით წარმოებული ინტენსიური საინფორმაციო კამპანია, რაც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების რიტორიკაში დამკვიდრდა და უწყვეტი ვერბალური თავდასხმებისა და მუქარის ფორმა მიიღო. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ცალკეული წარმომადგენლები მუდმივად ხდებოდნენ სოციალურ ქსელებში მათ მიმართ ორგანიზებული შეურაცხყოფის, შევიწროების,[85] დაშინების, მუქარისა და ცი-

83 სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ხელმომწერი ორგანიზაციები ვაფასებთ „ლაბორის“ ოფისის ჩხრეკას და ვგმობთ დამოუკიდებელი პროფკავშირის დევნას, 2025.

84 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ,,ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ახალი ეტაპი 30-მდე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ დაიწყო, 2025.

85 Front Line Defenders, Defamation and Intimidation Attacks against Human Rights Defenders in Georgia must be investigated, 2024.

ლისწამების მსხვერპლები.[86] მათ საქმიანობას ასევე თან სდევდა უკანონო მოსმენების, გადაადგილების კონტროლისა თუ დამაშინებელი და მუქარის შემცველი ზარებისა და შეტყობინებების მიღების გამოცდილება, როგორც მათი, ასევე მათი ოჯახის წევრების მიმართ.[87]

საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე კოორდინირებული თავდასხმის მაგალითია 2024 წლის 31 მაისს დაუდგენელი ორგანიზებული ჯგუფების მიერ ათეულობით საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციის ოფისზე, ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა, თუ მათი ოჯახის წევრების საცხოვრებელ სახლებსა და ავტომობილებზე, შეურაცხმყოფელი და ცილისმწამებლური წარწერების დატოვება. ასევე, მიმდებარე სივრცეებში ორგანიზაციების ხელმძღვანელების ფოტოების გაკვრა წარწერებით „გაყიდული“ და „მოღალატე“. იმავე დღეს „ქართული ოცნების“ წევრმა, დეპუტატმა დიმიტრი სამხარაძემ სოციალურ ქსელში ვიდეო და პოსტი გამოაქვეყნა, რითაც ამ ქმედებებთან საკუთარ კავშირს ადასტურებდა და დამატებით, მუქარის შემცველ შეტყობინებას ავრცელებდა.[88] საზოგადოებრივი ორგანიზაციების ოფისების/შენობების ვანდალური დაზიანების ფაქტები, რომელთა ნაწილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია, ამ დრომდე გამოძიებული არ არის.[89]

მნიშვნელოვანია, რომ 2024 წელს უკავშირდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის სარგებლობაში გადაცემულ შენობებზე/სივრცეებზე დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულებების გაუქმების ტენდენცია, რაც მუნიციპალური შენობებით სარგებლობის შეზღუდვის გზით ორგანიზაციების დასჯისა თუ მათზე ზეწოლის ინსტრუმენტად იქცა. მაგალითად, 2024 წელს გორის მერიამ „გორელ ფოტოგრაფთა კლუბთან“ დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა შენობაზე, რომელსაც კლუბი ხელშეკრულების თანახმად სხვადასხვა აქტივობებისა თუ გამოფენებისთვის იყენებდა. მერიის ეს გადაწყვეტილება მოჰყვა საგამოფენო სივრცეში საპროტესტო ინსტალაციის გაჩენას „ნაომარი ქალაქი ბოდიშს არ

86 Civil Society Forum, Battered but Resilient, Georgian Civil Society in the Context of the Law on „Transparency of Foreign Influence”: an EaP CSF survey, 2024, pg.7-11.

87 The Observatory for the Protection of Human Rights Defenders, Under Siege: How Georgia Is Dismantling Civil Society Findings from the Observatory for the Protection of Human Rights Defenders' Field Mission, pg. 12-16.

88 რადიო თავისუფლება, „შეიძლება ფიზიკურადაც გაგვისწორდნენ“ – არასამთავრობოების ოფისებზე ისევ გაჩნდა მუქარის წარწერები, 2024.

89 The Observatory for the Protection of Human Rights Defenders, Under Siege: How Georgia Is Dismantling Civil Society Findings from the Observatory for the Protection of Human Rights Defenders' Field Mission, pg. 14.

იხდის!“.[90] ანალოგიურია თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრის გამოცდილებაც, რომელიც 2018 წლიდან უწყვეტად სარგებლობდა შენობით მუნიციპალიტეტთან დადებული უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. ცენტრმა 2024 წელს ხელშეკრულების შეწყვეტისა და შენობის დაცლის თაობაზე შეტყობინება მიიღო.[91] რამდენადაც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან დადებული ამგვარი ხელშეკრულებებით უმეტესად რეგიონული ან სათემო ორგანიზაციები სარგებლობდნენ, ეს ტენდენცია უმეტესად მათ გამოცდილებებში გვხდება.

2024-2025 წლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამართლებრივი და საარსებო გარემოს შეზღუდვის და ფაქტობრივი განადგურების პირობებში, ორგანიზაციების ადაპტაციისა და გადარჩენის შესაძლებლობებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო განვითარების დახმარების ეკოსისტემაში ბოლო წლებში მიმდინარე მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა. ეს პროცესი გულისხმობდა არაერთი სახელმწიფოს მიერ განვითარების დახმარებაზე გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვან შეკვეცას,[92] რასაც დაერთო 2025 წლის დასაწყისში ამერიკის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახურვის თაობაზე.[93]

ათწლეულების მანძილზე ქართული სამოქალაქო სექტორის მნიშვნელოვან გამოწვევას საერთაშორისო განვითარების დახმარებაზე მაღალი დამოკიდებულება წარმოადგენდა. მაგალითად, 2018 წლის მონაცემებით ქართული სამოქალაქო სექტორის შემოსავლების 95 % დასავლური საერთაშორისო ფონდებისგან გრანტის სახით მიღებულ მხარდაჭერას გულისხმობდა.[94] საერთაშორისო დახმარებაზე დამოკიდებულების ეს ხარისხი წლების მანძილზე არ შეცვლილა. ამ გარემოებამ საერთაშორისო დაფინანსების მიღების გზების გადაკეტვის პირობებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სექტორის დასუსტებაში, რომელიც დიდწილად იყო დამოკიდებული ამერიკის მთავრობისა და

90 შიდა ქართლი საინფორმაციო ცენტრი. გორის მერია ,,ფოტოგრაფთა კლუბს'' შენობიდან აძევებს, 2024.

91 სოციალური ქსელი Facebook ანგარიში: თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი • Tetritskaro Youth Center, https://www.facebook.com/tycgeorgia/?locale=ka_GE (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

92 Dalan Fund. Growing Against All Odds: Mapping funding for intersectional organizing in the CEECCNA regions. 2025. pg.12.

93 New York Times, Trump Calls Directly for Closure of U.S.A.I.D., February, 2025. https://www.nytimes.com/2025/02/07/us/politics/usaid-trump.html. (Accessed 28.12.2025).

94 Civil Society Institute, Civil Society Organizations' State Funding Reform Policy Paper, 2012. pg. 2-3.

ევროკავშირისგან მომდინარე საერთაშორისო განვითარების მხარდაჭერაზე. თუმცა, ამ ორი მთავარი წყაროსგან სამოქალაქო სექტორის მიერ მიღებული მხარდაჭერა მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება ამავე წყაროებისგან საქართველოს მთავრობისადმი გაწეულ მხარდაჭერას. მაგალითად, ამერიკის მთავრობის მიერ საქართველოსადმი გაწეული დახმარების საერთო ოდენობიდან, რამაც 2023 წელს 143.8 მლნ დოლარი შეადგინა, 15 მლნ დოლარი მიემართა დემოკრატიული მონაწილეობისა და სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერის ამოცანებს.[95] საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მონაცემების მიხედვით, 2019-2024 წლებში ევროკავშირის მიერ საქართველოს მთავრობის უშუალო მხარდაჭერა 11-ჯერ აღემატებოდა ამავე პერიოდში სამოქალაქო ორგანიზაციებისადმი მიმართულ მხარდაჭერას. კერძოდ, ევროკომისიის მონაცემებით, 2019-2024 წლებში საქართველოს მთავრობამ (სამინისტროებმა და სხვადასხვა უწყებებმა) 517 მლნ ევროს მხარდაჭერა მიიღო, როცა ამავე პერიოდში სამოქალაქო სექტორის მიმართ გაცემულმა დახმარებამ 46.1 მლნ ევრო შეადგინა და 170 ქართულ საზოგადოებრივ ორგანიზაციაზე გადანაწილდა.[96]

ეს მონაცემები აჩვენებს არა მხოლოდ ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არამედ საქართველოს როგორც სახელმწიფოს მნიშვნელოვან დამოკიდებულებას საერთაშორისო ფინანსურ მხარდაჭერაზე. საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ ანგარიში ყოველწლიურად მზადდებოდა. თუმცა, მთავრობის მიერ ბოლოს გამოქვეყნებული ანგარიში 2022 წლით თარიღდება. ეს უკანასკნელი აჩვენებს რომ 2022 წელს საქართველოს მიერ მიღებულმა საგარეო დახმარებამ 27.8 მლრდ ლარი შეადგინა, საიდანაც 21.4 მლრდ ლარი (76.85 %) შეადგენს სესხებს, ხოლო 4.4. მლრდ ლარი (15.87 %) გრანტებსა და გარანტიებს.[97] ანგარიშის მიერ მთავარ ორმხრივ დონორებად გერმანია, აშშ, საფრანგეთი, ნიდერლანდები და შვეიცარია სახელდება, ხოლო მრავალმხრივ დონორებს შორის წამყვან ადგილს ევროკავშირის ინსტიტუტები იკავებს.[98]

95 Jaba Devdariani, As USAID Dies, Many of Georgia's „Vibrant" CSOs Face Extinction, GEOpolitics, 2025.

96 Civil Georgia, EU Delegation: Georgian Gov't Received 11 Times More Financial Support from EU than CSOs, 2024.

97 აღნიშნულს მოსდევს ტექნიკური/საექსპერტო დახმარება (6.05%), მატერიალურ/ტექნიკური დახმარება (1.22%) და ჰუმანიტარული დახმარება (0.01%). (წყარო: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ, 2022. გვ.14.).

98 საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ, 2022. გვ. 9-14.

4. კვლევის ძირითადი მიგნებები

მტრული საკანონმდებლო ჩარჩოსა და რიტორიკის გავლენა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების არსებობასა და საქმიანობაზე

- საქართველოს დემოკრატიული უკუსვლისა და ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესში ხელისუფლების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრული განეიტრალება; ბოლო წლებში, განსაკუთრებით კი 2024 წლის გაზაფხულის შემდეგ, ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხელისუფლების დამანგრეველი პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის, საზოგადოებრივი საქმიანობის გადარჩენისა და ორგანიზაციული ადაპტაციის რეჟიმში ფუნქციონირებდნენ;

- 2024 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებით დაიწყო ახალი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რაც საზოგადოებრივი თუ უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართ სადამსჯელო მიდგომებს გაცხადებული სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად აქცევდა. 2025 წელს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ ე.წ. „აგენტების კანონის მიღებითა და „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით ფაქტობრივად დასრულდა სამოქალაქო სივრცის განეიტრალებისთვის შექმნილი ახალი ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირება;

- ერთწლიან პერიოდში შექმნილმა საკანონმდებლო რეალობამ, მოკლე დროში სრულად გარდაქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირების უფლებრივი და საარსებო გარემო, რაც აისახა ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლებლობებზე, ასევე, ორგანიზაციულ, ოპერაციულ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზე და გადამწყვეტი როლი ითამაშა სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი ნაწილის ფაქტობრივი გაჩერებისა და გადარჩენილი ნაწილის დასუსტების პროცესში;

- სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაზე მნიშვნელოვნად აისახა ხელისუფლების რიტორიკა მათი მტრად მონიშვნის შესახებ, რაც წინ უსწრებდა საზოგადოებრივი სივრცეების გაქრობისკენ მიმართული კანონების მიღებას; სამოქალაქო ორგანიზაციების მტრად მონიშვნისა და მათგან დისტანცირების პრაქტიკა გავრცელდა ყველა ზომის, ტიპისა და საქმიანობის მქონე ორგანიზაციაზე; ადგილობრივი მუნიციპალური ორ-

განოები ჩაკეტილი და მტრული გახდა იმ მცირე სათემო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ინიციატივების მიმართაც კი, რომლებიც წლების მანძილზე მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევდნენ მუნიციპალიტეტის გაძლიერებისთვის;

- 2024-2025 წლებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამართლებრივი და საარსებო გარემოს შეზღუდვის და ფაქტობრივი განადგურების პირობებში, ორგანიზაციების ადაპტაციისა და გადარჩენის შესაძლებლობებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საერთაშორისო განვითარების დახმარების ეკოსისტემაში ბოლო წლებში მიმდინარე მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რაც ასევე მოიცავდა 2025 წლის დასაწყისში ამერიკის მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახურვის თაობაზე.

* * *

- 2024 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებით დაიწყო სექტორის დაზიანების შეუქცევადი პროცესი, რამაც ფაქტობრივად განსაზღვრა მცირე და ზოგჯერ საშუალო ზომის ორგანიზაციების არსებობის საკითხი. მეტიც, ახალი საკანონმდებლო გარემოს პირველი ერთგვარი „ბუნებრივი“ სამიზნეები აღმოჩნდნენ მცირე ზომის რეგიონული, უმეტესად, სათემო ორგანიზაციები და ინიციატივები, რომელთა დიდმა ნაწილმა არსებობა შეწყვიტა ან მინიმალურად და შეცვლილი ფორმით აგრძელებენ საქმიანობას;

- საკანონმდებლო ცვლილებებმა ფაქტობრივად სრულად შეზღუდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლებლობები, რაც ასევე მძიმედ აისახა საშუალო და დიდი ზომის რესურსულ ორგანიზაციებზეც. კვლევა აჩვენებს, რომ ხელისუფლების ამოცანა საზოგადოებრივი სექტორის განეიტრალების მიზნით მიემართებოდა ყველა ტიპის ორგანიზაციას, მისი საქმიანობის ფორმისა და ზომის მიუხედავად;

- სტრუქტურულმა ცვლილებებმა სრულად ვერ გააჩერა შედარებით ძლიერი და რესურსული ორგანიზაციების საქმიანობა, რასაც 2025 წლის ზაფხულიდან „ქართული ოცნების“ მხრიდან კონკრეტული სამიზნე ორგანიზაციების მიმართ დევნისა და რეპრესირების ინდივიდუალური მექანიზმების ამოქმედება მოჰყვა. ეს პროცესი ორგანიზაციების მიმართ დაწყებულ მონიტორინგებსა და ინსპექტირებებში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში,

ორგანიზაციების მიმართ სისხლისსამართლებრივი გამოძიების (ე.წ. საბოტაჟის საქმის) ფარგლებში გამოყენებული ყადაღის ღონისძიებებს მოიცავდა, რამაც დევნის სამიზნე ორგანიზაციების არსებული ფორმით მუშაობა ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა;

- ე.წ. „რუსული კანონის“ ამოქმედებამ საქმიანობის სრულ შეწყვეტამდე სამოქალაქო სექტორის ყველაზე მოწყვლადი, შედარებით მცირე ზომის, რეგიონული და უმეტესად, სათემო საქმიანობის მქონე ჯგუფები და ინიციატივები მიიყვანა;

- ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად, რეგისტრაციის გადაწყვეტილება მიიღო სამოქალაქო ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილმა, უმეტესწილად – სერვისის მიმწოდებელმა და რეგიონულმა ორგანიზაციებმა. მათი ნაწილისთვის ეს გადაწყვეტილება რთულ მორალურ და ეთიკურ დილემებს გულისხმობდა და ის ბენეფიციარების სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად მიღებული იძულებითი გადაწყვეტილება იყო;

- „აგენტების შესახებ“ კანონს ისეთივე გავლენა არ ჰქონია სექტორიდან ორგანიზაციების გამოთიშვაზე, როგორც ეს ე.წ. „რუსული კანონის“ შედეგად მოხდა. თუმცა, კანონმა იმოქმედა გადარჩენილი ორგანიზაციების იმ ჯგუფზე, რომელთათვის სხვა თანმდევ სირთულეებთან ერთად გადამწყვეტი აღმოჩნდა კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ამ წნეხს, ძირითად დიდი ზომის ორგანიზაციები, მათ შორის, „ვოჩდოგები“, ასევე, შერეული და ფართე პროფილის ორგანიზაციები გადაურჩნენ, თუმცა, კანონის ზეგავლენა მათზეც მნიშვნელოვნად აისახა;

- „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილება მძიმე და გადამწყვეტ წნეხად მიიჩნევა, რამდენადაც დააზიანა და ფაქტობრივად, გადაკეტა დამოუკიდებელი და ავტონომიური დღის წესრიგის მქონე ორგანიზაციების ამ ფორმით გადარჩენის შესაძლებლობები, მათი რესურსებისა თუ ზომის მიუხედავად;

- ორგანიზაციების ნაწილი მათი დროებითი გაჩერების მიუხედავად, ახალი კოლექტივებით, შეცვლილი სამუშაო ფორმებითა თუ ინდივიდუალური გზებით რჩებიან წინააღმდეგობაში და იბრძვიან საზოგადოებრივი საქმიანობის გადასარჩენად. ხოლო ორგანიზაციები, რომლებიც დააზიანა და დაასუსტა არსებულმა გარემომ, ინარჩუნებენ ორგანიზაციული საქმიანო-

ბის ნაწილს ან მის მინიმუმს, რათა შეძლონ საქმიანობების გაგრძელება და არ დაუშვან ორგანიზაციების სრული გაჩერება. მათ მთავარ გამოწვევად რჩება საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის ადაპტაცია და პოტენციური ზიანის/საფრთხეების კონტროლი, რაც ორგანიზაციების მხრიდან მნიშვნელოვან ძალისხმევას საჭიროებს.

* * *

- საზოგადოებრივი ორგანიზაციებზე არსებობასა და ფუნქციონირებაზე შემდეგმა ფაქტორებმა მოახდინა არსებითი გავლენა: ხელისუფლებასთან თანამშრომლობის სივრცეების სრულად და ორმხრივად დახურვა, სამუშაო საკითხებისა და სივრცეების/სამუშაო გარემოს გაქრობა, ადგილობრივი საზოგადოებების /თემების მხრიდან ორგანიზაციებისგან დისტანცირების სურვილი, ორგანიზაციების გარშემო მტრული და შიშის გარემოს ჩამოყალიბება, ფინანსური რესურსების შემცირება, ხოლო მოგვიანებით, ფინანსური რესურსების მიღების შეუძლებლობა და შედეგად, საქმიანობის არსებითი შემცირება, სამართლებრივი (მათ შორის სისხლისსამართლებრივი) პასუხისმგებლობის რისკების ზრდა, თანამშრომლების გადინება, ფიზიკური ინფრასტრუქტურის დაკარგვა, ორგანიზაციების შიგნით ერთგვარი თვითშეზღუდვისა და თვითცენზურის პრაქტიკა;

- საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შევიწროების, ზეწოლის, დაშინებისა და ანგარიშსწორების გამოცდილებებმა. 2024 წლიდან ორგანიზაციების მიმართ განსაკუთრებულად გაიზარდა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხეები, შევიწროებისა და ზემოქმედების ფორმები კი უფრო ინტენსიური გახდა, რაც ფიზიკური უსაფრთხოების რისკებთან ერთად მძიმე ემოციურ წნეხს ქმნიდა. ფიზიკური უსაფრთხოებისა თუ სხვა ფორმებით ანგარიშსწორების რისკებმა ერთეულ შემთხვევებში მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქმიანობის შეჩერების/ორგანიზაციის დახურვის გადაწყვეტილებებზე;

- ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობის ტრაექტორიები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. კერძოდ, სხვადასხვა სტრუქტურულმა ფაქტორმა, როგორიცაა რესურსებზე არათანაბარი წვდომა, ორგანიზაციების სიდიდე, მოქმედების გეოგრაფიული არეალი, ინსტიტუციური კავშირები და სხვა, არსებითად განსაზღვრა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობისა და მედეგობის შესაძლებლობები.

სამოქალაქო ორგანიზაციებისა და დონორი ორგანიზაციების როლი სამოქალაქო ორგანიზაციების გადარჩენის პროცესში

- შეცვლილ სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოზე საპასუხოდ, სამოქალაქო საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მთავარ სტრატეგიად წინააღმდეგობა დაისახეს. სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობა ძლიერი აღმოჩნდა, რაც სექტორის მედეგობასა და ბრძოლისუნარიანობაზე მიუთითებს;

- ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნების მიხედვით, სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციაზე უარის შესახებ მიღებული საერთო გადაწყვეტილება, ქართული სამოქალაქო საზოგადოების შიგნით მიღწეული მნიშვნელოვანი კონსენსუსია, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგობის ერთობლივი პროცესის შედეგადაც მომწიფდა;

- 2023 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღების პირველი მცდელობის შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ძალისხმევის შედეგად ხელისუფლების უკანდახევით დასრულდა, ორგანიზაციების შიგნით, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, შესაძლო ნეგატიური სცენარებისთვის მზადების პროცესი არ დაწყებულა. შედეგად, სამოქალაქო საზოგადოება 2024 წელს მიღებულ ე.წ. „რუსულ კანონს“ არსებითად მოუმზადებელი შეხვდა;

- სამოქალაქო ორგანიზაციების წიაღში შექმნილი წინააღმდეგობისა და სამართლებრივი მხარდაჭერის ფორმატების მსგავსად, არ შექმნილა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადაპტაციასა და გადარჩენაზე ფოკუსირებული მსჯელობის სივრცე, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სექტორის სიცოცხლისუნარიანობაზე;

- კვლევა აღწერს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადარჩენისა და ადაპტაციის დაგვიანებულ პროცესს, რაც წინააღმდეგობის გამოცდილების საპირისპიროდ, ავლენს გადარჩენის/ადაპტაციის კოლექტიური პროცესის არარსებობასა და ორგანიზაციების გადარჩენის გზების ინდივიდუალიზებას;

- კვლევა ავლენს სამოქალაქო ორგანიზაციების საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების, ფართო საზოგადოებასთან კავშირების შენების, საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ფართო ჯგუფების ინტერესებისა და

საჭიროებების წარმომადგენლობის დეფიციტურობის პრობლემებს, რაც წლების მანძილზე იწვევდა გაუცხოებას სამოქალაქო სექტორის ნაწილსა და საზოგადოების დიდ ჯგუფებს შორის და რაც მოგვიანებით, ხელოვნურად იქნა გაცოცხლებული და გამოყენებული „ქართული ოცნების“ პროპაგანდის ამოცანებისთვის;

- დონორი ორგანიზაციები, რომლებიც პარალელურად საერთაშორისო პოლიტიკური აქტორებიც არიან, მოუმზადებლები შეხვდნენ ქვეყანაში შექმნილ მწვავე პოლიტიკურ ვითარებას, რომლის დღის წესრიგი პირდაპირ გულისხმობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განადგურების ამოცანას;

- დონორმა ორგანიზაციებმა სამოქალაქო სივრცის შევიწროების ერთწლიანი განგრძობადი პროცესის განმავლობაშიც ვერ შეძლეს კოორდინირებულად და ადეკვატურად ეპასუხათ არსებული ვითარებისთვის და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც დემოკრატიული ძალების, გადარჩენის პროცესში;

- ცალკეული, უმეტესად დიდი და საშუალო ზომის ორგანიზაციების რამდენიმე დონორმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ორგანიზაციების გადარჩენაში და მოქნილობის, რეალური მხარდაჭერისა და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების კარგი მაგალითები აჩვენა;

- შედარებით დიდ და საშუალო ორგანიზაციებსა და მცირე ზომის ორგანიზაციებს შორის არსებული მნიშვნელოვანი და გადაულახავი რესურსული (არამხოლოდ ფინანსური) ასიმეტრია, რაც ათწლეულების მანძილზე სამოქალაქო სექტორის უთანასწოროდ განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოცემულობა იყო, ყველაზე მწვავედ კრიზისის დროს გამოვლინდა და ავტომატურად გამიჯნა ერთმანეთისგან მცირე და შედარებით დიდი ორგანიზაციების გადარჩენის გზები და შესაძლებლობები;

- განვითარების დახმარების დღის წესრიგი, რომელიც მიზნად არ ისახავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობისათვის აუცილებელი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შექმნას, კრიზისის დროს ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა. განვითარების დახმარების მნიშვნელოვანი რესურსები, რაც ფიზიკური სივრცეების განვითარებას მიემართებოდა, ძირითადად ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვის ქვეშ არსებული საჯარო ინფრასტრუქტურების შექმნას

მოხმარდა, საიდანაც დღეს სრულად არიან გამოდევნილნი საზოგადოებრივი ორგანიზაციები;

- კვლევა აჩვენებს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოოპტაციის გარკვეულ მცდელობებს, რაც, შესაძლოა, გამოიხატებოდეს ხელისუფლების მიერ 2025 წელს სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს შექმნაში. თუმცა, ამ დროისთვის კოოპტაცია, როგორც ადაპტაციის ერთგვარი ფორმა, არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობის მიერ არჩეულ სტრატეგიას.

5. მტრული საკანონმდებლო ჩარჩოსა და რიტორიკის გავლენა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაზე

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, ე.წ. „რუსული კანონი“, პარლამენტმა 2024 წლის ივნისის დასაწყისში მიიღო.[99] კანონის მიღებით „ქართულმა ოცნებამ“ დაიწყო ახალი სამართლებრივი და ინსტიტუციური გარემოს შექმნა, რაც არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირების უფლებრივი შეზღუდვის, მათი სტიგმატიზაციის მიზნებს და საზოგადოებრივი თუ უფლებადაცვითი საქმიანობის მიმართ სადამსჯელო მიდგომებს საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებდა და გაცხადებული სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილად აქცევდა.

მოგვიანებით, 2025 წელს „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ ე.წ. „აგენტების კანონის“ მიღებით, რაც კიდევ უფრო ზრდიდა სამოქალაქო ორგანიზაციების სტიგმატიზაციის, მათ მიმართ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკებს და „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით, რამაც შეზღუდა საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობები მთავრობასთან შეთანხმების გარეშე, ფაქტობრივად დასრულდა სამოქალაქო სივრცის განეიტრალებისთვის შექმნილი ახალი ინსტიტუციური ჩარჩოს ფორმირება.

ერთწლიან პერიოდში შექმნილმა საკანონმდებლო რეალობამ, ფუნდამენტურად გარდაქმნა სამოქალაქო ორგანიზაციების ფუნქციონირების ინსტიტუციური, უფლებრივი, ოპერაციული და საარსებო გარემო, რაც აისახა ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლებლობებზე, ასევე, ორგანიზაციულ, ოპერაციულ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზე და გადამწყვეტი როლი ითამაშა სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი ნაწილის ფაქტობრივი გაჩერებისა და გადარჩენილი ნაწილის დასუსტების პროცესში.

საზოგადოებრივი საქმიანობის ადმინისტრაციული თუ სისხლისსმართლებრივი წესით დასჯადობის სამართლებრივი შესაძლებლობის გაჩენამ, ამგ-

99 კანონი სრულად 60 დღის შემდეგ, 2024 წლის აგვისტოდან ამოქმედდა.

ვარი სამუშაოს გაგრძელება მნიშვნელოვან ორგანიზაციულ თუ ინდივიდუალიზებულ რისკებს დაუკავშირა, რასაც დამატებით თან სდევდა გაზრდილი ფიზიკური უსაფრთხოების რისკები, ემოციური თუ ფინანსური სირთულეები, რთულად განჭვრეტადი და ბუნდოვანი მომავალი, რამაც უკიდურესად შეამცირა საზოგადოებრივი საქმიანობის უსაფრთხოდ გაგრძელების შესაძლებლობები.

ორგანიზაციების ყოველდღიურობაზე ახალი საკანონმდებლო გარემოს მყისიერ ზეგავლენას აძლიერებდა ის საინფორმაციო ველი, რაც სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ ე.წ. სახელისუფლებო მედიისა და ხელისუფლების მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ წლების განმავლობაში იქმნებოდა და რაც საკანონმდებლო თუ დისკურსულ ველში „უცხოური გავლენის გამტარებლისა“ და „უცხოეთის აგენტის“ სახელდებებით ჩამოყალიბდა. კერძოდ, კვლევა ადასტურებს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებზე მნიშვნელოვნად აისახა ხელისუფლების რიტორიკა მათი მტრად მონიშვნის შესახებ, რაც მნიშვნელოვნად უსწრებდა წინ საზოგადოებრივი სივრცეების გაქრობისკენ მიმართული კანონების მიღებას. მეტიც, ორგანიზაციების დელეგიტიმაციის, სტიგმატიზაციისა და მათ მიმართ უნდობლობისა და შიშის გაჩენის მრავალწლიანი მცდელობა, ახალი საკანონმდებლო რეალობის ფორმირებისთანავე მყისიერად მოდის მოქმედებაში და მნიშვნელოვნად აისახება ორგანიზაციების ყოველდღიურ საქმიანობაზე.

ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებას უკავშირდება სამოქალაქო ორგანიზაციების ინსტიტუციონალიზებული პოლიტიკური პროცესებიდან დემონსტრაციული და მყისიერი გამოთიშვა, რაც ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციების, განსაკუთრებით რეგიონული და სათემო ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე და ცვლის დამოკიდებულებებსა და მიდგომებს ორგანიზაციებისა თუ მათთან დაკავშირებული პირების მიმართ.

„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი, ე.წ. „რუსული კანონი“ ამ დრომდე ხელისუფლების მხრიდან პროაქტიურად აღსრულებადი არ არის იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც არ დარეგისტრირდნენ სპეციალურ რეესტრში. 2025 წლის ივნისის თვემდე ასევე არ გვქონია „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტის“ ე.წ. „აგენტების კანონის“ მოქმედებაში მოყვანის პრეცედენტები ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან. კვლევა აჩვენებს რომ სამოქალაქო ორგანიზაციების უმრავლესობის შემთხვევაში გადამწყვეტი აღმოჩნდა კანონების ძალაში შესვლის ფაქტი და მისი თანმდევი „მსუსხავი ეფექტი“, რაც კანონების მიღებისთანავე დრამატულად აისახა სამოქალაქო

ორგანიზაციების უმრავლესობაზე, მათ დიდ ნაწილში კი მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

დამატებით, სამოქალაქო ორგანიზაციების განეიტრალების, გაჩუმებისა და დასუსტების ამოცანა ჰქონდა სხვადასხვა უწყებების მიერ დაწყებულ სისხლისსამართლებრივ და ადმინისტრაციულ პროცესებს, რომელთა სამიზნე 2025 წლის ივნისიდან დღემდე ათეულობით სამოქალაქო ორგანიზაცია გახდა და მათი საქმიანობა სისხლის სამართლის გამოძიებისა და მონიტორინგის ობიექტად იქცა. ხელისუფლების ამ თვითნებურმა ქმედებებმა ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრა მათ სამიზნედ მონიშნული ორგანიზაციების დღეს არსებული სირთულეები.

რამდენადაც კვლევის საველე სამუშაო 2025 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში ჩატარდა, სამოქალაქო ორგანიზაციების მდგომარეობაზე მნიშვნელოვნად იყო გამოხატული ამ ფაქტორების ზეგავლენა. წინამდებარე კვლევის ეს თავი შეეცდება აღწეროს სამოქალაქო ორგანიზაციების 2025 წლის სექტემბრის დასასრულისთვის არსებული საერთო სურათი და აჩვენოს მათი ფუნქციონირებისა და საქმიანობის ის სფეროები, სადაც ზიანი არსებითი და ხელშესახებია. ასევე, ეს ქვეთავი შეეცდება ზეგავლენის პარალელურად აჩვენოს ის თუ რა სტრატეგიებითა და მიდგომებით პასუხობდნენ ორგანიზაციები მათი განეიტრალების განგრძობად პროცესს და მის მრავალშრიან გავლენას.

კვლევის შემდგომი თავი შეეცდება აჩვენოს, თუ როგორ განსაზღვრა სამოქალაქო ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობა და ორგანიზაციული მედეგობა სხვადასხვა სტრუქტურულმა ფაქტორებმა, კერძოდ, იმგვარმა მოცემულობებმა, როგორიცაა ორგანიზაციების განსხვავებული ზომა, საქმიანობის ტიპი და ფორმა, საქმიანობის გეოგრაფია თუ განსხვავებული ფინანსური და ორგანიზაციული შესაძლებლობები.

5.1. ხელისუფლებასთან თანამშრომლობისა და დიალოგის სივრცეების გაქრობა და საქმიანობის რესტრატეგირების სირთულეები

ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებთან დიალოგისა და თანამშრომლობის ფორმატების სრულად გაქრობამ და ასევე, მათთვის ცალსახად მტრული და ანტაგონისტური გარემოს შექმნამ მნიშვნელოვნად დაავიწროვა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის არეალი. ამგვარი თანამშ-

რომლობის სივრცეების დახურვა 2024 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებას უკავშირდება. ახალი გარემოს ზეგავლენა თანაბრად გავრცელდა როგორც თბილისში მოქმედი, ისე რეგიონული ორგანიზაციების საქმიანობაზე და მათი დიდი უმრავლესობა საკუთარი დღის წესრიგების არსებითი ცვლილების საჭიროების წინაშე დააყენა. ამ გამოწვევას ორგანიზაციები არაერთგვაროვნად გაუმკლავდნენ.

თანამშრომლობის სივრცეების სრული გაქრობა

ხელისუფლების მიერ სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის სივრცეების შეკუმშვა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ დამოკიდებულებების ცვლილება განგრძობადი პროცესი იყო და წინა წლებში მას სხვადასხვაგვარი გამოვლინება ჰქონდა. წინარე გამოცდილება და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის განზრახ დაზიანების მკვეთრი ნიშნები უმეტესად 2023 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ ინიციირებისა და მისი მიღების პირველ მცდელობას უკავშირდება.

ძლიერი სამოქალაქო წინააღმდეგობის შედეგად კანონპროექტის ჩაგდების შემდეგ, სამუშაო ფორმატები მეტ-ნაკლებად შენარჩუნდა, თუმცა, აშკარად შეიცვალა ორგანიზაციების მიმართ დამოკიდებულება, მიმართება და ენა. ამასთან, საჯარო ველში შენარჩუნდა ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ აშკარად გამოხატული მტრული რიტორიკა.

კვლევის არაერთი მონაწილე 2024 წლამდე პერიოდში სამუშაო ფორმატებში სამოქალაქო ორგანიზაციების დელეგიტიმაციის, დამცირებისა და შეურაცხყოფის, შეხვედრებიდან ცალკეული სათემო ორგანიზაციების გამორიცხვის, ერთობლივი სამუშაო ფორმატების ჩაშლისა და ურთიერთობების დაზიანების არაერთ შემთხვევაზე საუბრობს. ეს მოცემულობა იმთავითვე აჩვენებდა, რომ უახლოეს მომავალში ხელისუფლების მტრული დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდებოდა.

> *„ჩვენ შარშან შევწყვიტეთ საჯარო სამსახურთან თანამშრომლობა, მაგრამ ეს იცით როგორ იყო? ნელ-ნელა ხდებოდა….[ერთ-ერთმა] სამინისტრომ 2 წლის წინ გვითხრა, რომ ვეღარ ვითანამშრომლებთ…სამინისტროსთან გვქონდა ძალიან კარგი თანამშრომლობა მუდმივად…სერიოზული think tank-ის ფუნქციას ვასრულებდით ნამდვილად…*

> *[2023 წელს] პირველი შემთხვევა იყო, როდესაც [ერთ-ერთმა] სამინისტრომ... 2 დღით ადრე გვითხრა, რომ აღარ შემოგიშვებთ [ერთობლივი პროგრამის ჩასატარებლად].*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ხელისუფლებასთან მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობის გამოცდილების მქონე, წამყვანი სექტორული/დარგობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ამგვარად იხსენებს თანამშრომლობის სრულ გაქრობამდე შეცვლილ სამუშაო გარემოს.

> *„სამუშაო პროცესებში [იყო] დამცირება, რომ თქვენ არავინ არა ხართ...პირისპირ ვერ გამოიყენებენ ამ ტერმინს [აგენტს] იმიტომ, რომ მშვენივრად იციან, რომ არავის აგენტი არა ხარ და თვითონაც ხვდებ,ა რომ ამით ვერ მოახდენს შენს დამცირებას იმ გარემოში. საჯაროდ შეიძლება პუბლიკისთვის კარგი არგუმენტი იყოს. ამიტომ პირისპირ საუბარში უფრო აპელირებს, რომ შენ ხარ უვიცი, არაფერი არ იცი და რომ არავის არ წარმოადგენ, ლეგიტიმური არაფერი შენს უკან არ არის".*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

შეცვლილი და დაზიანებული გარემოს მიუხედავად, 2024 წლამდე გარკვეული ტიპის თანამშრომლობა ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის გრძელდებოდა. თუმცა, ეს მკვეთრად იცვლება 2024 წლიდან და უკავშირდება ე.წ. „რუსული კანონის" ხელახალ ინიციირებასა და მიღებას. ე.წ. „რუსული კანონის" ინიციირებას და ხელისუფლების ღიად მტრულ რიტორიკას მოჰყვა სამოქალაქო ორგანიზაციების შემხვედრი ბოიკოტი, რომლებმაც კანონის ჩაგდების მოთხოვნით ხელისუფლებასთან ნებისმიერი თანამშრომლობა შეაჩერეს.[100] პარალელურად, სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის სათემო ორგანიზაციებმა, როგორც ცენტრალურ ისე ადგილობრივ დონეებზე, წინააღმდეგობისა და თანამშრომლობაზე უარის ნიშნად დატოვეს ის მონაწილეობითი ფორმატებიც კი, რომლებიც უმეტესად მათი დიდი ძალისხმევის შედეგად შეიქმნა და რომელთა არსებობას გადამწყვეტი როლი ჰქონდა სხვადას-

100 საერთაშორისო გამჭვირვალობა − საქართველო, რუსული კანონის ჩაგდებამდე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, აპრილი 2024, https://transparency.ge/ge/post/rusuli-kanonis-chagdebamde-sazogadoebrivi-da-media-organizaciebi-vacherebt-xelisuplebastan. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.).

ხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების ხელისუფლების წინაშე დაყენებისა და საზოგადოებრივი მონაწილეობის სივრცის შექმნისათვის. სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობაზე უარი, განსაკუთრებით, რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის, დღემდე რჩება ხელისუფლებასთან წინააღმდეგობისა და უთანხმოების წამყვან ფორმად.

> *„ყველა უწყებაში ვიყავით საკონსულტაციო ჯგუფში. სახალხო დამცველის მონიტორინგის ჯგუფშიც ვიყავით, ყველა დონეზე მუნიციპალური თუ ცენტრალური. ხშირად არ მოსწონდათ, რასაც ვამბობდი, კრიტიკული მოსაზრებები ჩემი და გვქონია დაპირისპირება, ოღონდ საქმიანი.. მიუხედავად ამისა, მაინც სულ ვგრძობდი პატივისცემით დამოკიდებულებას....მაგრამ მას მერე, რაც მეორედ ამოგვიგდეს „რუსული კანონი“, ესეთი ზეწოლა წავიდა ფსიქოლოგიური, ჩვენ დავტოვეთ ყველა კომიტეტი, ყველა საბჭო.[ერთ-ერთ] სამინისტროში ჩემი ადვოკატირებით შექმნილი კომიტეტიც დავტოვე. „გონგო“ ორგანიზაციებსაც აღარ კრებს [სამინისტრო].მონაწილეობა დარჩა ფურცელზე..“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების საყოველთაო ბოიკოტის კვალდაკვალ, რაც დღემდე გრძელდება, მყისიერად და ფაქტობრივად სრულად დაიხურა ხელისუფლებასთან დიალოგისა და თანამშრომლობის ნებისმიერი შესაძლებლობა. ამდენად, 2024 წლის ზაფხულიდან სამოქალაქო ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის უკვე დაზიანებული ურთიერთობები, ფაქტობრივად სრულად და ორმხრივად შეწყდა.

ნიშანდობლივია, რომ საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ორგანიზაციების სავალდებულო მონაწილეობის საკანონმდებლო დონეზე გაუქმება და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის შეზღუდვის ზემოაღწერილი პრაქტიკა საერთოა კვლევაში მონაწილე ყველა იმ ორგანიზაციისთვის, რომელთა საქმიანობა სახელმწიფო უწყებებთან თანამშრომლობას მოიცავდა. სამოქალაქო ორგანიზაციების მტრად მონიშვნისა და მათგან დისტანცირების პრაქტიკა გავრცელდა ყველა ზომის, ტიპისა და საქმიანობის მქონე იმ ორგანიზაციაზე, რომლებიც ღიად აკრიტიკებენ ხელისუფლების პოლიტიკას და ორგანიზაციულად თუ პერსონალურად იყვნენ ჩართულნი მთელ ქვეყანაში განფენილ მრავალშრიან საპროტესტო მოძრაობაში. ამ საერთო მოცემულობიდან გამონაკლისია ორგანიზაციების ბენეფიციარების სამართლებრივ და სხვა სახის ინტერესებთან და საჭიროებებთან

დაკავშირებული კომუნიკაცია კონკრეტულ პასუხისმგებელ უწყებებთან თუ საჯარო მოხელეებთან, რაც ორგანიზაციების მცირე ნაწილის გამოცდილებაში შეუფერხებლად გრძელდება.

> *„საგამოძიებო ორგანოების დონეზე [ორგანიზაცია] ყოველთვის აქტიურად თანამშრომლობდა შსს-სთანაც [ორგანიზაციის წარმოებაში არსებული ინდივიდუალური] საქმეების დონეზე, პროკურატურასთანაც და სპეციალურთანაც [იგულისხმება სპეციალური საგამოძიებო სამსახური]. [ორგანიზაცია] ეხლაც ჩვეულებრივ კომუნიკაციაშია და ეხლაც ვერ ვიტყვი, რომ მტრულ გარემოს გვიქმნიან. პირიქით, ახლა უფრო მხარდაჭერითი დამოკიდებულება აქვთ, ინდივიდუალურ პროკურორებს და გამომძიებლებს ვგულისხმობ, რა თქმა უნდა. რამდენადაც ინსტიტუციურ დონეზე ბოიკოტის რეჟიმში დავრჩით, ჯერ-ჯერობით პერსონალურ დონეზე ეგ არ მოხდა, იმიტომ რომ ყველას კარგი პერსონალური ურთიერთობა ჰქონდა ამ ადამიანებთან... ველოდებით როდის „დაგვაქენსელებენ“ და როდის მოგვიბრუნდება ეს მტრული გარემო... ეს თანამშრომლობა [ამ საჯარო მოხელეებთან] დიდი ხანია გრძელდება და ალბათ ამ ერთობლივმა ტრენინგებმა და ვორქშოფებმა შედეგი გამოიღო“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„2024-ში ჩვენ ცენტრალურთან [ხელისუფლებასთან] და პარლამენტთან ერთხმად შევწყვიტეთ ურთიერთობა...შეუძლებელი იყო მათთან ურთიერთობის გაგრძელება. [თუმცა] ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ შესაძლებლობა დიალოგის, იქ, სადაც ის აუცილებელია. მაგალითად, [ერთ-ერთ უწყებასთან] ჩვენ ვერ შევწყვეტთ ურთიერთობას, რადგან მაგაზე ბევრი არის დამოკიდებული ჩვენი ბენეფიციარებისთვის. [ბენეფიციარების ინდივიდუალური საქმეებისთვის] გვჭირდება საქმეების მიწოდება, საქმეებზე დისკუსია, დახმარება და ა.შ. ეს მნიშვნელოვანი ნაწილია ჩვენი მუშაობის“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

თანამშრომლობის შეზღუდვის გამოცდილება გავრცელდა არა მხოლოდ ე.წ. ვოჩდოგ ორგანიზაციებზე, რომლებიც წლების მანძილზე ხელისუფლების მტრული რიტორიკის პირველად სამიზნეებს წარმოადგენდნენ, არამედ იმ ორგანიზაციებზეც, რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტების პირდაპირი მხარდაჭერისა და გაძლიერების ამოცანებს ემსახურებოდნენ. მეტიც, კვლევა აჩვენებს რომ ხელისუფლების წარმომადგენლები სახელმწიფო პროგრამე-

ბით განსაზღვრულ სერვისების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას ინარჩუნებენ მხოლოდ და უშუალოდ სერვისების განხორციელების საკითხებზე და დემონსტრაციულად აჩვენებენ მიუღებლობას და მათგან დისტანცირებას სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესებაზე მიმართულ სხვა საქმიანობებში.

მაგალითად, ერთ-ერთი დიდი სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ახლაც აგრძელებენ მნიშვნელოვანი სახელმწიფო სერვისის მიწოდებას მთელი ქვეყნის მასშტაბით, აღწერენ სახელმწიფო უწყებების შეცვლილ დამოკიდებულებას მათთან თანამშრომლობაში:

> *„ამ კანონების მიღების შემდეგ არ გვიკარებენ საერთოდ. ახლა იყო *** დღე. ჩვენს გარეშე არ იმართებოდა ხოლმე, ეხლაც ჩართული ვართ *** პროგრამაში, მითუმეტეს კონტრაქტიც გვაკავშირებს, სამინისტრომ იცის, რომ ჩვენ ერთ-ერთი მთავარი აქტორები ვართ... ყოველ წელს [ამ ღონისძიებაზე] სიტყვა გვქონდა ხოლმე...წელს ჩვენ არ დაგვიძახეს, არასამთავრობოები არავინ არ დაპატიჟეს...ჩვენ არასასურველი სტუმრები ვართ. ესე ცხადად არ მიგრძნია. *** ისეთი თემაა, პირიქით გვეხვეწებოდნენ, დახმარებას გვთხოვდნენ.. წინა კვირასაც დამირეკეს, თქვენი თანადგომა დაგვჭირდებაო [კონკრეტულ საქმეში], მაგრამ გამოსაჩენად ჩვენთან თანამშრომლობა აკრძალული აქვთ თვითონაც“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

კვლევაში გამოკითხული სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი ნაწილი თანამშრომლობითი ფორმატებიდან მათ სრულ განდევნას უმეტესად 2024 წელს უკავშირებს. თუმცა, ის სათემო ორგანიზაციები, რომლებიც რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების, ასევე ლგბტ თემის უფლებებზე მუშაობენ, ბევრად ადრე წააწყდნენ მკვეთრად მტრულ და ანტაგონისტურ დამოკიდებულებებს, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლებების მხრიდან, რამაც მათი სამუშაო ფორმატებში დაშვება, მათთან შეხვედრა და თანამშრომლობის შესაძლებლობები 2024 წლამდე დახურა.

> *„პრობლემები ორგანიზაციის საქმიანობას შეექმნა უფრო ადრე, ვიდრე კანონების მიღება თუ ინიცირება იქნებოდა... 2022 წლიდან, 2023 წლიდან დაიწყეს შეზღუდვა, უკვე აღარ გვხდებოდნენ, აღარ გვეთანამშრომლებოდნენ. უკვე 2023-24 წლიდან დაიწყო როგორც მტრად და მოწინააღმ-*

დეგედ წარმოჩენა ჩვენი და დანახვა. შესაბამისად, ჩვენი მუშაობა მათთან ავტომატურად თავისით შეჩერდა“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„მუნიციპალიტეტთან მტრული ურთიერთობა... ახლა ყველა რომ ამბობს, ეგეთი ურთიერთობა აქვთ.., ჩვენ ეს ურთიერთობა 5 წელია გვაქვს. 5 წელია მათ [ადგილობრივი მუნიციპალიტეტი] თვალებში ჩვენ ვართ მტრები... 2022 წლამდე შეხვედრები და რაღაცეები ტარდებოდა. 2022-ის მერე საერთოდ არ ყოფილა“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

თანამშრომლობის სივრცეების გაქრობა მუნიციპალურ დონეებზე

ნიშანდობლივია, რომ თანამშრომლობის სივრცეების სრული ჩაკეტვის ამოცანა მყისიერად გადადინდა ადგილობრივ მუნიციპალურ დონეებზე და იმავე სიხისტით ამოქმედდა. ადგილობრივი მუნიციპალური ორგანოები ჩაკეტილი და მტრული გახდა იმ მცირე სათემო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ინიციატივების მიმართაც კი, რომლებიც წლების მანძილზე მნიშვნელოვან ძალისხმევას სწევდნენ მუნიციპალიტეტის გამყარებისთვის, ახალი პოლიტიკის შექმნისა თუ მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების გაძლიერებისთვის.

კვლევის მონაწილეები ჰყვებიან, თუ როგორ მყისიერად დაზიანდა მანამდე ნაყოფიერი, გადაჯაჭვული და ინტენსიური თანამშრომლობითი პროცესებიც კი და როგორ გაიდევნენ დიდი გამოცდილების და წვლილის მქონე ადგილობრივი სათემო ორგანიზაციები ადგილობრივი პოლიტიკის სივრცეებიდან:

„ძალიან კარგი დამოკიდებულება გვქონდა ჩვენ მერიასთან, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ჩვენ არასდროს არ გვქონია ურთიერთობა... ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან გვქონდა ხოლმე შეხება, ძალიან კარგი... მერიას ვეხმარებოდით ყოველთვის... მერიის გენდერული საბჭოს წევრები ვიყავით, მერის მრჩეველი ვიყავი... არასამთავრობო სადაც იყო საჭირო, ჩვენ ვიყავით... ჩავარდნა ჰქონდათ და ჩვენი დახმარება სჭირდებოდათ, ჩვენ ვაფინანსებდით და ტრენინგებს ვუტარებდით მათ თანამშრომლებს. [გასული წლიდან] დაგვეძაბა ურთიერთობა.. მე დავტოვე მათი გენდერული საბჭო და ვუთხარი, რომ არ ღირს თქვენთან თანამშრომლობა. გამოვიდა

,რომ ჩვენ ჩვენით დავტოვეთ გენდერული საბჭო. [ახლა] არც თვითონ არაფერზე არ გვეძახიან და არც ჩვენ, რა თქმა უნდა, პროტესტში ვართ".

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„მე ვიყავი საბჭოს წევრი წლები მუნიციპალიტეტში და თუკი რამე პროგრამა იყო ჩემი ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა. მერის მრჩეველთა საბჭოშიც ვიყავი და შშმ პირთა საკონსულტაციო საბჭოშიც და შარშან დავტოვე ეგ ყველაფერი.... გასულ წელს მას მერე რაც დაიწყო აპრილში „რუსულ კანონზე" ლაპარაკი, იმ დღიდან ვგრძნობთ ადგილობრივ თვითმმართველობისგან დაძაბულ, არაკეთილმოსურნე დამოკიდებულებას...[წლების მანძილზე] საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვქონდა... რაღაცნაირი ღიაობა ყოველთვის ჰქონდათ. ის, რომ ჩვენ ძველი და გამოცდილი ორგანიზაცია ვართ ყოველთვის გვისმენდნენ. ინიციატივა არ გვქონია, თანხმობა რომ არ გამოეხატათ. ეს იცვლება მეორე „რუსული კანონიდან", რომელიც მიიღეს".

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„თავის არიდება ჩვეულებრივი ამბავია იმ კანონების მერე, სხვადასხვა მხარეს ვართ უკვე მათთვის... გვარიდებენ თავს. ახლა აშკარაა, ორი წელია ფაქტობრივად არავის არ მივუწვევართ ბიუჯეტის [განხილვაზე], არც გადმოგზავნილა. ადრე მეილებით გზავნიდნენ, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ისე იგეგმება ,არ გვეკითხებიან არავის, იმიტომ, რომ მათთვის მტრები ვართ..-.იციან, რომ არ ვართ, გვიცნობენ, უთანამშრომლიათ, მაგრამ ესეთი დავალება აქვთ".

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

თანამშრომლობითი სივრცეების დახურვის გავლენა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაზე

კანონის მიღებისთანავე სამოქალაქო ორგანიზაციების უმეტესობა საკუთარი სამუშაო დღის წესრიგის რადიკალური გარდაქმნის აუცილებლობის წინაშე დადგა. კვლევაში გამოკითხული არაერთი ორგანიზაციისთვის, მათი საქმიანობის დიდი ნაწილი განუხორციელებელი და არარელევანტური გახდა, რამდენადაც საქმიანობის მნიშვნელოვანი წილი კანონმდებლობაზე და პოლიტი-

კაზე გავლენის მოხდენას, სერვისების გაუმჯობესებისთვის საჭირო კვლევისა და ადვოკატირების სამუშაოებს გულისხმობდა.

დღის წესრიგის რესტრატეგირება მეტ-ნაკლები წარმატებით შეძლეს იმ ორგანიზაციებმა, რომელთა საქმიანობის დიდ ნაწილს ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება და დაცვა წარმოადგენდა. შესაბამისად, ხელისუფლებასთან ადვოკატირების სივრცეების დახშობის პარალელურად, ორგანიზაციების ამ კატეგორიამ არსებული რესურსები სრულად იმ საქმიანობებისკენ მიმართა, რაც მზარდი ავტორიტარიზმის შეკავებას, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გარანტიებისათვის მიყენებულ ზიანზე რეაგირებას და სხვა რელევანტურ საქმიანობას გულისხმობდა.

სამუშაო გარემოს ცვლილება განსაკუთრებულად დამაზიანებელი აღმოჩნდა ე.წ. think tank ორგანიზაციებისა და დარგობრივ პოლიტიკაზე მიმართული ორგანიზაციებისთვის, რომელთა ძირითადი სამუშაო გარემო ფაქტობრივად გაქრა. ეს გამოწვევა რთულად გადალახვადი აღმოჩნდა დიდი გამოცდილების მქონე, რესურსული ორგანიზაციებისთვისაც კი. მათ უმრავლესობას გაუჭირდა ახალი სამუშაო სტრატეგიებისა და ფორმების გამოგონება და საქმიანობის ცვლილება, რაც დამატებით გაართულა სწრაფად ცვლადმა, ბუნდოვანმა და საფრთხის შემცველმა გარემომ. მსგავსია იმ ადგილობრივი ფონდებისა და ე.წ. ინფრასტრუქტურული ორგანიზაციების გამოცდილებაც, რომელთა ძირითად სამუშაო ველს რეგიონულ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ხოლო მთავარ სამუშაო ამოცანას – ადგილობრივი მუნიციპალური პოლიტიკის გაუმჯობესება წარმოადგენდა.

> *„ჩვენ გვქონდა მსხვილი რამდენიმე პროგრამა...ვხედავდი, რომ ის, რასაც მე ვიმედოვნებდი, რომ გავაკეთებდით, იმას ისე ვეღარ ვაკეთებდით, ადვოკატირების ნაწილი გართულდა და მომდევნო პროექტებისთვის საჭირო იყო სტრატეგიის შეცვლა...2024 წლის მარტში იმდენად ამოყირავდა ყველაფერი, მომავალი სამი წლის რა სტრატეგია უნდა დამეწერა *** სფეროში, ახლაც არ ვიცი.. რა პროდუქტს დავდებ, რა ღირებულებას შევქმნი, არ ვიცი, ვერაფერზე ვერ ვაკეთებ „ქომითმენთს“, ვერ მივხვდით [როგორ უნდა შეგვეცალა მუშაობა] და მერე უკვე გეომეტრიული პროგრესიით წავიდა მსხვრევა გარემოსი“.*
>
> *(საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

> *„ქორფანდინგი“ აღარ გვაქვს. დასრულდა და ახალი თანხები აღარ მოვითხოვეთ. არ მოვითხოვეთ იმიტომ, რომ ფული რომც გვქონდეს, რას ვაკეთებ, რა შედეგზე გავდივარ. ყოველთვის როდესაც [დონორს ფულს] ვთხოვ, ვეუბნები, რომ ეს სტრატეგია მაქვს და ამისთვის მომეცი ფული, არ მაქვს გრძელვადიანი სტრატეგია. დონორს როგორ მოვთხოვო ...როდესაც არ ვიცი, რას შევძლებ და რას ვერ შევძლებ...[მუშაობის] ფორმებს ვეღარ ვიყენებთ იგივეს და ახალი არ გამოგვიგონებია ჯერ. ყოველთვის ეს ორგანიზაცია გრანტებს გასცემდა [ახლა] ფაქტიურად გრანტებს აღარ გავცემთ“.*
>
> *(საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ეს გამოწვევა ნაკლებად შეეხოთ პროფესიულ ასოციაციებს, პროფესიულ კავშირებს, სამეცნიერო/კვლევით ორგანიზაციებს, სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებსა და სოციალურ საწარმოებს, რამდენადაც მათი მუშაობა უმეტესად მშრომელთა და სხვა ჯგუფების, ბენეფიციარების, პროფესიული საზოგადოებებისა და კვლევითი დარგების ირგვლივ არის აგებული.

დღის წესრიგების ცვლილება და ახალ გარემოსთან ადაპტირება განსაკუთრებულად რთული აღმოჩნდა რეგიონული სათემო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ინიციატივების დიდი ნაწილისთვის, რომელთა მუშაობის გავრცელებული ფორმა ადგილობრივი პოლიტიკის გაუმჯობესებას მიემართებოდა. წლების მანძილზე გამოყენებული საქმიანობის ფორმის გაქრობამ, მათი გამოცდილებები, უნარები და ცოდნა ახალ გამოწვევებსა და შეცვლილ სამუშაო გარემოსთან არათავსებადი გახადა, რასაც პარალელურად თან სდევდა სათემო ორგანიზებისა და თემთან მუშაობის სირთულეები.

> *„პრობლემა არის რომ საერთოდ არ იცი რა შეიძლება გააკეთო..რაც იცი იმას ვეღარ აკეთებ... რა შეიძლება გააკეთო, ესეც ძაან დავიწროვდა...[ადგილობრივ ორგანიზაციებს] ეხლა უწევთ ყველაფრის გადააზრება... ყველაფერი, რასაც აკეთებდი, კითხვის ნიშნის ქვეშ არის, [აღარ იცი] რა ტერმინებით უნდა ელაპარაკო ადამიანებს, რომ მათთვის იყოს მისაღები და უსაფრთხო. და მართალიც იყო“.*
>
> *(ექსპერტული ინტერვიუ)*

რეგიონული და ადგილობრივი ორგანიზაციების ნაწილმა საწყის ეტაპზე მოახერხა დროებითი რესტრატეგირება და საქმიანობის დროებითი და ტრანზიტული სამუშაო ფორმები შეიმუშავა. ეს უკანასკნელი ორგანიზაციის

გადარჩენის ამოცანების პარალელურად, თემის მობილიზაციისა და ავტორიტარიზმთან ბრძოლაში წვლილის შეტანას მოიცავდა, როგორც ორგანიზაციული, ისე ინდივიდუალური ძალისხმევით. ორგანიზაციების ამ ნაწილისთვის დემოკრატიული გარემოს შეკუმშვის ტენდენციის დასრულება 2024 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს უკავშირდებოდა, ამდენად, მათ მიერ ადაპტაციის საჭიროებაც მოკლევადიანად იყო დანახული.

5.2. ცვლილებები საზოგადოებრივ განწყობებში და თემთან მუშაობის სირთულეები

საქმიანობის გაგრძელება თუ საქმიანობის ახალი შინაარსებისა და ფორმების ძიება დამატებით გაართულა საზოგადოებრივ ველში გამოხატულმა მნიშვნელოვანმა ცვლილებებმა, რაც განსაკუთრებულად მტკივნეულად აისახა რეგიონულ სათემო ორგანიზაციებზე. ასევე, თბილისში დაფუძნებულ იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც რეგიონული ოფისების, რეგიონული წარმომადგენლების თუ სხვა ფორმების გამოყენებით, ასევე აქტიურად მუშაობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

კვლევის მონაწილეები აღწერენ შეცვლილ სოციალურ ველს, რაც შეცვლილ საზოგადოებრივ განწყობებში გამოიხატა და ხშირად შეუძლებელიც კი გახადა ადგილებზე საქმიანობის გაგრძელება. ეს განსაკუთრებით აისახა სათემო შეხვედრების, სათემო მუშაობის, საჯარო შეხვედრების, საჯარო ღონისძიებების და სხვა ფორმების გამოყენების შესაძლებლობებზე.

კვლევის მონაწილეების დაკვირვებით, შეცვლილი გარემო სამოქალაქო ორგანიზაციებისადმი უნდობლობაზე მეტად, მათთან თანამშრომლობისა და ასოცირების შიშსა და სიფრთხილეს უკავშირდება. ორგანიზაციების საქმიანობისგან დისტანცირებითა და ერთგვარი თვითშეზღუდვით, მოქალაქეებმა შეწყვეტეს ან შეამცირეს კავშირები ხელისუფლების მიერ არასასურველ და მტრულ ჯგუფებად გამოცხადებულ ორგანიზაციებთან. მოქალაქეთა შიშები, როგორც წესი, უკავშირდება მათთვის ან მათი ოჯახის წევრების სამსახურისა თუ სოციალური ბენეფიტების დაკარგვის რისკებს და სხვა პოტენციურ სირთულეებს, რომლებიც, შესაძლოა, მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობაში წარმოიშვას. კვლევის ფარგლებში გამოკითხული საზოგადოებრივი ჩართულობის ექსპერტი ამგვარად აღწერს საკუთარ დაკვირვებას:

„თემს აღარ უნდა ისეთთან აფილირება, რომლის მიმართაც პრეტენზია აქვს სახელმწიფოს... შენი ტრენინგისთვის იმდენად თავს არ აიტკივებს, რომ სოფლის რწმუნებულის სამიზნე გახდეს თემში. შენ ვერაფერ ისეთ ბენეფიტს ვერ შესთავაზებ მას, რასაც სთავაზობს ადგილობრივი ხელისუფლება უსაფრთხოების თვალსაზრისით, ფინანსური თვალსაზრისით თუ დაცვის თვალსაზრისით. ამიტომ როდესაც ადგილობრივ დონეზე ჩნდება ღია კონფლიქტი და დაპირისპირება ადგილობრივ ხელისუფლებასა და სათემო ორგანიზაციას შორის, თემი უფრო მეტად დგება ადგილობრივი ხელისუფლების მხარეს, მოწყვლადობიდან და დაუცველობიდან გამომდინარე. დიდი ქალაქების მაცხოვრებლებისგან განსხვავებით, ის დამოკიდებულია ადგილობრივ თვითმმართველობაზე... ინდივიდუალურ დონეზე შეიძლება არავინ არ გაგრიყოს, მაგრამ აღარ ჩაერთვებიან შენს [ღონისძიებებში] და დისტანცირდებიან შენგან“.

(ექსპერტული ინტერვიუ)

*„მაგალითად, ერთ-ერთ ჩვენს პარტნიორს, რომელსაც ვეხმარებოდით **** გაკეთებაში ერთ პატარა ქალაქში, იქ რომ გამოაცხადეს ბავშვების მიღება, მშობლები ეუბნებოდნენ, ბავშვებს ხომ არ შეექმნებათ პრობლემა, რომ თქვენთან იარონ, რაკი თქვენ უცხოურ დაფინანსებას იღებთ. ეს მაგალითად მომაქვს. გასაგები გახდა ბევრი ორგანიზაციისთვის, რომ მარტივად არ არის საქმე. ცხადი გახდა, რომ ეს არის სისტემური ბრძოლის დასაწყისი ამ ძალების მხრიდან, და მოსახლეობის რაღაც ნაწილი, მითუმეტეს, რეგიონებში არის „მისგაიდიდ“ ასე ვთქვათ. კითხვები აქვთ, შიშები აქვთ, შეიძლება ირაციონალური, მაგრამ არსებობს. მე მგონი, რომ ამანაც მისცა ბიძგი ბევრ ორგანიზაციას რომ „ტაიმაუტი“ აეღო ამ მოლოდინში და აგერ მეორე დარტყმა მოვიდა გაზაფხულზე [2025 წელს მიღებული კანონები იგულისხმება]“.*

(საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი)

„[თემის სპეციფიკურობიდან და ხელისუფლებაზე დამოკიდებულებიდან გამომდინარე] მიუხედავად იმისა, რომ ხედავდნენ, ჩვენ როგორ დაგვეტყო ეს [კანონების მოქმედება] ვერანაირ თანადგომას მათგან ვერ ვხედავდით ...ის ბენეფიციარებიც კი, ვისთანაც ვმუშაობდით და ვისაც ვეხმარებოდით, არ აღმოჩნდნენ ჩვენ გვერდით, როდესაც ეს კანონმდებლობა შეიცვალა. არ ვიცი, ეს როგორი ფენომენია..“.

(საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი)

თემის წევრების დისტანცირების პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს და რეგიონული სათემო ორგანიზაციების თანამშრომლებში მნიშვნელოვან იმედგაცრუებას იწვევს. განსაკუთრებით, თემის იმ ნაწილის მიმართ, ვინც წლების მანძილზე იცნობდა ორგანიზაციას და სარგებლობდა კიდეც მათ მიერ შეთავაზებული მნიშვნელოვანი სიკეთეებით. თემის დონეზე მიმდინარე ეს პროცესები ასევე აზიანებს ადგილებზე არსებულ სოციალურ, ნათესაურ და პერსონალურ კავშირებს და ისედაც რთულ გარემოში, სათემო საქმიანობის გადარჩენის გზაზე ხშირად დემოტივაციისა და თემისგან გაუცხოების მიზეზიც ხდება.

„ერთ მხარეს არის ციხე, სოციალური გარიყულობა და სტიგმა და მეორე მხარეს გაქვს 500 ლარიანი ხელფასი და უმადურობა თემისგან გარკვეულწილად და შენი დიდი სურვილი, რომ შეცვალო რაღაცა უკეთესობისკენ... გულისწყრომაც გაქვს, ყველაფერს კარგს აკეთებდი და ახლა [სანაცვლოდ] მეორე მხარეს გიდებენ ციხეს... ეს გარკვეულწილად [გიბიძგებს] რომ გაჩერდე“.

(ექსპერტული ინტერვიუ)

„არის ხალხი, ვინც ცუდი რაღაცეები დაგვიწერეს... არის ხალხი, რომელიც თავს გვესხმოდა[ეს ის ხალხია ვინც არ გვიცნობდა]. მე ნაწყენი ვარ იმ ხალხზე, ვინც ძალიან კარგად გვიცნობს და ჩვენგან წლების განმავლობაში ძალიან ბევრი დახმარება მიიღეს... ეგ კი არა, სამშობიაროში ვერ მიუყვანიათ მშობიარე, რომ ჩემთვის არ დაერეკათ, მოგვხედე, დაგვეხმარე... ეს ხალხი რომ გაჩუმებულია, მე მაგაზე მაქვს პროტესტი...რატომ ხარ გაჩუმებული... უნდათ ჩვენთან, მაგრამ ეშინიათ, დახმარებები არ მოუხსნან“.

(საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი)

„იქამდე არასდროს მიგრძნია [გაუცხოება/ეჭვით ყურება]. უკვე მიღებული კანონის მერე ამას ვგრძნობდი ძალიან ბევრი ადამიანის თვალებში. ვერ გამიბედავს ვინმე, რომ რამე მითხრას, მაგრამ ეს იყო საგრძნობი... საჯარო მოხელეების დონეზეც და იმ საზოგადოებიდანაც [სადაც სათემო სერვისი გვაქვს]... ამას ვგრძნობდი 2000 წლებში როდესაც დავიწყეთ [სათემო სერვისი] და ფეხზე დავდექით და ეს ვიგრძენი ბოლო წელიწადნახევარია. ეს იყო საგრძნობი ჩემთვის, რომ ისევ ისეთი [გაუცხოება/უნდობლობა] მეორდებოდა... ეს ნარატივი ხომ მუშაობს, რომ ესენი [ორგანიზაციები] ჭამდნენ და ჭამდნენ [გრანტებს] და [თემმა] დაიწყო უფრო [მაგ თვალით] ჩვენკენ ყურება“.

(საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელი)

გამოკითხული რესპონდენტების თქმით, გაიშვიათდა ადგილობრივი და სათემო ღონისძიებების გამართვა და შემცირდა დასწრების მსურველთა რიცხვი. ასევე, ღონისძიებებზე ფარულობის პირობით დასწრების შემთხვევები გახშირდა. კვლევის მონაწილეები ასევე გვიზიარებენ გამოცდილებებს, თუ როგორ გახდა ორგანიზაციის რიგითი ღონისძიება და მასში მოქალაქეების მონაწილეობა სავარაუდოდ უსაფრთხოების სამსახურის კონტროლისა და თვალთვალის ობიექტი, ასევე იმასაც, როცა ღონისძიების გამართვა მათთვის ფიზიკური საფრთხის შემცველიც კი გახდა.

> *„[ერთ-ერთ რეგიონში] პროექტები გვქონდა ახალგაზრდებთან... ბოლო რამდენიმე რომ ჩავატარეთ, ტიტუშკები მოგვისიეს. იმ ხალხის ჩაყენებაც არ გვინდა საფრთხეში".*
>
> *(საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„[ერთ-ერთ რეგიონში] რომ ვიყავით ჩასული, მერე დავბრუნდით, [გვითხრეს[თქვენ რომ წახვედით, უშიშროების კაცი მოვიდა და [თქვენზე] მკითხა ვინები იყვნენ... [ადგილობრივი] ორგანიზაციები გვეუბნებიან, რომ მე შენ რომ გმასპინძლობ, რაღაცა რისკის ქვეშ ვარ...-.ისედაც „არასამთავრობოები" მტრად არიან გამოცხადებული და ვინც თანამშრომლობს [შენთან] მერე დაკვირვების ქვეშ არიან, რა გინდოდა, რა ილაპარაკე, რატომ შეხვდი... ძაან კონტროლია, განსაკუთრებით [ასახელებს რამდენიმე რეგიონს]...შენარჩუნებული რაც არის [აქტივობები], ძაან ლიმიტირებული არის აქტივობების გაკეთება, კონტროლის ქვეშ არის. [მაგალითად] კინო-ჩვენება იყო და პოლიციის მანქანა იყო გარეთ და აკვირდებოდნენ, ვინ შედიოდა.".*
>
> *(საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

2024 წლიდან საჯარო სკოლები და მუნიციპალური სივრცეები, რომლებიც მანამდე ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების მუშაობის მთავარ ფიზიკურ და სოციალურ ველს წარმოადგენდა, ჩაიკეტა და დღეს მათზე წვდომა მკაცრად კონტროლდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტებისა და განათლების სამინისტროს მიერ. შედეგად, სამოქალაქო ორგანიზაციები ფაქტობრივად ვეღარ ახერხებენ სკოლების მოსწავლეებთან, ახალგაზრდებთან, დაწყებითი და საშუალო განათლების რგოლის მასწავლებლებთან შეხვედრასა და მუშაობას.

„სკოლის მოსწავლეებთან ფაქტიურად საერთოდ აღარანაირი წვდომა აღარ გაქვს და [არც] პედაგოგებთან. [სკოლები] ძაან დაიკეტა. მაგას ამბობს ყველა თითქმის, რაჭაც, ბათუმიც, ფაქტიურად, სკოლაში ვეღარ შეხვალ. განათლების სამინისტროს ნებართვა გჭირდება და ამ ნებართვას ვერ მიიღებ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ტრენინგზე ადრე საბავშვო ბაღის მასწავლებლები მოდიოდნენ.. .ახლა ტრენინგზე რომ უნდათ მოსვლა... ეშინიათ ჩვენთან მოსვლა, რომ ბაღის გამგემ არ გაიგოს, რესურსცენტრის უფროსმა არ გაიგოს, რომ ჩვენთან არიან...რომ ვეკითხები, რატომ გიშლიან? არა, არ მიშლიან, მაგრამ რომ გაიგონ, არ მოეწონებათ...თავს იკავებენ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„იყო სკოლები, რომლებიც გვეხვეწებოდნენ, თუ რამე რესურსი გექნება ჩემთან მოდი, ჩემს სკოლაში, ჩემს ბავშვებთან.. ეგენიც კი აღარ გვიშვებდნენ სკოლებში“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

ადგილობრივ საზოგადოებებთან მუშაობის შეუძლებლობამ არაერთ შემთხვევაში ამ რეგიონებში, ორგანიზაციების რეგიონულ დონეებზე საქმიანობის შეჩერება და ადგილობრივი ოფისების დახურვაც კი გამოიწვია.

„გვქონდა [ორ რეგიონში ოფისები] მაგრამ რაღაც პერიოდის წინ დავხურეთ... აღარ იყო საჭირო. ვერ დავდივართ, იმიტომ რომ სკოლებთან ვურთიერთობდით…სკოლებში რომ შეხვიდე, გჭირდება განათლების სამინისტროდან [ნებართვა]“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ახალგაზრდულ პროექტებში შევიზღუდეთ...წელს ვთქვით, რომ გავაგრძელოთ მაინც და ვნახოთ.. 25-დან 12 თემი დავტოვეთ და იქ უმეტესობაში ახალგაზრდებმა თავისი თანატოლების მობილიზება ვერ გააკეთეს.., [ახალგაზრდებს] აღარ უღირთ, რომ მონაწილეობა მიიღონ... შიშის ფაქტორი არის უფრო... ასევე სკოლებშიც, ვისთანაც ვთანამშრომლობდით წლები, არ შეგვიშვეს იმ სკოლებში“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ქართული ოცნების“ მიერ სამოქალაქო ორგანიზაციების „უცხოდ“ მონიშვნა თბილისში დაფუძნებული, რესურსული უფლებადაცვითი ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების სახე-ხატებით იწარმოებოდა. მეტიც, კვლევის რესპონდენტები გვიზიარებენ პირად გამოცდილებებს, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები მათ „ამშვიდებდნენ“ რომ „აგენტისა“ და სხვა მსგავს სახელდებები ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებს არ მოიაზრებდა და მხოლოდ რამდენიმე დიდ „არასამთავრობო“ ორგანიზაციასა და მათ ხელმძღვანელებს მიემართებოდა. თუმცა, პარადოქსული,ა რომ კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციის კამპანია და მისგან გამომდინარე გარიყულობისა და იზოლაციის გამოცდილება, ყველაზე მძაფრად შეეხოთ რეგიონებში მოქმედ მცირე სათემო ორგანიზაციებსა და ინიციატივებს და ყველაზე მძიმედ სწორედ მათ სამუშაო ყოველდღიურობასა და მცირე საზოგადოებებში გამოვლინდა. თუმცა, თბილისში მოქმედი უფლებადაცვითი ორგანიზაციების ნაწილი ასევე საუბრობს მათ მიმართ შეცვლილ დამოკიდებულებებზე, რაც ცალკეული ორგანიზაციების მაგალითზე გულისხმობს უნდობლობის გაჩენისა და ხელისუფლების სამიზნედ მონიშნული ორგანიზაციებისგან დისტანცირების შემთხვევებს.

> *„როდესაც „რუსული კანონი“ იქნა მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ ის არ აღასრულეს და დღემდე არის აღსრულებული რეალურად, მაინც მას ჰქონდა მნიშვნელოვანი გავლენა ჩვენზე, „მსუსხავი ეფექტი“ ჰქონდა, როგორც მინიმუმ ჩვენს დამკვირვებლებზე... ეს იყო წელი როდესაც ძალიან გაგვიჭირდა დამკვირვებლების რეკრუტირება...[დამკვირვებლებზე გაზრდილ მოთხოვნას] დაემატა ეს „მსუსხავი ეფექტი“, ხალხი პირდაპირ აცხადებდა, რომ არ უნდათ თავი შარში გაყონ. იმ ხალხმა ვინც ჩვენთან თანამშრომლობდა, ნაწილმა უარი თქვა.. ეს იყო პირველი ნიშნები”.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის ის მიმართულებები, რაც სამართლებრივ დახმარებასა თუ სხვადასხვა სასიცოცხლო სერვისების მიწოდებას გულისხმობს, ჯერ-ჯერობით რჩება სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის იმ ფორმად, სადაც მოქალაქეთა მხრიდან დისტანცირების შემთხვევები ნაკლებად ვლინდება. კვლევის მონაწილეების შეფასებით, ეს ორგანიზაციასთან უშუალო შემხებლობაში მყოფი ბენეფიციარების დიდ ჯგუფებში ორგანიზაციისადმი მაღალი ნდობითა და ასევე მათთვის მიწოდებულ სერვისებზე წვდომის სასიცოცხლო საჭიროებით აიხსნება. თუმცა, არსებობს სერვისებზე უარის თქმის შემთხვევებიც. ასევე გამოცდილებები, როდესაც მოქალაქეებს სურთ გააგრძელონ სერვისით სარგებლობა, თუმცა, საჯაროდ ორგანიზაციასთან აფილირებას თავს არიდებენ.

„ხელისუფლების მხრიდან მტრად წარმოჩენამ მძიმე დაღი დაასვა ორგანიზაციას. ბოლოს უკვე, კანონების მიღების დროსაც, ისეთ სოციალურ აქტივობებშიც ,როგორც გინეკოლოგიური მომსახურების მიღება იყო, გვქონდა ქალებისგან უარი, სწორედ ამ მიზეზით – არასამთავრობოების მიმართ ნეგატიური განწყობების გამო“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ჩვენ, ვისაც სერვისს ვაწვდით, ძალიან კარგად იციან ჩვენი მუშაობის შესახებ, ნდობა არ შეიცვალა, მაგრამ ჩვენთან დაკავშირება [საჯაროდ] არ უნდოდათ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

5.3. შიდა ორგანიზაციული სირთულეები: ფინანსური რესურსებისა და საქმიანობის შემცირება, ორგანიზაციული ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების დაკარგვა

2024-2025 წლებში ჩამოყალიბებული რეპრესიული და მტრული საკანონმდებლო და ფიზიკური გარემო, სამოქალაქო ორგანიზაციების უფლებრივი და ინსტიტუციური მდგომარეობის გარდა, ასევე აისახა ორგანიზაციების შიდა რესურსულ და ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებზე. კვლევა აჩვენებს, რომ შეცვლილი გარემოს ზეგავლენით გამოწვეულმა ორგანიზაციულმა სირთულეებმა და რისკებმა დიდწილად განსაზღვრა ორგანიზაციების მდგრადობა, წინააღმდეგობის პოტენციალი და მათი სიცოცხლისუნარიანობა. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წინაშე 2024 წლიდან დამდგარი შიდა გამოწვევები უმეტესად გულისხმობს ფინანსური რესურსების შემცირებას და მოგვიანებით, ფაქტობრივ გაქრობას, მის შედეგად საქმიანობის შემცირებას, ასევე თანამშრომლებისა და ფიზიკური ინფრასტრუქტურის დაკარგვას.

შეცვლილი გარემოს შედეგად გამოწვეული ფინანსური სირთულეები

როგორც კვლევაში გამოკითხული სამოქალაქო ორგანიზაციები მიუთითებენ, მათი საქმიანობა არსებითად დამოკიდებულია საერთაშორისო ფინან-

სურ მხარდაჭერაზე, რასაც ორგანიზაციები ძირითადად გრანტის სახით, დასავლური განვითარების სააგენტოების, საერთაშორისო თუ კერძო უცხოური ფონდების და დასავლური სახელმწიფოების წარმომადგენლობებისაგან იღებენ. ზოგადად, განვითარების დახმარებაზე მაღალი ხარისხით დამოკიდებულება ქართული სამოქალაქო სექტორის ერთ-ერთი სტრუქტურული მახასიათებელია. მეტიც, სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების რესურსების დიდი ნაწილი, რომლებიც სხვადასხვა მოწყვლად ჯგუფებს სასიცოცხლო სერვისებს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში აწვდიან, ასევე, საერთაშორისო ფინანსურ მხარდაჭერაზეც არიან დამოკიდებული. ეს აჩვენებს არა მხოლოდ საზოგადოებრივი სექტორის, არამედ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოს მიერ მართული სოციალური და ჯანდაცვის სერვისების ფინანსურ დამოკიდებულებას განვითარების საერთაშორისო მხარდაჭერაზე.

კვლევაში გამოკითხული ორგანიზაციების დაფინანსების მცირე წილს საწევროები, შემოწირულებები, დამხმარე კომერციული საქმიანობითა თუ ბიზნეს სექტორთან თანამშრომლობით მიღებული შემოსავლები თუ კონტრიბუციები შეადგენს, რაც მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში სცდება ორგანიზაციების საერთო შემოსავლების 1%-ს. ამდენად, დამხმარე წყაროებიდან მიღებული შემოსავლები მცირედითაც ვერ ანაცვლებს დახმარების მთავარ როლს, რაც ორგანიზაციების უმრავლესობის შემთხვევაში შემოსავლების თითქმის 100%-ს შეადგენს.

სამოქალაქო ორგანიზაციების ნაწილი 2024 წელს ფინანსური სირთულეებით შეხვდა, რაც მათივე დაკვირვებით, როგორც შიდა ორგანიზაციული, ისე გარე ფაქტორებით აიხსნება და ბოლო წლებში განვითარების მხარდაჭერის პრიორიტეტების ცვლილებას უკავშირდება. ფინანსური კრიზისის წინარე გამოცდილებაზე საუბრობენ როგორც დიდი ზომის, ისე საშუალო და მცირე ზომის ორგანიზაციები მათი საქმიანობის პროფილის მიუხედავად. არამდგრადი, მოკლევადიანი და არასტაბილური დაფინანსების სქემები უმეტესად მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციების გამოწვევას წარმოადგენდა. განვითარების მხარდაჭერის გადანაწილების ეს მოცემულობა ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილისთვის სირთულეს ქმნიდა, რამდენადაც დაფინანსების მოპოვება და საქმიანობის უწყვეტობის შენარჩუნება ორგანიზაციებს მუდმივი ძიებისა და კრიზისის მდგომარეობაში ამყოფებდა. გარემოში არსებული ამ სირთულეების მიუხედავად, სამოქალაქო ორგანიზაციები მაინც ახერხებდნენ კრიზისული პერიოდების დაძლევას, გარემოსთან გარკვეულ ადაპტაციას და საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებას.

თუმცა, „ქართული ოცნების“ მიერ 2024-2025 წლებში შექმნილმა საკანონმდებლო და ინსტიტუციურმა ბარიერებმა ორგანიზაციები უპრეცედენტო ფინანსური სირთულეების წინაშე დააყენა. ახალმა საკანონმდებლო გარემომ მისი ფორმირებისთანავე მოახდინა გავლენა და შეამცირა ორგანიზაციების არსებობისთვის აუცილებელი ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ადმინისტრაციული რესურსები და ადამიანური შესაძლებლობები, რამაც არაერთ შემთხვევაში ორგანიზაციების დასუსტება ან გაჩერება გამოიწვია. კვლევაში გამოკითხული ორგანიზაციების დიდი ნაწილი მათი დროებითი გაჩერების მიუხედავად, ახალი კოლექტივებით, შეცვლილი სამუშაო ფორმებითა თუ ინდივიდუალური გზებით რჩებიან წინააღმდეგობაში და იბრძვიან საზოგადოებრივი საქმიანობის გადასარჩენად, ხოლო ორგანიზაციები, რომლებიც დააზიანა და დაასუსტა არსებულმა გარემომ, ინარჩუნებენ ორგანიზაციული საქმიანობის ნაწილს ან მის მინიმუმს, რათა შეძლონ საქმიანობების გაგრძელება და არ დაუშვან ორგანიზაციების სრული გაჩერება.

საკანონმდებლო და ინსტიტუციური ბარიერებით გაჩენილი ფინანსური სირთულეების ანალიზი აჩვენებს ფინანსური რესურსების დაკარგვის ოთხ ძირითად პატერნს: (1) საქმიანობის გაუქმება და დაფინანსების მიღებაზე უარის თქმა, (2) საქმიანობის გაგრძელება არსებული რესურსებით და ახალი დაფინანსების მოძიებაზე უარი, (3) ორგანიზაციების გადარჩენისთვის ფინანსური რესურსების მოძიების სირთულე და (4) დაფინანსების მიღების შესაძლებლობების ჩაკეტვა „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებით და ფინანსური ანგარიშების დაყადაღება.

ახალი დაფინანსების მოძიებაზე უარის თქმა

ორგანიზაციების გარკვეული ნაწილმა, უმეტესად, მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციებმა, ე.წ. „რუსული კანონიდან“ მომდინარე ზეგავლენის შესამცირებლად მისი ამოქმედებისთანავე მიიღეს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

(1) კანონის სრულ ამოქმედებამდე წინსწრებით შეასრულეს პროექტები და კანონის ამოქმედებას ნულოვანი ბიუჯეტით შეხვდნენ, რაც გულისხმობდა ორგანიზაციის სრულად ან დროებით გაჩერებასა და მოლოდინის რეჟიმში გადასვლას;

(2) ორგანიზაციების ნაწილმა მიიღო გადაწყვეტილება იმთავითვე შეეწყვიტა არსებული კონტრაქტები ან შეეჩერებინა მიმდინარე საგრანტო ხელშეკრუ-

ლებები. შედეგად, სრულად შეწყვიტეს ან დროებით შეაჩერეს ორგანიზაციული მუშაობა.

ეს გამოსავლები უკავშირდება ორგანიზაციების გადაწყვეტილებას არ დარეგისტრირდნენ ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნების მიხედვით, რაც, მათი შეფასებით, ორგანიზაციის საქმიანობის სტიგმატიზაციას ისახავს მიზნად. ასევე, მცდელობას კანონის ამოქმედების მომენტისთვის არ ჰქონოდათ მიმდინარე საქმიანობა და ანგარიშებზე არსებული ფინანსური რესურსები, მიზნად ისახავდა ხელისუფლების მიერ მათ მიმართ სადამსჯელო მექანიზმების ამოქმედების რისკების შემცირებას. ორგანიზაციების გარკვეულმა ჯგუფმა იგივე მიზნებითა და დასაბუთებით ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო არა ე.წ. „რუსულ კანონთან“ მიმართებით, არამედ მოგვიანებით, 2025 წელს ე.წ. „აგენტების კანონის“ მიღებისთანავე. საქმიანობის ან მისი ნაწილის შეჩერების გადაწყვეტილება ამჯერად საშუალო და დიდი ზომის ორგანიზაციებმაც მიიღეს. ამ დროს ორგანიზაციების ნაწილმა:

(1) სრულად შეწყვეტა საქმიანობა, აუთვისებელი ფინანსურ რესურსები დონორ ორგანიზაციებს დაუბრუნა და უარი თქვა ახალი, მათ შორის, მოგებული საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმებაზე.

(2) გააუქმა ორგანიზაციის საქმიანობის გარკვეული მიმართულებები და შესაბამისი საგრანტო პროექტები, რაც ორგანიზაციის აზრით ანტიკორუფციული ბიუროს მხრიდან თვითნებობისა და ფართო განმარტების პირობებში ქმნიდა ე.წ. „აგენტების კანონის“ მათზე გავრცელების რისკებს.

> *„საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამები დავხურეთ ჩვენ თვითონ, რადგან ეს რეალური საფრთხე იყო ჩვენთვის, არ გვინდოდა ამ რისკის გაწევა და „ფარასთვის“ დავხურეთ ეს.. ერთი წინასწარ დავასრულეთ, მეორე – უბრალოდ უარი ვთქვით მეორე ეტაპის განხორციელებაზე.... „ფარას“ გამო რეალურად ჩვენ ორი პროგრამა დავხურეთ“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„პროექტები დაიხურა.. ჩვენი ნებით. ახლა ვეღარც განაახლებ, ნებართვა გჭირდება... 2003 წელს [ორგანიზაციის დაფუძნების წელს] გვქონდა ერთი პროექტი ორგანიზაციაში და ეხლა ვართ ესე [ერთი პროექტი გვაქვს]“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

> *„როდესაც „ფარა“ შემოვიდა, არ განმიხილავს იურიდიული კუთხით. ეს აღვიქვი ჩამოშლად. ოფიციალურად შევწყვიტეთ ყველა [კონტრაქტი]“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

კვლევა გამოკვეთს ორგანიზაციების ჯგუფს, რომელთაც მტრული კანონმდებლობის მიუხედავად გააგრძელეს საქმიანობა თუმცა, შეცვლილი გარემოს გამო ვერ შეძლეს რესტრატეგირება, მოლოდინის რეჟიმში გადავიდნენ და დროებით უარი თქვეს რესურსების მოძიების მცდელობაზეც კი, რაც მოგვიანებით სრულად შეუძლებელი აღმოჩნდა, „გრანტების შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებებით. შედეგად, „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილების მომენტს ორგანიზაციები მნიშვნელოვნად შემცირებული ფინანსური რესურსებით შეხვდნენ, რამაც შეამცირა მათი სიცოცხლისუნარიანობა.

საქმიანობის ტიპის მიხედვით ამ ჯგუფს ორგანიზაციების ორი კატეგორია მიეკუთვნება:

(1) ადგილობრივი ფონდები და სექტორის/დარგის განვითარებაზე მიმართული ორგანიზაციები, რომელთაც, ერთი მხრივ, დაკარგეს პარტნიორი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილი რეგიონული ორგანიზაციების სახით და მეორე მხრივ, ჩაეკეტათ ხელისუფლებასთან ცენტრალური თუ ადგილობრივი პოლიტიკის გაუმჯობესებაზე მუშაობის შესაძლებლობები. ამ გამოწვევების ფონზე მათ, როგორც წესი, ვერ მოახერხეს სამუშაო სტრატეგიების, საქმიანობის სფეროებისა და ფორმების ცვლილება და დროებით უარი თქვეს ახალი ფინანსების მოძიებაზე.

> *„ჩემი სამიზნე ჯგუფი იყვნენ რეგიონული ორგანიზაციები და გრანტებს გავცემდი. ვის უნდა მივცე გრანტი, აღარ არიან ორგანიზაციები... არავის უნდა თავის ტკივილი... [ადგილებზე] ორგანიზებული ჯგუფი აღარ არსებობს. გადაჭარბება გამომდის, მაგრამ უამრავ მუნიციპალიტეტზე მეუბნებიან, რომ აქ აღარავინ [ადგილობრივი ორგანიზაცია] აღარ არის“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

(2) ანალოგიურია კვლევაში გამოკითხული სერვისის მიმწოდებელი იმ ორგანიზაციების გამოცდილებაც, რომლებიც სასიცოცხლო სერვისებს სახელმწიფო პროგრამის გავლით მიღებული რესურსებით ახორციელებენ. სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები სერვისებისთვის გამოყოფილი დაფინანსების

არასაკმარისობის გამო, არსებული სერვისისა და პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, როგორც წესი, მუდმივად იღებდნენ დონორებისგან საგრანტო მხარდაჭერას და მას სახელმწიფო პოლიტიკისა და სახელმწიფო სერვისების მიწოდების გაუმჯობესებაზე მიმართავდნენ. ამ ტიპის ორგანიზაციებმა უმეტესად დროებით შეწყვიტეს დამატებითი დაფინანსების მოძიება, შესაბამისად შეწყვიტეს პოლიტიკის გაუმჯობესებასა თუ სერვისის განვითარებაზე მიმართული მუშაობა და მოლოდინის რეჟიმში გადავიდნენ.

> *„200* წლიდან სახელმწიფო სერვის პროვაიდერები ვართ. იქამდე 6-7 წელი ძირითადად ევროპის ფინანსებით, ყველაფერი, ინფრასტრუქტურა არის თუ რაც მოვაწყვეთ ,არის ევროპული მხარდაჭერით. მერეც და დღემდეც მიმდინარე ხარჯები გრანტებზეა, იმიტომ რომ ძალიან მინიმალურია ის ფინანსები, რომელსაც ეხლა სახელმწიფოსგან ვიღებთ, როგორც სერვის პროვაიდერები... ** ლარად [გულისხმობს ვაუჩერისთვის გამოყოფილ დაფინანსებას] მე ვერ ვახერხებ რომ სერვისი მივაწოდო..“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ორგანიზაციების გადარჩენისთვის ფინანსური რესურსების მოძიების სირთულე

შედარებით პატარა, თბილისში მოქმედი ორგანიზაციებისა და რეგიონული ორგანიზაციების ნაწილმა ე.წ. „რუსული კანონისა“ და ე.წ. „აგენტების კანონის“ ამოქმედების მიუხედავად, არ მიიღო მიმდინარე საქმიანობისა და ფინანსური რესურსების გაყინვის, დაბრუნების ან რესურსებზე უარის თქმის გადაწყვეტილება. ამდენად, ორგანიზაციების ეს ჯგუფი „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებების ამოქმედებამდე, საქმიანობის შენარჩუნებისა და ორგანიზაციის გადარჩენის მიზნით აქტიურად ცდილობდა ფინანსური მხარდაჭერის მოძიების.

ორგანიზაციების თქმით, მათმა ნაწილმა ფაქტობრივად ვერ შეძლო არსებული ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების მდგრადად შენარჩუნებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიება ან მოძიებული რესურსების სიმცირემ ვერ უზრუნველყო ორგანიზაციების მდგრადობისა და გადარჩენის პერსპექტივის შექმნა. მათი აზრით, ფინანსური რესურსების მისაწვდომობის გზაზე გაჩენილი სირთულეები, დონორი ორგანიზაციების მხრიდან კრიზისის გამკლავების სტრატეგიის არქონას, არაკოორდინირებულ მუშაობას, დაბნე-

ულობასა თუ შიდა ბიუროკრატიულ ბარიერებს უკავშირდებოდა. ეს სურათი განსაკუთრებულად დაამძიმა 2025 წლის დასაწყისში ამერიკის მთავრობის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახურვის თაობაზე.[101] „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შემდეგ კი ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობა კანონის ამოქმედებამდე მოძიებული ისედაც მცირე რესურსების ამოწურვას დაუკავშირდა.

ასე აღწერს ერთ-ერთი ფონდის ხელმძღვანელი მის წარუმატებელ მცდელობებს, რათა ფონდის პარტნიორი შედარებით პატარა ორგანიზაციებისათვის მოახერხებინა დამატებითი რესურსების მობილიზება:

> *„ძალიან ცოტა ფულის მობილიზება შევძელით. 15 წელია ამ სფეროში ვარ და იქამდე რაც რესურსი ჩამიდია, უფრო ცოტა იყო, ვიდრე იმ ერთ წელში რაც ჩავდე, მაგრამ მაინც არ ჰქონდა ის შედეგი.. ისინიც კი ვინც **** ფონდები არიან, საქართველოზეც მუშაობენ და გადაუდებელ დახმარებაში არიან ჩართულნი, ისინიც კი უმწირესი თანხებით შემოვიდნენ საბოლოო თანხის ნაწილად რომ „რეგრანტინგი“ გაგვეკეთებინა…”*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„ჩვენ რომ გვქონოდა ორწლიანი და სამწლიანი გრანტები, „გრანტების შესახებ“ კანონის მერე ჩვენ ერთი და ორი წელი კიდევ გადავრჩებოდით... 2-3 თვიანი გრანტები რაც გასცეს, ეს არ იყო ის რაც გადაგვარჩენდა.. [დონორ ორგანიზაციებს] ძალიან სწრაფად უნდა მიეღოთ ზომები ჩვენი გაძლიერების და ეს უნდა ყოფილიყო, პირველ რიგში, ფინანსური სტაბილურობა“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

101 New York Times, Trump Calls Directly for Closure of U.S.A.I.D., February, 2025. https://www.nytimes.com/2025/02/07/us/politics/usaid-trump.html. (Accessed 28.12.2025).

დაფინანსების მიღების შესაძლებლობების ჩაკეტვა „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებით და ფინანსური ანგარიშების დაყადაღება

ორგანიზაციების ნაწილმა მტრული კანონების მიუხედავად, საქმიანობა არ შეაჩერა და აქტიურად გააგრძელა ორგანიზაციისთვის ახალი ფინანსური რესურსების მოძიება. ამ ჯგუფს ძირითადად მიეკუთვნებიან დიდი და საშუალო ზომის ორგანიზაციები, რომლებიც დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებზე მუშაობენ, ვოჩდოგები და რეგიონებში მომუშავე შედარებით რესურსული, ფართო პროფილის მქონე ორგანიზაციები.

განვითარების სექტორში არსებული ფინანსური კრიზისის მიუხედავად, შედარებით დიდმა და საშუალო ზომის ორგანიზაციებმა, როგორც წესი, მიიღეს დონორი ორგანიზაციების შემხვედრი მხარდაჭერა და უმეტესად დაძლიეს ფინანსური სირთულეები. მათ შორის, ფინანსური კრიზისი სწრაფად გადალახეს იმ ორგანიზაციებმაც კი, რომელთაც USAID-ის დახურვის შედეგად მოულოდნელად დაკარგეს ბიუჯეტის ნახევარზე მეტიც კი, რაც, შესაძლოა, მიანიშნებდეს იმაზე, რომ სხვა საერთაშორისო დონორმა ორგანიზაციამ კრიზისის შედეგად დაზიანებული დიდი ზომის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ფინანსური მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიიღეს და მათკენ მიმართეს რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილი. კვლევა აჩვენებს, რომ მათ თითქმის სრულად შეძლეს რესურსების აღდგენა, რაც საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობებს აძლევდა.

ორგანიზაციების ამ ჯგუფისთვის, რომელიც ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებიდან ერთი წლის თავზეც კი არ ცვლიდა ქცევას და დიდწილად აგრძელებდა ფუნქციონირებას, მთავარი დარტყმა „გრანტების შესახებ“ კანონში 2025 წლის აპრილში შეტანილი ცვლილებები აღმოჩნდა. ასევე, ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე დრამატული გავლენა მოახდინა ე.წ. „საბოტაჟის საქმეზე“ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, შვიდი ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშების დაყადაღებამ.[102] ამ უკანასკნელმა ორგანიზაციებს სრულად შეუზღუდა საკუთარ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის მანამდე არსებული მასშტაბითა და ფორმით საქმიანობის გაგრძელებას. 2025 წლის აპრილის საკანონმდებლო ცვლილება კი გულისხმობს დამოუკიდებელი და ავტონომიური დღის წესრიგის მქონე ორგანიზაციებისთვის რესურსებზე წვდომის ჩაკეტვას და მათ თვითგანადგურებამდე მიყვანას.

102 რადიო თავისუფლება, შვიდი სამოქალაქო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადეს, აგვისტო, 2025. https://www.radiotavisupleba.ge/a/33514228.html. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

ფინანსური რესურსების შემცირების და მასზე წვდომის შეზღუდვის გავლენა ორგანიზაციების საქმიანობაზე

ფინანსური რესურსების შემცირება და მასზე წვდომის შეზღუდვა, განსაკუთრებულად მძიმედ აისახა ორგანიზაციების საქმიანობაზე და ის კვლევაში გამოკითხულ ყველა ორგანიზაციას შეეხო მათი ზომის თუ საქმიანობის ტიპის მიუხედავად. ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიება მოქალაქეებისგან შემოწირულებების მიღების, საკუთრებაში არსებული სივრცეების გაქირავებისა თუ ბიზნეს ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გზით. თუმცა, ეს გამოცდილებები გამონაკლისია და ორგანიზაციების აუცილებელი ხარჯების მცირე ნაწილს ფარავს.

საქმიანობის ფაქტობრივი შეჩერება და შემცირება

რესურსების გამოყენების, მოპოვების თუ მასზე წვდომის სირთულეების გამო ორგანიზაციების ნაწილმა სრულად და განუსაზღვრელი ვადით შეაჩერა საქმიანობა. კვლევა ასევე ადასტურებს, რომ „გრანტების შესახებ“ კანონში შესულმა ცვლილებებმა ორგანიზაციების საქმიანობის გადარჩენის გზაზე გადაულახავი წინაღობა შექმნა. კვლევის მონაწილეების აზრით, რეალურია საფრთხე, რომ არსებული რესურსების ამოწურვისთანავე, სამოქალაქო ორგანიზაციების დიდი უმრავლესობა, აქამდე არსებული ფორმით ფაქტობრივად შეწყვეტს საქმიანობას. მომავალში ამ ორგანიზაციების საქმიანობის მასშტაბი და ფორმა, თანამშრომელთა ინდივიდუალურ ძალისხმევაზე, პერსონალურ თავგანწირვასა და მოხალისეობრივ შრომაზე იქნება დამოკიდებული. კიდევ უფრო დრამატულია ხელისუფლების მხრიდან მომდინარე რეპრესიისა და თვითნებობის ზეგავლენა იმ ორგანიზაციათა საქმიანობაზე, რომელთაც 2025 წლის აგვისტოს შემდეგ, სასამართლო გადაწყვეტილებით, საბანკო ანგარიშებზე სრულად აქვთ შეზღუდული წვდომა.

> *„ხელფასებს ვეღარ გავცემთ. დაყადაღებული ვართ“*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„[ორგანიზაცია] არის ფინანსური და ინსტიტუციური განადგურების რეალობაში, რომელიც ძალიან მალე სიმბოლურადაც განადგურდება“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

> *„ჩვენ რამაც გაგვაჩერა იყო „გრანტების კანონი,“ „რუსულ კანონს“ და „ფარას“ მეტ-ნაკლებად ვუმკლავდებოდით“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ორგანიზაციებმა, რომლებიც 2024 წლიდან მოყოლებული დღემდე აგრძელებენ საქმიანობას, მნიშვნელოვნად შეცვალეს საქმიანობის პრიორიტეტები და არსებული ამოწურვადი რესურსები მხოლოდ აუცილებელი საქმიანობის განხორციელებისკენ მიმართეს. მათ უმეტესად შეინარჩუნეს ისეთი საქმიანობები, როგორიცაა მოქალაქეებისათვის აუცილებელი სამართლებრივი და სხვა სახის სერვისების მიწოდება, ფართო საზოგადოებასთან, თემთან თუ პროფესიულ ჯგუფებთან კავშირების შენარჩუნებისთვის აუცილებელი შრომა, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების დოკუმენტირება და მათზე სამართლებრივ რეაგირება, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებზე შეფასებითი და ანალიტიკური მოსაზრებების გამოქვეყნება და რესურსების შენარჩუნება მინიმალური ადმინისტრაციული ხარჯების გაწევისა და ინფრასტრუქტურის გადასარჩენად. მაგალითად, კვლევაში გამოკითხულმა ერთ-ერთმა ორგანიზაციამ სრულად გააჩერა საქმიანობის არსებითი ნაწილი ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით, რამდენადაც ვერ შეძლო საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვება და სახელმწიფო სერვისის მიწოდება, რაც ორგანიზაციის საქმიანობის მცირე და დამატებით ნაწილს წარმოადგენდა, დღეს მისი მუშაობის ერთადერთ ფორმად იქცა.

ასევე, ორგანიზაციების ნაწილი აღწერს შეცვლილ კონტექსტში მათი ორგანიზაციული მისიით განსაზღვრული მნიშვნელოვანი მიზნების, უფლებრივი საკითხებისა თუ სოციალურად, ეკონომიკურად თუ კულტურულად გარიყული ჯგუფების საკითხებზე მუშაობის შემცირების პრობლემას. ორგანიზაციების სამუშაო დღის წესრიგს უმეტესად, დრამატულად გაუარესებული უფლებრივი გარემო და საზოგადოების შეცვლილი საჭიროებები განსაზღვრავს, რაც მუდმივად აჩენს უფლებათა დარღვევის ახალ მასიურ პრაქტიკებზე და უფლებრივი სტანდარტების დრამატულ გაუარესებაზე რეაგირების საჭიროებას.

საქმიანობაზე რადიკალური ზეგავლენის მაგალითია კვლევაში გამოკითხული იმ ორგანიზაციების გამოცდილება, რომელთაც საარჩევნო პროცესებზე დაკვირვების დიდი ისტორიის მიუხედავად, 2025 წელს პირველად ვერ შეძლეს მუნიციპალურ არჩევნებზე დაკვირვება. ეს მოცემულობა, უპირველესად, გაუარესებულმა საარჩევნო საკანონმდებლო გარემომ განსაზღვრა,

რომელიც ფაქტობრივად არ იძლევა დაკვირვების განხორციელების შესაძლებლობას. თუმცა, ის ასევე უკავშირდება სადამკვირვებლო მისიის მომზადებისთვის და განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსების არარსებობას.

თანამშრომელთა დაკარგვა

ფინანსურმა სირთულეებმა ორგანიზაციებში თანამშრომელთა ნაწილობრივი ან თითქმის სრულად შემცირება გამოიწვია. იმისთვის, რომ თანამშრომელთა სამსახურიდან გათავისუფლების პროცესი მაქსიმალურად გადაევადებინათ, კვლევის მონაწილეები აღწერენ მათ მიერ მიღებულ ისეთ ზომებს, როგორიცაა ხელფასების შემცირება, არსებული სახელფასო ფონდის სოლიდარულად გადანაწილება ყველა თანამშრომელზე, თანამშრომელთა მხრიდან სამუშაოს შესრულება სრულად ან ნაწილობრივად მოხალისეობრივ საწყისებზე და სხვა. ასევე ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ორგანიზაციაში მოხალისეობრივი შრომის გაგრძელებისა და ორგანიზაციის გადარჩენაში წვლილის შეტანისთვის, ადამიანები სხვა დამატებით სამუშაოებზე საქმდებიან, რაც მათი პროფესიული საქმიანობის გარდა, ასევე გულისხმობს ახალი პროფესიული როლების მორგებას.

> *„სიტუაცია რომ ფუჭდებოდა, „ფანდრიაზინგს“ ბოლო-ორი სამი წელი აღარ ვაკეთებდით…2020 წლამდე თუ 45 ადამიანი გვყავდა, ბოლო სამი-ოთხი წელი ვიყავით 20-23. ახლა რეალურად დავრჩით სამი ადამიანი”.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„სულ ვცდილობთ შევკვეცოთ ხარჯები.. მტკივნეული რაც არის, ვცდილობთ ჯერ არავინ გავუშვათ, ბევრი საპენსიო ასაკშია... ამიტომ სულ ვწელავთ დრო,ს რომ ეს გადაწყვეტილებები არ მივიღოთ. თანამშრომლები არ გაგვიშვია, მაგრამ მნიშვნელოვნად შემცირდა ხელფასები და სოლიდარული გავხადეთ ხელფასების განაწილება“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„ჩვენს რამდენიმე თანამშრომელს ხელფასი არ აუღია, 2025 წლიდან დასაწყისიდან გვაქვს ეს პრობლემები. მთავარი არის გვყავდეს იურისტი, მთავარია გვქონდეს მინიმალური შესაძლებლობა გადაადგილების, მთა-*

> *ვარია საწევრო დანარიცხები გადავიხადოთ, ორი ავტომობილი გვყავდა და გავყიდეთ რომ ვალდებულებები დაგვეფარა".*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„დღეს მაგალითად მე ვტაქსაობ. არა იმიტომ, რომ სხვა რამეს ვერ გავაკეთებდი, უბრალოდ იმის გამო, რომ მეტი დამოუკიდებელი დრო მქონდეს, მეტი თავისუფალი სივრცე მქონდეს [სათემო მუშაობისთვის]..ყველას თავისი [სხვა საქმე] აქვს, პერიოდულად შევიკრიბებით ხოლმე, ძაან იშვიათად".*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ფიზიკური ინფრასტრუქტურის დაკარგვა

მატერიალური ინფრასტრუქტურის, მათ შორის, საოფისე ფართების თუ გადაადგილების საშუალებების საკუთრებაში ქონამ, დიდი როლი ითამაშა ორგანიზაციების მედეგობის შექმნაში, რაც მტრულ და განადგურებაზე მიმართულ გარემოში დღემდე ორგანიზაციების გადარჩენის მნიშვნელოვან საყრდენად რჩება.

კვლევაში გამოკითხული ორგანიზაციების დიდმა ნაწილმა, რომლებიც ქირაობდნენ საოფისე სივრცეებს, დაკარგეს ფიზიკური ინფრასტრუქტურა, ან ამგვარი საფრთხის წინაშე დგანან. საოფისე სივრცეების დაკარგვა მძიმედ აისახა ორგანიზაციების საქმიანობაზე, თუმცა, ეს არ გამხდარა საქმიანობის სრულად შეწყვეტის მიზეზი. როგორც წესი, ორგანიზაციები აგრძელებენ არასაოფისე შრომის ფორმებით საქმიანობის გაგრძელებას.

კვლევის მონაწილეები ასევე აღწერენ, რეგიონული სათემო ორგანიზაციების მიერ ერთმანეთისთვის საოფისე თუ შეხვედრებისთვის სივრცეების გაზიარების პრაქტიკებს. ორგანიზაციების „შეფარების" ეს პრაქტიკა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მათთვის ვინც ასევე დაკარგეს წვდომა ადგილობრივ საჯარო ინფრასტრუქტურაზე, მათ შორის, საერთაშორისო მხარდაჭერით ორგანიზებულ ადგილობრივ სივრცეებზე.

> *„[ყადაღის შემდეგ] ახლა უკვე დავხურეთ, თუმცა გვქონდა 5 რეგიონული ოფისი და გვაქვს ცენტრალური ოფისი. ცენტრალური ოფისი სამწუხაროდ ალბათ ოქტომბრის ბოლოს დაიხურება".*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

„[ფინანსური რესურსები] 100 პროცენტით არის შემცირებული, ძაან არის შემცირებული. მინიმალური რესურსები გვაქვს...ოფისის ვალი გვაქვს გადასახდელი, ვალით ვიღებთ ეხლა ოფისს“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„რეგიონებში ოფისზე ანუ სივრცეზეა ხშირად აწყობილი შენი საქმიანობა და შესაბამისად აქტივობაც დავიწროვდა, სივრცე ბმაშია, რადგან ამ სივრცეს ებმოდა შენი საქმე.. ..სივრცეები თან იყო შეხვედრის ადგილი, რაღაცა ღონისძიების ჩატარება, რაღაცა ბაზა ესე რომ ვთქვით.. ესენიც რომ დაიხურა, უცებ გაქრნენ, ვინც გყავდა მოქალაქეები მობმული, ახალგაზრდებიც.“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ჩვენს ოფისთან მიბმული იყო ჩვენი გადარჩენა“

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე ასევე გაჩნდა მყარი ტენდენცია, როდესაც სამოქალაქო ორგანიზაციებს სახელმწიფო ორგანოები უარს ეუბნებიან სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ქონებაზე გაფორმებული უზუფრუქტის ან იჯარის ხელშეკრულებების გაგრძელებაზე ან აჭიანურებენ ხელშეკრულების გაგრძელების პროცესს, რაც სახელმწიფოს მხრიდან ორგანიზაციების შევიწროების კიდევ ერთი ფორმაა.

სამოქალაქო ორგანიზაციები, განსაკუთრებით, მცირე სათემო ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები ხშირად სარგებლობენ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონებით. კვლევის მონაწილეები ჰყვებიან, რომ მათი მხრიდან ყოველთვის დაცული იყო ხელშეკრულების პირობები, რაც წლების მანძილზე არასდროს გამხდარა მუნიციპალიტეტის მხრიდან კითხვის დასმის საგანი. თუმცა, 2024 წლის ზაფხულიდან ადგილობრივი მუნიციპალიტეტები მასიურად უარს ამბობენ უზუფრუქტის ხელშეკრულებების გაგრძელებაზე ან აჭიანურებენ მისი გაგრძელების საკითხს, რაც იწვევს ინფრასტრუქტურის დაკარგვას ან ასეთი საფრთხის წინაშე აყენებს ორგანიზაციებს.

წლების მანძილზე შექმნილი მნიშვნელოვანი ადგილობრივი სასწავლო ინფრასტრუქტურის შენარჩუნებას დღემდე ცდილობს კვლევის ერთ-ერთი მონაწილე:

„ეს შენობები არის მერიის ბალანსზე, იჯარით გვქონდა აღებული და გადასახადს ვიხდიდით და ხელშეკრულებები გვქონდა. 202 წლის დეკემბერში რომ ამოგვეწურა ვადა და რომ მივაკითხე მერიას, ხელშეკრულებები არ გაგვიგრძელეს... დღემდე იქ ვართ, ვფუნქციონირებთ, ვერ მიბედავენ, რომ გამოგვასახლონ. ვერ კადრულობენ, იციან, რომ კარგი საქმე კეთდება და არც ხალხის გაღიზიანება უნდათ და არც ჩვენი... მაგრამ ხელშეკრულებებს მაინც არ მიგრძელებენ... დღემდე გამოდის, რომ ვარ შეჭრილი... კერძოდ ვიხდით კომუნიკაციებს ჩემი ხელფასიდან, რომ არ ჩაგვიჭრან გაზი და დენი“.*

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ამ შემოდგომაზე მივიღეთ მერიისგან ზარი, ჩვენ ვართ თბილისის მუნიციპალიტეტის ფართში... 2 წლიანი გაცემის წესი აქვთ ამ ხელშეკრულების...4 წელი გავიდა ორჯერ გაგვიგრძელეს... პასუხი, რომ მერია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს უზუფრუქტის გაგრძელებას და უნდა გადავიდეთ იჯარაზე... თუ 4 წელი იყო მიზანშეწონილი, ახლა უფრო მეტს ვაკეთებთ და უფრო დიდ შედეგებს ვაღწევთ, რატომ მიჩერებ? მერე დამირეკეს და გაგვიგრძელეს“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

5.4. სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკები, ფიზიკური უსაფრთხოების გამოწვევები და მზარდი ემოციური წნეხი: თანამშრომელთა გადინება, თვითშეზღუდვა

კვლევის მონაწილეების ინტერვიუები აჩვენებს, რომ ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლები, განსაკუთრებით, უფლებადამცველები, უკანასკნელი წლებია ხელისუფლების მხრიდან მომდინარე უპრეცედენტო შევიწროების, ზეწოლის, დაშინებისა და ანგარიშსწორების სამიზნეები არიან. 2024 წლიდან მათ მიმართ განსაკუთრებულად გაიზარდა სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფრთხეები, შევიწროებისა და ზემოქმედების ფორმები კი უფრო ინტენსიური გახდა, რაც ფიზიკური უსაფრთხოების რისკებთან ერთად მძიმე ემოციურ წნეხს ქმნის. 2024 წლიდან ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ცალკეული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელებისადმი ღიად დამაშინებელმა და მუქარის შემცველმა რიტორიკამ, უფლებადამცველთა გაჩუმების ამოცანა გაცხადებული პოლიტიკის ნაწილად აქცია. 2024-2025

წლებში მიღებულმა კანონებმა კი ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების თვითნებური, სელექციური დასჯისა და რეპრესიის რისკები კიდევ უფრო გაზარდა.

ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო სექტორის დისკრედიტაციის და სტიგმატიზაციის რიტორიკა და შეცვლილი სამართლებრივი გარემო, ორგანიზაციებს მუდმივი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე აყენებდა. კვლევაში გამოკითხული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელების დიდი ნაწილი არაერთხელ გამხდარა პროპაგანდისტული სატელევიზიო სიუჟეტებისა და შესაბამისად, ცრუ და მანიპულაციური ინფორმაციის გავრცელების, დისკრედიტაციის, ქვეყნისა თუ საზოგადოების მტრად გამოცხადების და სიძულვილის მიმართვის ობიექტი. ხელისუფლების წარმომადგენლების განცხადებების, პროპაგანდისტული მედიისა და საინფორმაციო ქსელებით განხორციელებული ორგანიზებული შეტევების ობიექტად ქცევა, დაშინებისა და თვითშეზღუდვის ამოცანებს და შესაბამისად, უფლებადაცვითი თუ საზოგადოებრივი საქმიანობის შესუსტებას და გაჩერებას ისახავდა მიზნად.

კვლევის მონაწილეების აზრით, ამავე ამოცანებით აიხსნება 2024 წელს წინასწარ ორგანიზებული ვანდალიზმის განმეორებადი შემთხვევები თბილისში დაფუძნებული ე.წ. ვოჩდოგი ორგანიზაციების ოფისებთან და თანამშრომლების სახლებთან, როცა ღამით, დაუდგენელმა პირებმა (არაერთხელ და სერიულად) ვანდალურად დააზიანეს ორგანიზაციების ოფისები (მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობები), მათი ხელმძღვანელების, ასევე მშობლების საცხოვრებელი სახლების სადარბაზოები და მათ საკუთრებაში არსებული ავტომობილები. ეს თავდასხმები, რაც ასევე მოიცავდა ორგანიზაციების ხელმძღვანელების გამოსახულების შემცველი პოსტერების გაკვრასა და მუქარის, შეურაცხყოფისა და სიძულვილის შემცველი წარწერების დატოვებას, ამ დრომდე გამოძიებული არ არის. კვლევის მონაწილეები ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ სოციალური ქსელებში მუქარის, დაშინების, რეპუტაციის შელახვის და ადევნების შემთხვევებს აღწერენ. ერთ-ერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ასევე გვიზიარებს საპროტესტო აქციებთან კავშირში მისი რამდენიმე თანამშრომლის უსაფუძვლო დაკავების გამოცდილებას.

> *„ოფისის ფასადზე და კიბეებზე ბევრგან დააწერეს, რომ ერის მტერი, მოღალატე ,აგენტი [ვარ]... გააკრეს ჩემი ფოტოები ერის მტრის წარწერით. იგივე გააკეთეს ჩემს საცხოვრებელ სახლთან, დედაჩემის საცხოვრებელ სახლთან და ასევე ჩვენი ოჯახის კუთვნილ ავტომობილზე.. ეს იყო ჩვეულებრი-*

> *ვი სტრატეგია. ბევრ ადამიანთან მივიდნენ ანალოგიური გზავნილით, რომ თუნდაც შენს სამეზობლოში სახელი გაეტეხათ, დამატებითი სტიგმა მიეწებებინათ ადამიანებისთვის... ეს არც კი გამოუძიებიათ ამ დრომდე... მივმართეთ რამდენჯერმე გამოძიებას, სახალხო დამცველსაც, მაგრამ ყველა უწყებისგან მივიღეთ [ზედაპირული] პასუხი, ზოგიერთისგან არანაირი პასუხი".*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

კვლევაში მონაწილეების დიდი ნაწილი ასევე საუბრობს 2024 წლის სამოქალაქო წინააღმდეგობის კონტექსტში გავრცელებულ და წინასწარ ორგანიზებულ დამაშინებელ პრაქტიკაზე, რაც დაუდგენელი პირების მიერ მათთან და მათი ოჯახის წევრებთან მუქარის შემცველი შინაარსის ზარებს გულისხმობდა. თუმცა, რამდენადაც ამ პრაქტიკას მასიური ხასიათი ჰქონდა, მუქარის შემცველი ეს შეტყობინებები ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ, უშუალოდ მათ მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების რეალური საფრთხის განცდას არ ქმნიდა.

2024 წლის უწყვეტი სამოქალაქო წინააღმდეგობისას, ძალოვანი უწყებების წარმომადგენლების მიერ დემონსტრანტების ცემის, არასათანადო მოპყრობისა და ჯანმრთელობის დაზიანების ბრუტალური და მასიური დაზიანების პრაქტიკა, რასაც თან ახლდა საცხოვრებელ სახლებთან თუ საჯარო სივრცეებში მოქალაქეებზე დაუდგენელი პირების მიერ წინასწარ ორგანიზებული თავდასხმები, კვლევის მონაწილეების თქმით ქმნიდა მათი და მათი თანამშრომლების, განსაკუთრებით, ადვოკატების ფიზიკური უსაფრთხოებისა და ანგარიშსწორების რისკებს.

> *„ფიზიკური ძალადობის საფრთხეები ძალიან მაღალი იყო. გაზის სპრეით დავდიოდი და მშობლებს ვურეკავდი ხოლმე, ფიზიკური უსაფრთხოების წუხილები მქონია ოფისიდან ღამით გასვლის დროს".*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

დაშინების, მუქარის და შევიწროების ამ გამოცდილებების მიუხედავად, გამოკითხული პირების დიდ უმრავლესობაში ფიზიკური ანგარიშსწორებისა და ფიზიკური უსაფრთხოების რისკები ამ ეტაპზე წამყვან საკითხად არ სახელდება. თუმცა, განსხვავებულია რელიგიურ და ეთნიკურ ჯგუფებზე, ასევე ლგბტ და გენდერის საკითხებზე მომუშავე ცალკეული ორგანიზაციების გამოცდილება.

მათ მიმართ გაგზავნილი მუქარის შემცველი შეტყობინებები, დაშინებისა და გაფრთხილების შემცველი გზავნილები, მათთვის რეალურ ფიზიკური უსაფრთხოებისა თუ სხვა ფორმებით ანგარიშსწორების რისკებს წარმოშობდა, რამაც ამ ჯგუფში კიდევ უფრო გაზარდა ზეწოლის განცდა და გააჩინა ფიქრი ქვეყნის დატოვების თაობაზე. მუქარის ეს შემთხვევები არა მხოლოდ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც მიემართებოდა, რამაც საბოლოოდ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საქმიანობის შეჩერების/ორგანიზაციის დახურვის გადაწყვეტილებებზე.

> *„ემოციური ფონი არა მხოლოდ ზოგადმა საფრთხეებმა შექმნა, არამედ ორგანიზაციის წევრებზე და ჩვენი ოჯახის წევრებზე ზეწოლები, მათ შორის, პირდაპირი კომუნიკაციით... ჩვენნაირი პატარა და რეგიონული ორგანიზაციების მიმართ მათი მთავარი სტრატეგია არის თვითცენზურა, თვითშეზღუდვა და თვითგანადგურებამდე თუ დახურვამდე, შეწყვეტამდე მისვლა... ცენტრალურ ორგანიზაციებზე დარტყმით, ცენტრიდან წყაროების შეწყვეტით, ინდივიდუალურ დონეზე წნეხებით ადგილზე... ამ სტრატეგიის ძირითადი მიზანი არის ის, რომ ჩვენ თვითონ შევწყვიტოთ და ჩვენ თვითონ მივიდეთ თვითშეზღუდვებამდე საბოლოო ჯამში. და მიაღწიეს კიდეც. ეს მხოლოდ ჩვენს ორგანიზაციაზე არ არის. მათ შორის [ასახელებს რეგიონს] ჩვენ ვისთანაც კომუნიკაცია გვაქვს, ყველას ასეთი მდგომარეობა აქვს, თვითდახურვამდე და თვითშეწყვეტამდე არიან მისული“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„ძალიან ხშირად იყო, განსაკუთრებით რეგიონში მომუშავე აქტივისტები გვეუბნებოდნენ, რომ მუნიციპალიტეტთან პრობლემა შეექმნათ, სივრცე აღარ დაუთმეს, მათი დევნა დაიწყო, ჯორები გაუვრცელეს და რეალურად ოჯახზეც გადადიოდა ხოლმე, ეს არ ყოფილა მხოლოდ მათი საქმიანობით შემოფარგლული შეზღუდვა, არამედ მართლა ჩართულები იყვნენ მუნიციპალიტეტის თანამშრომლები და ადგილობრივ დონეზე დაინტერესებული პირები დავარქვათ, ამ ადამიანების შევიწროებაში”.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ფიზიკური უსაფრთხოების რისკებმა, მძიმე ემოციურმა წნეხმა და უფლებადაცვითი საქმიანობის გაგრძელების სირთულეებმა 2024 წლიდან, განსაკუთრებით ე.წ. რუსული კანონის მიღების შემდეგ, გაზარდა ქვიარ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების თანამშრომლების (ასევე თემის წევრების) მიერ

ქვეყნის დატოვების შემთხვევები. ამავე, პერიოდს უკავშირდება მეზობელი ქვეყნებიდან შემოსული და საქართველოში მცხოვრები დევნილობაში მყოფი აქტივისტების დიდი ნაწილის ხელახალი რელოკაციაც. კვლევა არ აჩვენებს სამოქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიერ პოზიციების დატოვების, რელოკაციისა და ემიგრაციაში წასვლის ტენდენციას. თუმცა, კვლევის ორ რესპონდენტთან, უფლებადაცვითი ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, ინტერვიუ დროებითი რელოკაციისას ჩავწერეთ, რაც შესაძლო სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისა და ფიზიკური ანგარიშსწორების რისკების გამო ქვეყნის დატოვების ერთეული შემთხვევების არსებობაზე მიანიშნებს.

> *„ჩემი ოჯახის წევრები ყოველ დღე მეუბნებოდნენ, რომ იქნებ წახვიდე, აღარ არის აქ შენთვის სივრცე...ბოლო თვეებში იშვიათად დავდიოდი საჯარო ტრანსპორტით...დედაჩემს ურეკავდნენ შარშან და წელსაც, თვეების განმავლობაში ღამე ურეკავდნენ ხოლმე“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„რისკი რომ ციხეში აღმოჩნდნენ „ენჯეოების“ ლიდერები, არის საშუალოზე მაღალი“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„სისხლის პასუხისმგებლობა და ყველა სხვა რისკი არსებობს რაღაც დოზით... ახლა დაჩქარდა და ეს რისკები გაიზარდა… აღქმა არის, რომ ყველაფერს უნდა ველოდოთ. ფიზიკური და დაპატიმრების რისკი ყველა არსებობს... ყველაფერზე წამსვლელია დღეს „ქართული ოცნება“. თუ დასჭირდა გააკეთებს”.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

მტრული და საფრთხის შემცველი გარემო, ასევე ახალი კანონმდებლობით გაჩენილი სამართლებრივი საფრთხეები, ორგანიზაციების შიგნით ერთგვარი თვითშეზღუდვისა და თვითცენზურის მიზეზი გახდა. ახალი კანონმდებლობების არაგანჭვრეტადობამ, ფართო, არაცხადმა შინაარსმა და მათი აღსრულების ფარგლების ბუნდოვანებამ ორგანიზაციების ნაწილს ენისა და გამოხატვის ფორმების ცვლილებისკენ უბიძგა. კვლევის მონაწილეები, განსაკუთრებით ქალთა, ლგბტ თემის და კულტურის სფეროში მომუშავე ორგა-

ნიზაციები ხაზს უსვამენ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის, ე.წ. „ანტილგბტ“ კანონის გავლენას ორგანიზაციების საქმიანობაზე. რესპონდენტები ჰყვებიან საჯარო თუ ოფიციალურ კომუნიკაციაში როგორ ჩაანაცვლეს ცალკეული ტერმინები და სიტყვები, მათ შორის სიტყვა „გენდერი“ ან დაიწყეს ფიქრი თვითცენზურისა და სიფრთხილის გამოჩენის საჭიროებაზე. თვითშეზღუდვის და სიფრთხილის ცალკეულმა შემთხვევებმა, ჯანდაცვის სერვისის შეწყვეტაც კი გამოიწვია:

> *„[კანონის ამოქმედების] შემდეგ ჩვენ არ გვქონია არცერთი ენდოკრინოლოგის კონსულტაცია ტრანს თემთან იმიტომ რომ კრიმინალიზებულია და შეიძლება სისხლის სამართლით დაისაჯოს სპეციალისტი. მიუხედავად იმისა რომ კანონქვემდებარე აქტები არ არის და არავინ იცის როგორ აღსრულდება, სპეციალისტებმა თქვეს რომ შეიძლება [სახელმწიფომ] მითხრას რომ მე დავარღვიე კანონი“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„გენდერის“ კანონმდებლობა შეგვეხო ძალიან. ჩავანაცვლეთ სამინისტროსთან ურთიერთობა [ასახელებს სახელს] გაერთიანებასთან მუშაობით, მაგრამ იქ მოგვიწია სიტყვა გენდერი ამოგვეღო. [დავწერეთ] ქალისა და მამაკაცის თანასწორობა გენდერული თანასწორობის ნაცვლად... ტრენინგ მასალებში. [მონაწილე] რომელიც ნახავს, რომ სიტყვა გენდერია ნახსენები, შეიძლება შეშინდეს და არ მოვიდეს“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

რისკების, საფრთხეებისა და საყოველთაო ბუნდოვანების გარემომ მნიშვნელოვანი შიდა ორგანიზაციული ცვლილებები გამოიწვია. სამოქალაქო ორგანიზაციების თანამშრომლებისთვის, მათი დასჯის და სამართლებრივი პასუხისმგებლობის რისკები რეალური 2024 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებისთანავე გახდა. ამ რისკებმა, სხვა გარემოებებთან ერთად, დიდი როლი ითამაშა ორგანიზაციების გადაწყვეტილებაში, შეეწყვიტათ ან დროებით შეეჩერებინათ ფუნქციონირება. დანარჩენ შემთხვევებში კი 2024 წლის ზაფხულიდან ჩანს თანამშრომელთა გადინების ტენდენცია, რაც კიდევ უფრო მზარდი გახდა 2025 წელს ე.წ. „აგენტების კანონის“ მიღებისთანავე, რომელმაც პასუხისმგებლობის ზომად სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა განსაზღვრა.

თანამშრომელთა გადინების წინაშე არაერთი ორგანიზაცია დადგა. ასევე ვხდებით თანამშრომელთა მასობრივი გადინების შემთხვევებს, რამაც ზოგიერთ შემთხვევაში თანამშრომელთა 35%-მდე დაკარგვა და შედეგად ორგანიზაციის რეგიონული ოფისების დახურვა გამოიწვია. კვლევის მონაწილეების აზრით, თანამშრომელთა გადინების შემთხვევები კანონების მსუსხავი ეფექტის გამოვლინებაა და უკავშირდება თანამშრომელთა შიშებს სამართლებრივი პასუხისმგებლობის რეალურობის შესახებ, ასევე, ბუნდოვან, არაგანჭვრეტად მომავალსა და ფინანსური არასტაბილურობის ზრდას. ამასთან, კვლევის მონაწილეების აზრით, სამოქალაქო სექტორიდან თვითდინებით ადამიანების წასვლა, ერთი მხრივ, პროფესიონალური ადამიანური რესურსის მნიშვნელოვანი დანაკარგია. თუმცა, მეორე მხრივ, ეს პროცესი შესაძლოა სექტორის გაჯანსაღების შესაძლებლობაც იყოს, რაც მას კიდევ უფრო დაახლოებს საჯარო ინტერესების მსახურებისა და მოხალისეობრივი მუშაობის პრინციპებთან.

> *„თანამშრომლების 1/3 ჩვენ ამის შემდეგ დავკარგეთ, როდესაც ამოქმედდა „ფარა“. ეს განსაკუთრებით შეეხო რეგიონების თანამშრომლებს...ჩვენ ეს რისკები როდესაც ავუხსენით, მათ მიიღეს გადაწყვეტილება სამსახურიდან წასვლის შესახებ და ამის შემდეგ ჩვენ მოგვიწია რეგიონული ოფისების დროებით დაკეტვა, იმიტომ, რომ იქ ფიზიკურად ადამიანები აღარ დამრჩნენ”.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ამ ტენდენციის საპირისპიროდ ასევე მნიშვნელოვანია გამოცდილებები, როდესაც მაღალი რისკების მიუხედავად, თანამშრომელთა წასვლის შემთხვევა არ ყოფილა. მეტიც, არაერთ შემთხვევაში თანამშრომლებისთვის ორგანიზაციაში დარჩენის მნიშვნელოვანი მოტივაცია აღმოჩნდა ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და თანამშრომლების ერთობლივი გადაწყვეტილება – ორგანიზაცია არ დარეგისტრირებულიყო 2024-2025 წლებში მიღებული კანონების მოთხოვნების მიხედვით, შეენარჩუნებინა საზოგადოებრივი საქმიანობისა და ხელისუფლების რეპრესიული და ანტიდემოკრატიული პოლიტიკისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელები საუბრობენ შიდა ორგანიზაციული შეკავშირების, სოლიდარობის, მხარდაჭერისა და ურთიერთზრუნვის უნიკალურ გამოცდილებებზე.

ორგანიზაციების შიდა დინამიკის, შეკავშირებულობისა და მთლიანობისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო მზარდი და მძიმე ფსიქო-ემოციური წნეხი, რაც ორგანიზაციის ხელმძღვანელებისა და მმართველი რგოლების წევრე-

ბის გარდა, ორგანიზაციის თანამშრომლებზეც გავრცელდა. კვლევის მონაწილეები ინტერვიუების დროს მტკივნეულად იხსენებენ ამ გამოცდილებას, რომელიც 2024 წლის ზაფხულიდან დღემდე ორგანიზაციების მუშაობის ყოველდღიურობის ნაწილია. ემოციური წნეხი, გაურკვევლობა, შიშისა და საფრთხის განცდა არამხოლოდ თანამშრომელთა სამსახურიდან წასვლის მიზეზი გახდა, არამედ ხშირად ორგანიზაციის დისფუნქციურობას და დროებით პარალიზებასაც კი იწვევდა. ემოციურ წნეხს კიდევ უფრო ზრდიდა ორგანიზაციების წინაშე არსებული ყოველდღიური მორალური და პრაქტიკული დილემები: რა გზები აერჩიათ ორგანიზაციის დასაცავად და გადასარჩენად, რა იქნებოდა უკეთესი გადაწყვეტილება იმ სოციალური ჯგუფებისთვის თუ იდეებისთვის, რისთვის მუშაობდნენ, როგორ შეემცირებინათ რისკები ორგანიზაციის წევრებისთვის თუ თანამშრომლებისთვის და თანადროულად გადაერჩინათ ორგანიზაცია და სხვა.

> *„ძალიან ძლიერი პირველი დარტყმა ჩვენი ორგანიზაციისთვის იყო ეს „რუსული კანონი“, რომელმაც ძალიან დიდი ფსიქოლოგიური და მორალური ზიანი მოგვაყენა, ძალიან მძიმე პროცესი იყო ჩვენთვის ამ კანონის მიღების შემდეგ რაც გავიარეთ.. უმძიმესი შიდა პროცესები გვქონდა, ძალიან მძიმედ ვიყავით და პრაქტიკულად შეუძლებელი იყო გვემუშავა“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

6. საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობის განსხვავებული შესაძლებლობები

2024 წლის ივნისში ე.წ. „რუსული კანონის“ მიღება გარდამტეხი მომენტია ქართული სამოქალაქო სივრცისთვის, რამდენადაც მან მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა სამოქალაქო ორგანიზაციებს და შეცვალა ორგანიზაციების მოქმედების როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციური და ფაქტობრივი საარსებო გარემო. მიუხედავად იმისა, რომ კანონის მიღებას ხელისუფლების მხრიდან კონკრეტული ორგანიზაციების მიმართ არ მოჰყოლია კანონის აღსრულების ღონისძიებები მონიტორინგის პროცესის დაწყებისა და ჯარიმების დაკისრების ფორმით, კანონის „მსუსხავმა ეფექტმა“ გადამწყვეტი როლი ითამაშა სამოქალაქო საზოგადოების სექტორის ეროზიის პროცესში. კვლევა აჩვენებს, რომ სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის გამოცდილებები, საქმიანობის შეწყვეტის თუ არსებითი დასუსტების მომენტის დადგომის თვალსაზრისით, განსხვავებულია, რაც თავად ორგანიზაციებთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრუქტურული ფაქტორით აიხსნება. კვლევა აჩვენებს, რომ ხელისუფლების ყველა ნაბიჯს, მათ შორის, სხვადასხვა ამოცანის მქონე ახალ საკანონმდებლო რეგულაციებს, მნიშვნელოვნად განსხვავებული გავლენა ჰქონდათ სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ორგანიზაციებზე.

ქვეთავის მიზანია აჩვენოს სამოქალაქო ორგანიზაციებისადმი მიყენებული ზიანის მთავარი წყაროები, ამ პროცესის განვითარების ტრაექტორია და ის, თუ რა როლი შეასრულა თითოეულმა საკანონმდებლო ცვლილებამ, თუ ხელისუფლების რეპრესიულმა ნაბიჯმა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დასუსტების პროცესში. ამასთან, ამ თავის მიზანია აღვწეროთ, თუ როგორ განსაზღვრა სტრუქტურულმა მოცემულობებმა განსხვავებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობისა და მედეგობის პოტენციალი. კერძოდ, როგორ აისახა სამოქალაქო სივრცის დაზიანების განგრძობადი პოლიტიკა სხვადასხვა ზომის, საქმიანობის ტიპის, საქმიანობის ფორმის, გეოგრაფიული არეალისა და განსხვავებული ფინანსური თუ ადამიანური რესურსების მქონე ორგანიზაციების მდგომარეობაზე.

6.1. პირველი დარტყმა: ე.წ. „რუსული კანონის“ ძალაში შესვლა და მისი გავლენა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე

2024 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღება ასრულებს მცდარ მოლოდინებს კანონის მიღების რეალურობასთან დაკავშირებით. ამგვარი მოლოდინები არსებობდა ორგანიზაციების დიდ ნაწილში, რამდენადაც კანონის მიღების ორთვიან პროცესს თან სდევდა ძლიერი წინააღმდეგობა, რაც საკანონმდებლო ორგანოს წინ მიმდინარე უწყვეტ სამოქალაქო პროტესტში გამოიხატებოდა და „ქართული ოცნების“ მხრიდან მეორედ უკანდახევის იმედს იძლეოდა. ფართო სამოქალაქო პროტესტს ასევე თან ახლდა სამოქალაქო სექტორის დიდი ნაწილის ერთსულოვანი და ძლიერი წინააღმდეგობა.

კანონის მიღებამ საზოგადოებრივი ორგანიზაციები მნიშვნელოვანი დილემის წინაშე დააყენა. კანონით განსაზღვრულ სამთვიან ვადაში (რეესტრში რეგისტრაციის ვადის დასრულებისთვის განსაზღვრულ ვადამდე) ორგანიზაციებს უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნის მიხედვით „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციად“ რეგისტრაციასა, თუ ამგვარ რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.

გადაწყვეტილება სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე

ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნების შესაბამისად, რეგისტრაციის გადაწყვეტილება მიიღო სამოქალაქო ორგანიზაციების მხოლოდ მცირე ნაწილმა.[103] ამ ორგანიზაციებს უმეტესად მიეკუთვნებიან სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციები და რეგიონული ორგანიზაციები. კვლევა აჩვენებს, რომ რეგისტრაციის გადაწყვეტილება ორგანიზაციების ნაწილმა განსაკუთრებული სირთულეების გარეშე მიიღო. თუმცა, ორგანიზაციების გარკვეული ნაწილისთვის ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვან მორალურ დილემას და რთული პროცესის შედეგად, იძულებით მიღებულ გადაწყვეტილებას გულისხმობდა.

ამ უკანასკნელთა გამოცდილება გვიჩვენებს იმ ძირითად ფაქტორებს, რასაც დაეფუძნა ორგანიზაციების გადაწყვეტილება სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციის

103 აქტიური სუბიექტის სტატუსის მქონე 3878 ორგანიზაციიდან (2025 წლის მონაცემი), 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნათა მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებულ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ 383 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია რეგისტრირებული.

თაობაზე. სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციებისთვის ამ საკითხზე მსჯელობის პროცესში გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა ასობით თუ ათასობით ბენეფიციარის ინტერესი სასიცოცხლო მნიშვნელობის სერვისების შეუფერხებლად მიღებაზე, რამდენადაც რეგისტრაციაზე უარის თქმა ჩაითვალა სერვისების მიწოდებისთვის და შესაბამისად, ბენეფიციარებისთვის საფრთხის შემქმნელ გადაწყვეტილებად. რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ასევე გარდამტეხ ფაქტორებად იქცა ორგანიზაციების მიერ უძრავი ქონების საკუთრებაში ქონა, რამაც მისი დაყადაღებისა და დაკარგვის რისკი გააჩინა და ასევე, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა შესაძლო დაჯარიმების შემთხვევაში დონორი ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური მხარდაჭერის მიღების მოლოდინის არქონა. ცხადია, სერვის პროვაიდერ ორგანიზაციებს შორის არსებობს საპირისპირო გამოცდილებებიც, როდესაც იმავე ფაქტორების არსებობის მიუხედავად, ორგანიზაციებმა პრინციპულად უარი თქვეს რეგისტრაციაზე.

საინტერესოა, რომ ორგანიზაციების დიდი ნაწილისთვის საოფისე სივრცის საკუთრებაში არსებობის ფაქტი, სიცოცხლისუნარიანობისა და მედეგობის არსებითი ფაქტორი გახდა და დღემდე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათი გადარჩენის პროცესში, თუმცა, იმ შემთხვევებში, სადაც ორგანიზაციას არ ჰქონდა ჯარიმის გადახდის პოტენციური შესაძლებლობა და ვერც პარტნიორებისგან მიიღეს სათანადო მხარდაჭერა, ქონების საკუთრებაში არსებობის ფაქტი პრობლემად იქცა.

ამდენად, კვლევა აჩვენებს, რომ სერვის პროვაიდერების ნაწილისთვის, ვინც საბოლოოდ მიიღო გადაწყვეტილება რეგისტრაციის თაობაზე, ეს პროცესი რთულ მორალურ და ეთიკურ დილემებს გულისხმობდა და ის ბენეფიციარების სასიცოცხლო ინტერესების დაცვიდან გამომდინარე მიღებული იძულებითი გადაწყვეტილება იყო. ქვემოთ მოცემულია ამონარიდები სწორედ სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელების ინტერვიუებიდან, რაც ამ რთულ და მძიმე მორალურ დაძაბულობას აჩვენებს.

> *„ყველა იყო წინააღმდეგი, მაგრამ რისკების შეფასება რომ დავიწყეთ, რა შეიძლება გაფუჭებულიყო და იმის გათვალისწინებით, რომ მოწყვლად ჯგუფებთან გვაქვს ურთიერთობა, გადავწყვიტეთ, რომ ნებაყოფლობით წარგვედგინა განაცხადი და ბოლოს, თვითონ გვითხრეს არ ექვემდებარებით რეგისტრაციასო....რომ დავრეგისტრირებულიყავით...უამრავი წავიდოდა [ორგანიზაციიდან] და ჩვენც“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

„ამ მორალური დილემის წინაშე აღმოვჩნდით, რომ რა ვქნათ, როცა დავალაგეთ სიტუაცია და მივხვდით, რომ ჯარიმების გადახდის ფიზიკური შესაძლებლობა არ გვაქვს, დონორებს ყველას ველაპარაკეთ და ყველამ გვითხრა, რომ ჯარიმებს ჩვენ ვერ გადაგიხდით... ყოველწამიერი მსჯელობა იყო ამაზე, ჩვენ აგენტები როგორ დავირქვათ... ჩვენ გვაქვს საკუთრებაში არსებული ორი შენობა, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ამას გავფრთხილებოდით... გადარჩენის ერთ-ერთი გზაც შეიძლებოდა [ყოფილიყო] თუ ქონება შეგვრჩებოდა. ბევრი იძახდა, ეს როგორ დავთმოთ, ბევრი შეხლა-შემოხლა იყო... ჩატარდა საერთო კრება... ხმათა უმრავლესობით რეგისტრაციის გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ძალიან მძიმედ გადავიტანეთ“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

გადაწყვეტილება საქმიანობის შეწყვეტის თაობაზე

ე.წ. „რუსული კანონის“ ამოქმედებამ საქმიანობის შეწყვეტამდე ბევრი მცირე ზომის ორგანიზაცია მიიყვანა. ორგანიზაციები, რომელთაც დაიწყეს ლიკვიდაციის პროცესი და/ან ფაქტობრივად სრულად შეწყვიტეს საქმიანობა უმეტესად მცირე ზომისანი არიან, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. ამ ორგანიზაციების საერთო მახასიათებელი გამოკვეთს იმ სტრუქტურულ ფაქტორებს, რაც განმსაზღვრელი გახდა ამ გადაწყვეტილების მიღების გზაზე.

კვლევა აჩვენებს, რომ კანონის ამოქმედებისთანავე იმ ორგანიზაციებმა შეწყვიტეს საქმიანობა, (1) რომელთაც არ ჰქონდათ საკმარისი ფინანსური, ადამიანური რესურსი და მხარდაჭერის ქსელები ამგვარ კრიზისთან გამკლავებისთვის; (2) რომელთა საქმიანობაც, დამფუძნებლებისთვის არა ძირითადი, არამედ დამხმარე საქმიანობა იყო საჯარო სკოლის მასწავლებლობის, საჯარო მოხელეობის თუ სხვა ძირითადი პროფესიული როლისა და საქმიანობის გვერდით, რამაც ეს არჩევანი ძირითადი საქმიანობისა და პროფესიის სასარგებლოდ გადაწყვეტა; (3) ორგანიზაციას არ ჰქონდა მუშაობისა და საქმიანობის დიდი ხნის ისტორია ან იმგვარი შრომისა და პრაქტიკის გამოცდილება, რაც მნიშვნელოვან არგუმენტს შექმნიდა ორგანიზაციის გადარჩენისთვის ბრძოლის სასარგებლოდ. როგორც წესი, ამ ორგანიზაციებს ეს ფაქტორები ერთდროულად ახასიათებდა.

„განადგურდნენ პირველ რიგში პატარა ორგანიზაციები, მოწყვლადი და ა.შ., რომელთათვისაც მარტივი იყო ლიკვიდაცია. თქვეს, რომ იმხელა ბიუროკრატიაში ამოვყავით თავი, მიღირს კი?"

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ცოტა იყო ისეთი ადამიანი, რომელიც ამბობდა, რომ არ უნდა გავუქმდეთ... ყველა ამბობდა, რომ მაინც ვერაფერს ვერ ვაკეთებთ და ახლა ვიღაცისთვის თუნდაც პატარა საფრთხის შექმნად არ ღირს ამ ორგანიზაციის შენარჩუნება...რაკი ორგანიზაცია თავისი აქტივობებით და ისტორიით იყო „ღარიბი", სულ რაღაცა ერთი წლის...მაგიტომ გაიწირა ეს ორგანიზაცია, მიუხედავად იმისა, რომ ძაან მნიშვნელოვანი ორგანიზაცია არის, რომელსაც აქამდე არ უარსებია".

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

გადაწყვეტილება საქმიანობის დროებითი შეჩერების თაობაზე, რაც საქმიანობის შეწყვეტით დასრულდა

მესამე ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი ორგანიზაციებისა, რომელთა დასუსტება და მოგვიანებით, ფაქტობრივი გაჩერება გამოიწვია ე.წ. რუსულმა კანონმა, არის ორგანიზაციების ის ნაწილი, ვინც საქმიანობის დროებითი შეჩერების და სტრატეგიული ლოდინის გადაწყვეტილება მიიღო. ორგანიზაციებმა ე.წ. რუსული კანონის მათზე გავრცელების შესამცირებლად კანონის ამოქმედების მომენტისთვის წინასწარ გახარჯეს ან დააბრუნეს რესურსები იმ მოლოდინით, რომ 2024 წლის არჩევნების შემდეგ, სადაც „ქართული ოცნების" მარცხი გარდაუვალი იყო, შეძლებდნენ საკუთარი საქმიანობისა და ორგანიზაციის განახლებას.

ამ ჯგუფებს მიეკუთვნებიან უმეტესად პატარა ზომის სათემო და სხვა ტიპის ორგანიზაციები (უმეტესად რეგიონებში), რომელთა სამოქალაქო საქმიანობის მნიშვნელოვანი ისტორია და გამოცდილება აქვთ და რომელთაც ორგანიზაციის საქმიანობის დროებით შეჩერების გადაწყვეტილება მიიღეს, თუმცა, ინდივიდუალურად აგრძელებდნენ სათემო მუშაობის გზით მოხალისეობას და ორგანიზაციის აღდგენისთვის მომენტს ელოდებოდნენ.

ორგანიზაციების ამ ჯგუფის გადაწყვეტილება ნაკლებად იყო არჩევანი, რამდენადაც კვლევის მონაწილეების მონათხრობი აჩვენებს, რომ ეს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, განსაზღვრა მათმა ზომამ და შესაძლებლობებმა და მეორე მხრივ, დაჯარიმების რისკების დაზღვევის შეუძლებლობამ. ორგანიზაციები გადაწყვეტილების მიღების პროცესში ცდილობდნენ ჯარიმის დაკისრების სცენარი დაზღვეული ჰქონოდათ, რაც მათ საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობას მისცემდათ და არ მოუწევდათ ორგანიზაციის გაჩერების გადაწყვეტილების მიღება. თუმცა, კვლევის ფარგლებში მოხელთებული ორგანიზაციების გამოცდილება აჩვენებს, რომ მათ, როგორც წესი, ვერ შეძლეს ასეთი მხარდაჭერის მიღება დონორი ორგანიზაციების მხრიდან, რამაც განსაზღვრა გადაწყვეტილება საქმიანობის შეჩერების შესახებ. კვლევა ასევე ადასტურებს, რომ იმ შემთხვევებში, სადაც მცირე ზომისა და შესაძლებლობების ორგანიზაციებმა მიიღეს დონორი ორგანიზაციებისგან მხარდაჭერა პოტენციური ჯარიმებთან გამკლავების თაობაზე, ასევე ორგანიზაციის არსებულ გარემოში ადაპტაციისთვის სხვა აუცილებელი მხარდაჭერა, მათ შეძლეს საქმიანობის გაგრძელება და ორგანიზაციული ფორმით არსებობისა და ადაპტაციის გზების მოძებნა.

> *„ადგილობრივ ორგანიზაციებს ამის რესურსი არ აღმოაჩნდათ. იხვეწებოდნენ, დონორებს ხვდებოდნენ, რომ აი, მე რომ დამაჯარიმონ თქვენ თუ შეგეძლებათ, რომ დამეხმაროთ....[ჩერდება. ცდილობს ცრემლების შეკავებას]...[ორგანიზაციებს] ეს გადაწყვეტილება ჰქონდათ, რომ ამის რესურსი არ გააჩნდათ, რომ ამას შებრძოლებოდნენ. დადიოდნენ ამ ელჩებთან, დონორებთან, რა ვქნათ... ყველა ეუბნებოდა, რომ ჩვენ ჯარიმის ფულს ვერ გადავიხდით. ეს მხარდაჭერა ვერ მიიღეს... მიხვდნენ, რომ მარტო იყვნენ. იმხელა პროპაგანდა იყო თან... პროპაგანდასაც ვეღარ უმკლავდებოდნენ“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ორგანიზაციების გაცოცხლების შესაძლებლობა უახლოეს მომავალში რთულად წარმოსადგენი იყო. ოქტომბრის მოვლენებს 2024 წლის ნოემბრისა და დეკემბრის უწყვეტი წინააღმდეგობა და მასზე ხელისუფლების რეპრესიული და სასტიკი რეაგირება მოყვა, რაც შეუძლებელს ხდიდა ორგანიზაციულ მომავალზე ფიქრს.

უწყვეტ შიდა კრიზისს კი 2025 წლის დასაწყისში მოჰყვა ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილება ამერიკის განვითარების სააგენტოს (USAID) დახურვის თა-

ობაზე, რამაც იმთავითვე იქონია გავლენა განვითარების სხვა სააგენტოებსა და ფონდების პრიორიტეტებზე, რომელთაც შემცირებული რესურსების განაწილებისას უპირატესობა შედარებით დიდი და რესურსული ორგანიზაციების ფინანსურ გადარჩენაზე გააკეთეს. ამ გადაწყვეტილებიდან რამდენიმე თვეში ამერიკული „ფარას“ ტიპის კანონისა და „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილების დაანონსებისთანავე ცხადი გახდა, რომ ორგანიზაციების ამ ნაწილს გაუჭირდებოდა როგორც რესურსების მოპოვება, ისე გადაწყვეტილების მიღება შეჩერებული საქმიანობის აღდგენის თაობაზე, რამდენადაც საქმიანობის აღდგენა გარემო პირობების გაუმჯობესებას უკავშირდებოდა, რაც არ მომხდარა. მეტიც, 2025 წლიდან კიდევ უფრო დამძიმდა როგორც ფინანსების მიღების შესაძლებლობები, ისე საკანონმდებლო გარემო და ფინანსური და პერსონალური პასუხისმგებლობის რისკები, რამაც განსაზღვრა შედარებით მოწყვლადი, პატარა ზომის, უმეტესად რეგიონული ორგანიზაციების მომავალი.

ამდენად, ორგანიზაციებმა რომლებმაც ე.წ. „რუსული კანონის“ ამოქმედების საფრთხეებისგან დასაზღვევად მიიღეს გადაწყვეტილება რესურსების წინასწარი გახარჯვის და ორგანიზაციული ფორმით საქმიანობის დროებითი შეჩერების თაობაზე, 2025 წელს დამდგარი ფინანსური კრიზისისა და რამდენიმე თვეში, ორი ახალი შემზღუდავი კანონის დაანონსების შემდეგ ვეღარ შეძლეს დასუსტებული ორგანიზაციული სიმძლავრეების აღდგენა და მუშაობის დროებითი შეჩერება ხანგრძლივი და განუსაზღვრელი ვადით შეჩერებაში გადაიზარდა.

ფაქტობრივად ამით შემოისაზღვრა ე.წ. „რუსული კანონის“ გავლენის ძირითადი არეალი, რომელმაც სამოქალაქო სექტორის ყველაზე მოწყვლადი, შედარებით მცირე ზომის, რეგიონული და უმეტესად, სათემო საქმიანობის მქონე მცირე სამოქალაქო ჯგუფებისა და ინიციატივების განეიტრალება მოახერხა. თუმცა, სამოქალაქო ორგანიზაციების ეს ჯგუფი დღემდე ცდილობს და ეძებს ახალ გზებსა თუ შესაძლებლობებს და შესაბამის მომენტს საქმიანობის აღდგენისათვის.

> *„თითქმის ყველა [სათემო ორგანიზაცია] გაჩერდა „რუსული კანონის“ შემდეგ და „ფარამ“ საერთოდ მობრუნების შანსიც გააუქმა...ჩვენი ვისთანაც ვმუშაობდით 60 % უბრალოდ, ფიზიკურად აღარ ფუნქციონირებს არცერთი ფორმით. დანარჩენებს გრანტები უბრალოდ აღარ აქვთ, იმიტომ რომ სათემო ფონდები დაიხურა“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

„ეს რომ გასაგები გახდა ზაფხულში რომ „ჩაიხსნა“ [„ქართული ოცნების“ მიერ საერთაშორისო ანგარიშვალდებულება], ჩვენ რომ ვისმენთ იმ რიტორიკას, რასაც ვისმენთ, ხომ გასაგებია, რომ ამათ არაფერი შემაკავებელი აღარა აქვთ... ეს გასაგები იყო, რომ სამუშაო გარემო აღარ გექნებოდა, ვეღარ იმუშავებდი ისე, როგორც მუშაობდი, ღიად, წყნარად, მშვიდად, დაგეგმილად, თანმიმდევრულად. ვერ იმუშავებ იმიტომ, რომ გარემოს სპობენ, სამუშაო ველს სპობენ და არანაირი შემაკავებელი ბერკეტი აღარ არსებობს, დამთავრდა, აღარ არის. არც შიგნით, არც გარეთ.)

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„გაჩერებულები არიან ადგილებზე და ელოდებიან რა იქნება...უფრო დაპაუზებაა, რომელიც თუ დიდხანს გაგრძელდა, გადაიზრდება კვდომაში“.

(ექსპერტული ინტერვიუ)

„შარშან მქონდა კომუნიკაცია 17 მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციასთან და წელს აგვისტოში 16 აღარ ფუნქციონირებდა“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

6.2. მეორე დარტყმა: ე.წ. „აგენტების შესახებ“ კანონის გავლენა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე

ე.წ. „აგენტების შესახებ“ კანონის (იგივე ე.წ. ფარა) მიღების მომენტისთვის უმეტესად სამოქალაქო საზოგადოების დიდი და საშუალო ზომის ორგანიზაციები შედარებით დასუსტებული და სახეცვლილი ფორმებით ფუნქციონირებდნენ, თუმცა, ისინი ამ დროისთვის ჯერ კიდევ ახერხებდნენ მნიშვნელოვანი საქმეების შესრულებას.

კვლევა აჩვენებს, რომ „აგენტების შესახებ“ კანონს ისეთივე გავლენა არ ჰქონია სექტორიდან ორგანიზაციების გამოთიშვაზე, როგორც ეს ე.წ. „რუსული კანონის“ შედეგად მოხდა. თუმცა, ჩანს, რომ მას გავლენა ჰქონდა ორგანიზაციების იმ ჯგუფზე, რომელთათვის სხვა თანმდევ სირთულეებთან ერთად გადამწყვეტი აღმოჩნდა კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა სისხლისსამართლებირვი პასუხისმგებლობის შესახებ.

კანონის მიღება აღიქვეს, როგორც „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილება, რომელიც ნამდვილად აპირებდა სამოქალაქო სექტორის განეიტრალების ამოცანა კიდევ უფრო შორს წაეყვანა, რაც გულისხმობდა კიდევ უფრო რთული რეალობის დადგომას იმ ორგანიზაციების წინაშე, ვინც გაუმკლავდნენ პირველ საკანონმდებლო დარტყმას. კანონის მიღებას თან სდევდა გადაწყვეტილება „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილების დაანონსების თაობაზე. ამ მომენტმა ცხადი გახადა, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების სამუშაო ველი უკიდურესად შეიზღუდებოდა, რამაც ორგანიზაციების კიდევ ერთი ნაწილის (უმეტესად საშუალო და პატარა ზომის ორგანიზაციების) ორგანიზაციული ფორმით ფაქტობრივი გაჩერება განაპირობა.

მეორე საკანონმდებლო წნეხს ძირითად დიდი ზომის ორგანიზაციები, მათ შორის, „ვოჩდოგები“, ასევე, შერეული და ფართო პროფილის (think tank, ე.წ. „ბრიჯინგ“ და „ინფრასტრუქტურული“) ორგანიზაციები გადაურჩნენ.

6.3. მესამე დარტყმა: ცვლილება „გრანტების შესახებ“ კანონში და მისი გავლენა სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე

2025 წლის აპრილში „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილების მიღებამ ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა სამოქალაქო ორგანიზაციებისთვის დონორი ორგანიზაციებისგან გრანტების მიღება. ამ მოცემულობამ ორგანიზაციების არსებული ფორმით გადარჩენა ფაქტობრივად მათ მიერ კანონის ძალაში შესვლამდე მოპოვებული რესურსების ამოწურვას დაუკავშირა. „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებას ყველაზე მძიმე წნეხად მიიჩნევენ კვლევის მონაწილეები, რამდენადაც ცვლილებამ არსებულ კანონმდებლობაში მცირე საკანონმდებლო შესწორების შეტანით შეძლო ყველაზე დიდი ზიანის გამოწვევა და ფაქტობრივად გადაკეტა დამოუკიდებელი და ავტონომიური დღის წესრიგის მქონე ორგანიზაციების ამ ფორმით გადარჩენის შესაძლებლობები, მათი რესურსებისა თუ ზომის მიუხედავად.

კვლევა აჩვენებს, რომ ორგანიზაციების დიდ ნაწილს ფინანსური რესურსები 2025 წლის შემოდგომის შუა პერიოდში ან წლის დასასრულს ეწურებოდა, რაც მათ მომავალს სრულიად ბუნდოვანს ხდიდა. ორგანიზაციების ნაწილი ასევე გეგმავდა საქმიანობების შემცირების სტრატეგიის გამოყენებას, რათა გახანგრძლივებულიყო არსებული რესურსებით ორგანიზაციის ფუნქციონირების დრო.

„რა იქნება მომავალში არ ჩანს, ორი თვის იქით არაფერი აღარ ჩანს... არ ჩანს არაფერი, უბრალოდ იხედები და მხოლოდ არის სიცარიელე, არანაირი იმედი, მოლოდინები. რაღაცაზე დაფუძნებით ხომ უნდა გააკეთო ეს მოლოდინები... რაღაცასთან ხომ უნდა დააკავშირო...არ ვიცი, ალბათ გავქრებით“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„სრულად გაჩერებას არ ვაპირებთ, მაგრამ თუ ოპერირება იყო ინტენსიური, ახლა ვაპირებთ, რომ მინიმალური რესურსით ვიმუშაოთ და ალბათ იქნება 1/5”.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

„ერთი შემიძლია ვთქვა, რომ არ გავჩერდებით, სანამ ბოლომდე არ გაგვსრისავენ”.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

6.4 მეოთხე დარტყმა: სამოქალაქო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშების დაყადაღება

„გრანტების შესახებ“ კანონში გატარებულმა ცვლილებებმა გადაულახავი წინააღმდეგობა შექმნა ყველა ტიპის ორგანიზაციისათვის და ცხადი გახადა, რომ ამ კანონის მძიმე გავლენა ადრე თუ გვიან დადგებოდა ყველაზე დიდი და რესურსული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვისაც. კანონის მიღების შემდეგ სამოქალაქო ორგანიზაციების გადარჩენილი ნაწილი მაინც აგრძელებდა შედარებით დასუსტებულ თუმცა, მდგრად, სისტემურ მუშაობას და „ქართული ოცნების“ რეპრესიული და სადამსჯელო პოლიტიკისთვის წინააღმდეგობის გაწევას.

სტრუქტურულმა ცვლილებებმა, რაც 2024 წლის მაისიდან 2025 წლის აპრილის ჩათვლით სამი ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილება მოიცვა, ცხადი იყო, რომ ზეგავლენის მიუხედავად, არსებითად ვერ დაასუსტა საზოგადოებრივი ორგანიზაციების იმ ნაწილის საქმიანობა, რომლებიც ე.წ. watchdog ორგანიზაციებს წარმოადგენენ და ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიის საკითხებზე მუშაობენ.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გადარჩენილი ნაწილის განეიტრალების მიზნით 2025 წლის ივნისიდან ანტიკორუფციული ბიურომ დაიწყო ინსპექტირების პროცედურები სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ და ადმინისტრაციული პროცედურების გამოყენების გზით, შეეცადა წნეხი გაეზარდა სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობაზე. 2025 წლის აგვისტოში საქართველოს პროკურატურის მოთხოვნით საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება შვიდი სამოქალაქო ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშების დაყადაღების თაობაზე, რაც უკავშირდება პროკურატურაში მიმდინარე ე.წ. „საბოტაჟის“ საქმეს. ფინანსური ანგარიშების დაყადაღება არსებითად აისახება ამ ორგანიზაციების საქმიანობაზე, მნიშვნელოვნად ამცირებს მათი მოქმედების/მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას და მას დიდწილად მოხალისეობრივ შრომაზე დამოკიდებულს ხდის.

7. სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგობა და ბრძოლა გადარჩენისთვის

სამოქალაქო საზოგადოების შემზღუდავი საკანონმდებლო გარემოს შექმნის წინააღმდეგ საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოლექტიური ორგანიზების პროცესი 2023 წლის თებერვალში იწყება, „ქართული ოცნების“ მიერ ე.წ. „რუსული კანონის“ მიღების პირველი მცდელობისას. ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოლექტიური ძალისხმევა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ე.წ. „რუსული კანონის“ ანტიდემოკრატიული მიზნების შესახებ საზოგადოებრივი განწყობების მობილიზაციის პროცესში, რამაც კანონპროექტის ჩავარდნაზე არსებითი გავლენა იქონია და ხელისუფლებას უკანდახევა აიძულა. თუმცა, კანონის ჩავარდნისთანავე, წინააღმდეგობა ჩერდება და ასევე ჩერდება სამოქალაქო ორგანიზაციების მუშაობა ხელისუფლებისგან მომდინარე ამ რისკების გარშემო. კვლევა აჩვენებს, რომ 2023 წლის სახიფათო გამოცდილებასთან კავშირში, ორგანიზაციების შიგნით, ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად, შესაძლო ნეგატიური სცენარებისთვის მზადების პროცესი არ დაწყებულა. დღევანდელი პერსპექტივიდან, კვლევის მონაწილეები ამას ხედავენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვან შეცდომას, რომელმაც საფრთხე უკუგდებულად ჩათვალა და სათანადოდ არ მოემზადა ამავე ამოცანების მქონე კანონპროექტის ხელახალი ინიციირების მომენტისთვის, რაც უსათუოდ დადგებოდა.

როგორც ჩანს, ანალოგიურია ქვეყანაში მოქმედი წამყვანი დონორი ორგანიზაციების გამოცდილებაც, რომლებიც 2024 წელს „ქართული ოცნების“ მიერ სამოქალაქო ორგანიზაციებზე მიტანილ პირველ საკანონმდებლო შეტევას – ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებას მოუმზადებლები შეხვდნენ. მეტიც, სამოქალაქო სივრცეების შემზღუდავი საკანონმდებლო ჩარჩოს ფორმირების პროცესში, რომელიც ერთი წელი გრძელდებოდა, დონორმა ორგანიზაციებმა ვერ შეძლეს სამოქალაქო სივრცისთვის ახალი და სათანადო მხარდაჭერის ალტერნატიული პრაქტიკების შექმნა, რამაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სექტორის სიცოცხლისუნარიანობის დასუსტებაში.

ამასთან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი და დონორი ორგანიზაციების კრიტიკას, თან ახლავს კვლევის მონაწილეების მიერ იმის გააზრებაც, რომ დემოკრატიული სივრცის შეკუმშვის პროცესი და მისი შოკისმომგვრელი ტემპი ობიექტურად არ ტოვებდა საკმარის დროს და ამცირებდა სათანადო მომზადებისა და რეაგირების შესაძლებლობებს. ამდენად, ამ ქვე-

თავის მიზანია, პრობლემებისა და სირთულეების მასშტაბის უკეთ დანახვის მიზნით, თავი მოუყაროს რეფლექსიებს, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების შიგნით არსებობს და რაც შესაძლოა, დღეს არსებული გამოწვევების გადალახვის გზაზე მნიშვნელოვან დახმარებად იქცეს.

7.1. საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგობისა და გადარჩენის გზების კოლექტიური ძიება

არასასურველი სცენარი, რაც ორგანიზაციებს შორის ერთობლივი ფიქრისა და მზადების საგანი არ ყოფილა, ზუსტად ერთ წელში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების დღის წესრიგის მთავარ საკითხად იქცა, 2024 წელს „ქართული ოცნების" მიერ კანონპროექტის მეორედ ინიციირების შემდეგ. ხელისუფლების ამ ნაბიჯს, წინასწარი მზადების არარსებობის მიუხედავად, ძალიან სწრაფად, ეფექტიანად და კოლექტიურად უპასუხა ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ. კანონპროექტის განხილვის კვალდაკვალ, საერთო საზოგადოებრივი პროტესტის პარალელურად მიმდინარეობდა სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიური პროტესტი, რომელმაც 400-მდე დამოუკიდებელი სამოქალაქო ორგანიზაცია გააერთიანა[104] და ინტენსიური საინფორმაციო კამპანიითა და სხვადასხვა ფორმების გამოყენებით ცდილობდა კანონპროექტის მიღების პროცესისთვის წინააღმდეგობის გაწევას. სამოქალაქო ორგანიზაციების მხრიდან კოლექტიური, ძლიერი და განგრძობადი წინააღმდეგობის ჩვენებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საზოგადოების იმ ნაწილის განწყობებზე, რომელიც სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართ ნეგატიურად არასდროს ყოფილა განწყობილი. თუმცა, კვლევის მონაწილეების მოსაზრებით, წინააღმდეგობის პროცესებმა საზოგადოების ამ ჯგუფში მნიშვნელოვნად გაზარდა პატივისცემა და ნდობა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ.

ე.წ. „რუსული კანონის" მიღების შემდეგ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობის დიდი ნაწილი, წინააღმდეგობის პროცესის გაგრძელების გარდა, ასევე გულისხმობდა შიდა ინტენსიური საკონსულტაციო პროცესის ორგანიზებას, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ჯგუფების, მათ შორის, პატარა ზომის რეგიონული ორგანიზაციების

104 რადიო თავისუფლება, 400-ზე მეტი NGO და მედიასაშუალება: ე.წ. აგენტების კანონის მიღება შეუძლებელს გახდის ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნას, აპრილი, 2024. https://www.radiotavisupleba.ge/a/32895749.html (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

მხარდაჭერას. სამართლებრივი კონსულტაციების გაცემის პროცესი მეტ-ნაკლებად კოორდინირებულად წარიმართა და გულისხმობდა არაერთი დიდი და შედარებით რესურსული ორგანიზაციის მიერ სამართლებრივი რჩევების გაცემას კანონის მიზნების, შინაარსის, მოთხოვნებისა და მისგან მომდინარე რისკების თაობაზე. დამატებით, დარგობრივი ორგანიზაციების ნაწილმა, ასევე მოახერხა რესურსების მობილიზება და მათ დარგებში მომუშავე მცირე ზომის ორგანიზაციებისთვის/პარტნიორებისთვის სამართლებრივი მხარდაჭერის შეთავაზება.

ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნების მიხედვით, სპეციალურ რეესტრში რეგისტრაციაზე უარის შესახებ მიღებული საერთო გადაწყვეტილება, ქართული სამოქალაქო საზოგადოების შიგნით მიღწეული მნიშვნელოვანი კონსენსუსია, რაც საზოგადოებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგობის ერთობლივი პროცესის შედეგადაც მომწიფდა. როგორც ე.წ. „რუსული კანონის“, ასევე, ე.წ. „აგენტების კანონის“ მოთხოვნების მიხედვით რეგისტრირებულ ორგანიზაციათა საერთო მაჩვენებელი ცხადყოფს, რომ საქართველოში აქტიური სტატუსის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდმა უმრავლესობამ არ მიმართა შესაბამის უწყებებს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრში და ე.წ. „აგენტების კანონით“ განსაზღვრულ უცხოური პრინციპალის აგენტად რეგისტრაციის თაობაზე. აქტიური საზოგადოებრივი ორგანიზაციების ზუსტი რაოდენობრივი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი,[105] თუმცა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2025 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოში 33714 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია რეგისტრირებული, რომელთაგან 3878 ორგანიზაციას აქვს აქტიური სუბიექტის სტატუსი.[106] ამათგან, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნათა მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოებულ „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრში“ 383 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია რეგისტრირებული.[107] ხოლო ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდის მიხედვით, ე.წ. „აგენტების კანონის“ (იგივე ქარ-

105 სსო მეტრი 2024: საქართველო ქვეყნის ანგარიში საანგარიშო პერიოდი: იანვარი – ნოემბერი 2024, გვ. 24.

106 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და ზომების მიხედვით, 2025. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit. (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

107 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი, 2025. https://fitreg.napr.gov.ge/fitr/fitr-pub (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

თული ფარას/GEO FARA) მოთხოვნების თანახმად, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით, 12 აქტიური უცხოური პრინციპალია რეგისტრირებული.[108]

საინტერესოა რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამართლებრივი კონსულტირების ინტენსიური პროცესი კანონის სრულ ამოქმედებამდე, თვეების მანძილზე, კოლექტიური თუ ინდივიდუალური ფორმებით მიმდინარეობდა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ძალისხმევა გააერთიანა. თუმცა, კვლევა აჩვენებს, რომ წინააღმდეგობის გამოყენებული ფორმები და გაწეული სამართლებრივი მხარდაჭერა არ აღმოჩნდა საკმარისი იმ რთული დილემების გადაწყვეტისთვის, რის წინაშეც ორგანიზაციების დიდი ნაწილი აღმოჩნდა. შედეგად, ე.წ. „რუსული კანონის“ საპასუხოდ ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, რაც გარკვეულ შემთხვევებში იძულებით რეგისტრაციას, ორგანიზაციული საქმიანობის შეწყვეტას, დროებით შეჩერებას, საქმიანობის გაგრძელებას თუ ალტერნატიული ფორმების ძიებას გულისხმობდა, ორგანიზაციებმა საკუთარი შესაძლებლობების, რესურსებისა და რისკებთან გამკლავების პოტენციალიდან გამომდინარე მიიღეს და ეს გამოსავალი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

კვლევის მონაწილეები სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეცდომად მიიჩნევენ ე.წ. „რუსული კანონის“ მიღების შემდეგ არსებულ მცდარ მოლოდინს 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, რამდენადაც სამოქალაქო ორგანიზაციების კოლექტიური გადარჩენის მოლოდინი არჩევნებში „ქართული ოცნების“ გარდაუვალ დამარცხებას დაუკავშირდა. შედეგად, უმეტეს შემთხვევაში ორგანიზაციების შიგნით დროებითი გადაწყვეტა მოიძებნა, გაჩერდა ფიქრი გრძელვადიანი გამოსავლების შესახებ და რესურსების დიდი ნაწილი წინააღმდეგობის პროცესის გაგრძელებაზე მობილიზდა, რამდენადაც საპარლამენტო არჩევნები ამგვარ საერთო გამოსავლად და ისტორიულ შესაძლებლობად მიიჩნიეს. შედეგად, გაიფლანგა დრო, როდესაც ორგანიზაციების შიგნით თუ ორგანიზაციებს შორის ყველაზე დიდი რესურსი და შესაძლებლობა არსებობდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადარჩენისა და გამოსავლის სცენარების მომზადებისთვის. ამასთან, გამოკითხული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს შორის არსებობს ერთგვარად საგამონაკლისო მოსაზრება, რომ წინააღმდეგობის პროცესის შენების პარალელურად, სამოქალაქო ორგანიზაციებს მეტი ენერგია უნდა ჩაედოთ ხელისუფლებასთან დიალოგის

108 ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, 2025. https://fara.acb.gov.ge/search/by-principal, (ბოლოს ნანახია 28.12.2025.);

სივრცეების შენარჩუნებაში და მარტივად არ დაეთმოთ დიალოგისთვის არსებული ინსტიტუციური ფორმატები, რასაც შესაძლებელია ხელისუფლებასთან გარკვეული კონსენსუსის მიღწევისა და უკანდახევის შესაძლებლობები გაეჩინა.

დღევანდელი პერსპექტივიდან, მნიშვნელოვან შეცდომად მიიჩნევა არა მხოლოდ დროითი შესაძლებლობის ხელიდან ორჯერ გაშვება, არამედ გადარჩენის გზების კოლექტიური ძიებისთვის აუცილებელი დისკუსიის სივრცეების არარსებობა. სამოქალაქო ორგანიზაციების წიაღში შექმნილი წინააღმდეგობისა და სამართლებრივი კონსულტირების ფორმატების მსგავსად, არ შექმნილა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ადაპტაციასა და გადარჩენაზე ფოკუსირებული მსჯელობის სივრცე. საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოორდინაციის არსებული ფორმატები კი არ იძლეოდა გადარჩენის ამოცანების დასმის, მათზე პრაგმატული მსჯელობის, შესაძლო ნეგატიური სცენარების განხილვისა და მათზე საპასუხო კოლექტიური მოქმედებების დაგეგმვის შესაძლებლობას. 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ განვითარებულმა მძიმე პოლიტიკურმა პროცესებმა, მოვლენათა ინტენსიურობამ და სისწრაფემ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადარჩენაზე კოლექტიური ფიქრისა და მოქმედების სივრცეები უკიდურესად დაავიწროვა, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა სექტორის სიცოცხლისუნარიანობაზე.

> *„დღევანდელი მდგომარეობით რომ შევხედოთ, [სექტორს] იმ პერიოდში უნდა გაეკეთებინა აბსოლუტურად სხვა. იმიტომ რომ ეხლა ჩვენ აღარც რესურსები აღარ გვაქვს, აღარც იმდენი ადამიანი აღარ გვყავს გარშემო როგორც წინასაარჩევნოდ გვქონდა, უფრო მეტი სივრცე გვქონდა, უფრო მეტი რესურსები გვქონდა რეალურად რომ სხვა ალტერნატივებზეც გვეფიქრა“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„იმდენად გაბატონებულია საერთო მიდგომები, მასთან პატარა წინააღმდეგობაც კი სხვა ბანაკში გამყოფებს. არჩევნებამდეც იგივე მოხდა. რომ გეთქვა, იქნებ აყალბებს [ხელისუფლება არჩევნებს], გეტყვიან, რომ არა, არა, ეგრე ვერ გააყალბებს, ქართველი ხალხი ამას არ დაუშვებს. ცუდ სცენარებზე ფიქრი მიუღებელია, განდევნილია ფიქრიც კი“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

კვლევა აჩვენებს რომ ე.წ. „რუსულ კანონთან“ წინააღმდეგობის გამოცდილებისგან განსხვავებით, ბევრად მცირე იყო სამოქალაქო ორგანიზაციების კოლექტიური წინააღმდეგობის პროცესი ე.წ. „აგენტების შესახებ“ კანონთან და „გრანტების შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც უმეტესად ორი ფაქტორით აიხსნება. ერთი მხრივ, 2025 წელს ქვეყანაში უკვე მნიშვნელოვნად იყო დამძიმებული პოლიტიკური გარემო და მეორე მხრივ, ორგანიზაციების დიდი ნაწილი სრულად ან დროებით გაჩერებული, დასუსტებული ან ახალი გზების ძიების პროცესში იყო, რაც 2024 წლის მსგავსი კოლექტიური მობილიზაციისა და ერთობლივი წინააღმდეგობის პოტენციალს არ ქმნიდა. 2025 წლის თებერვალში ინიციირებულ კანონპროექტთან კავშირში ასევე გრძელდებოდა საერთო საკონსულტაციო ფორმატების მუშაობა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის, რაც ასევე მიზნად ისახავდა ორგანიზაციებს შორის საერთო გამოსავლების ჩამოყალიბებას. თუმცა, კვლევა აჩვენებს, რომ ე.წ. „აგენტების კანონით“ გათვალისწინებულმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომამ, საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადარჩენის გზები და გამოსავლები კიდევ უფრო არაერთგვაროვანი და ინდივიდუალიზებული გახადა.

> *„რუსული კანონის“ დროს მეტი იყო თითქოს კოორდინაცია და მობილიზაცია და „ფარას“ დროს ეს შეკოწიწებული ალიანსები მოიშალა“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო შეხვედრებს ვესწრებოდით და ინფორმაციებს ვიღებდით, საბოლოოდ მაინც ინდივიდუალიზდა გადარჩენის მექანიზმები“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგობა შთამბეჭდავი და ძლიერი აღმოჩნდა კვლევის მონაწილეებისთვის, რაც სექტორის მედეგობასა და ბრძოლისუნარიანობაზე მიუთითებს. ამასთან, სამართლებრივი კონსულტაციების გაცემის თვალსაზრისით, რესურსული ორგანიზაციების მხარდაჭერა მისაწვდომი იყო ბევრი სამოქალაქო ორგანიზაციისთვის, რაც სექტორის მხრიდან მნიშვნელოვანი ძალისხმევის გაწევას აჩვენებს. თუმცა, განსაკუთრებით რეგიონული და პატარა ზომის ორგანიზაციებისთვის ამ პროცესმა ვერ შექმნა იმგვარი გამოსავალი, რასაც მათი რეალური გადარჩენის გზები დაეფუძნებოდა.

ამდენად, კრიზისის მართვის მთავარ გამოწვევად სამოქალაქო ორგანიზაციების გადარჩენაზე მიმართული სამუშაო სივრცეების არარსებობა მიიჩნევა, რაც ადგილობრივი ფონდებისა და ინფრასტრუქტურული ორგანიზაციების პასუხისმგებლობად უფრო შეგვიძლია დავინახოთ, რომელთა პირდაპირი ფუნქცია სამოქალაქო სექტორის გაძლიერებასა და მხარდაჭერას გულისხმობს. ამგვარ პროცესს, შესაძლოა, მრავალფეროვანი საჭიროებების და გამოწვევების მქონე ორგანიზაციებისთვის გამოსავლის გზები უკეთ მოეხელთებინა და კოორდინირებული მუშაობითა და დონორი ორგანიზაციების წინაშე საერთო გადარჩენის სტრატეგიების პროაქტიული შეთავაზების გზით, უზრუნველეყო არსებული მხარდაჭერის ახალი შესაძლებლობების ეფექტიანი მობილიზება. თუმცა, ადაპტაციისა და გადარჩენის ამოცანებზე მიმართული ამგვარი კოლექტიური პროცესის შექმნა ვერ მოხერხდა.

კვლევა აჩვენებს, რომ ამ პროცესში ინდივიდუალური საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენდა წინააღმდეგობის, ადაპტაციისა და გადარჩენის ამოცანების თანადროული მიღწევის საჭიროება და მათ შორის სწორი ნავიგაცია და ბალანსი. ორგანიზაციების უმრავლესობა პარალელურად ცდილობდა ორგანიზაციული საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელებას, ამასთან წინააღმდეგობისა და პროტესტის განგრძობად პროცესში აქტიური როლის შეტანას და დამატებით, ორგანიზაციული საქმიანობის ადაპტაციისა და მისი გადარჩენის ამოცანების მიღწევას. ამ მრავალშრიან გამოწვევებს განსაკუთრებულად ართულებდა საერთო კრიზისის, შოკისა და უძალობის განცდა, რასაც ავტორიტარიზმში სწრაფი და შეუქცევადი ვარდნის მდგომარეობა იწვევდა. კვლევა აჩვენებს, რომ პროცესების საწყის ეტაპზე, ორგანიზაციების დღის წესრიგებში მეტი დრო დაეთმო პროტესტისა და წინააღმდეგობის შენებას, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა ადაპტაციისა და გადარჩენისთვის შრომა და მეტიც, დაასუსტა ორგანიზაციების ძირითადი ამოცანები და საქმიანობა.

ე.წ. „რუსული კანონის“ მიღებამდე ცალკეული ორგანიზაციების დონეზეც სუსტი იყო ნეგატიური სცენარებისათვის მზადების პროცესი. შედეგად, კრიზისის დადგომისთანავე, ორგანიზაციები საქმიანობის სტრატეგიული გამოწვევების გადაჭრის პარალელურად, ფიზიკური და ციფრული უსაფრთხოების პროტოკოლების შემუშავებას და დანერგვას ცდილობდნენ. ორგანიზაციულ სამუშაოებში მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ვხვდებით კრიზისული გეგმების შექმნისა და ამუშავების გამოცდილებას. ორგანიზაციები უმეტესად ამგვარი კრიზისული გეგმის გარეშე, ყოველდღიური სამუშაო პროცესების შიგნით წერტილოვნად ცდილობდნენ მათ წინაშე მდგარ გამოწვევებთან გამკლავებას.

კვლევაში მონაწილე იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დღემდე აგრძელებენ ფუნქციონირებას, მთავარ საკითხად რჩება საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის ადაპტაცია და პოტენციური ზიანის კონტროლი, რაც ორგანიზაციების მხრიდან მნიშვნელოვან ძალისხმევას საჭიროებს. თუმცა, ორგანიზაციების ნაწილმა, 2025 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ, რამაც ხელისუფლებას თვითნებობის განუსაზღვრელი ბერკეტები შესძინა, შეწყვიტა ზიანის კონტროლზე, როგორც შეუძლებელ ამოცანაზე მუშაობა. ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შორის მაღალია განცდა, რომ ორგანიზაციასთან კავშირში მოვლენების განვითარება ნებისმიერი სცენარით არის შესაძლებელი და მათზე კონტროლი დიდწილად ხელისუფლების ხელშია. ამასთან, საყოველთაოა განცდა, რომ განვითარებაზე, მათ შორის სასიცოცხლო სერვისების განვითარებაზე ფიქრიც კი, აღარ წარმოადგენს ორგანიზაციებისთვის შესაძლებელ ამოცანას.

> *„დამკვირვებლის როლში ვარ, ფრთხილად გარშემო ვიყურები, საით წავიყვანო, ფაქტიურად არანაირ განვითარებაზე არ ვფიქრობ, შემოთავაზებაც მქონდა [საერთაშორისო დონორისგან] გასულ წელს, რომ დაგვეწყო კიდევ ერთი [სერვისი] იმიტომ, რომ გვაქვს რესურსი... თუმცა, ვუთხარი რომ ახლა არაფერი არ ვიცი, რა იქნება და გავაჩერეთ“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ორგანიზაციების მედეგობისა და სიცოცხლისუნარიანობის განსხვავებული შესაძლებლობები, რასაც მათი განსხვავებული გამოსავლის გზები დაეფუძნა, რამდენიმე დამატებითმა სტრუქტურულმა ფაქტორმაც განსაზღვრა. კვლევის მონაწილეების აზრით, თბილისში მოქმედი შედარებით მდგრადი რესურსების მქონე ორგანიზაციებისა და რეგიონული პატარა ზომის ორგანიზაციების განვითარების დინამიკა და ტრაექტორია ყოველთვის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანასწორი და მჭიდრო კავშირების შექმნის და ურთიერთგაძლიერებაზე მიმართული თანამშრომლობის სივრცეების შენების გამოცდილება ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის მახასიათებელი ნაკლებად იყო. ამასთან, მცირე გამონაკლისების გარდა, სხვადასხვა ზომის, გეოგრაფიული დაფარვის, საჭიროებებისა და შესაძლებლობების მქონე სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის, თანასწორი გაზიარებისა და თანამშრომლობის სივრცეები, როგორც წესი, არ არსებობდა, ხოლო პროექტიული გადაკვეთებით შექმნილი თანამშრომლობის გამოცდილებები, ურთიერთგაძლიერებაზე მიმართულ პრაქტიკას ვერ ქმნიდა.

„ეს თანამშრომლობის ქსელები მანამდე მწიფე არ იყო და ამ კრიზისის დროსაც სამწუხაროდ ესე ვერ მოხდა, თუ არ მოხდა საერთო სივრცეების და ქსელების შექმნა გადარჩენისთვის... ჩემი კრიტიკა ყოველთვის ეს იყო, რომ დიდი და ცენტრალური ორგანიზაციები რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებს პარტნიორებად არ აღიქვამდნენ თითქმის არასდროს და გრანტების მიღების დროს იყო ის, რომ ჩვენზე აკეთებდნენ [პროექტებს] ხშირ შემთხვევაში...ძირითადად პოლიტიკა იყო რომ ორგანიზაციები იღებდნენ მათთვის გრანტებს რომ ჩვენზე გაეკეთებინათ [პროექტი]. ეს პარტნიორობის გამოცდილებები არ იყო მაინცდამაინც“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

კვლევის მონაწილეები მნიშვნელოვან პრობლემად ასახელებენ ქართული სამოქალაქო საზოგადოების იმ სისუსტეებს, რომელთა დროული გადალახვა სექტორის მხრიდან მეტად მედეგი და კონსოლიდირებული სამოქალაქო საზოგადოების შენების შესაძლებლობას შექმნიდა. ამგვარი თვითრეფლექსიური და მეტად ანგარიშვალდებული სამოქალაქო სექტორი „ქართულ ოცნებას“ მისი ამოცანების მიღწევას კიდევ უფრო გაურთულებდა, რომელმაც რეალურად გამოიყენა სექტორის სტრუქტურული სისუსტეები და სამოქალაქო ორგანიზაციების ნაწილსა და საზოგადოებას შორის არსებულ გარკვეულ გაუცხოებაზე დააშენა, მთელი სექტორის მიმართ უნდობლობის წარმოებისა და მისი საერთო მარგინალიზაციის ამოცანა.

„„ენჯეოები“ ეკონომიკურ უკმაყოფილებებზე არ მუშაობდნენ, იმიტომ, რომ ნეოლიბერალურ პარადიგმაში იყვნენ წლების განმავლობაში. რასაც ქართული ოცნება კარგად ჩაეჭიდა. მეორე არგუმენტი დემოკრატიაზე, რომ ისინი დემოკრატიულები არ არიან....და მათ უკან არავინ არ დგას. ეს რიტორიკაც იმ სისუსტეებს ჩაეჭიდა, რაც „ენჯეო“ სექტორში იყო და ნამდვილად დემოკრატიისა და „გრასრუთ“ თვითორგანიზების პრობლემა „ენჯეოებს“ ჰქონდათ. ასევე ის, რომ შენ „უცხო“ ხარ საზოგადოებისთვის, ის რაზეც მუშაობ, არ არის გასაგები და მისაღები ამ ხალხისთვის... უცხო სხეული ხარ და ვერ მოახერხე ხალხთან მუშაობა. გარდა იმისა, რომ ეს იყო ორგანიზებული პროცესი [„ქართული ოცნების“ მიერ]. მგონია, რომ ის სტრუქტურული და ისტორიული სისუსტეები რაც სექტორს ჰქონდა, ამ სუსტი წერილების გამოყენებაც ძალიან ეფექტურად მოხდა“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

კვლევის მონაწილეების მიერ გამოთქმული თვითკრიტიკა მოიცავს საკითხებს ქართულ სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის არსებული უთანასწორო და ასიმეტრიული გარემოს შესახებ, რაც რესურსებზე განსხვავებულ წვდომაში, ორგანიზაციების ადამიანური პოტენციალისა და ორგანიზაციული განვითარების შესაძლებლობების უთანასწორობაში გამოიხატება. კვლევის მონაწილეები ასევე ხაზს უსვამენ ქართული სამოქალაქო ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ნაწილის დღის წესრიგს, საქმიანობასა და საზოგადოებაში არსებულ საჭიროებებსა და წუხილებს შორის გარკვეულ აცდენაზე, რაც წლების მანძილზე იწვევდა გაუცხოებას სამოქალაქო სექტორსა და საზოგადოების დიდ ჯგუფებს შორის და რაც მოგვიანებით, ხელოვნურად იქნა განაყოფიერებული და გამოყენებული პროპაგანდის ამოცანებისთვის. კვლევის მონაწილეების ნაწილი ასევე საუბრობს ორგანიზაციების საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების, ფართო საზოგადოებასთან კავშირების შენების, მათთან მუშაობის ფორმების პრობლემურობაზე და საჯარო პოლიტიკაში საზოგადოების ფართო ჯგუფების ინტერესებისა და საჭიროებების წარმომადგენლობის დეფიციტზე.

> *„რა ისწავლა „ენჯეო“ სექტორმა პირველი დარტყმებიდან, ორი წელი გავიდა, სანამ „ფარამდე“ მივედით ჩვენ. არაფერი არ მომხდარა, არც გადაფასება...[ცალკეული ორგანიზაციების მიერ] არაეფექტიანი ხარჯვა, შინაარსისგან დაცლილი პოლიტიკის წარმოება და აშ. ეს არაეფექტურობა და არასწორი მიდგომები ძალიან დიდი პრობლემაა... ამაზე ადრე თუ გვიან მოგვიწევს საუბრის დაწყება“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*
>
> *„[სამოქალაქო სექტორი] ძალიან ფრაგმენტირებულია, კლასობრივია [კლასობრივად სეგმენტირებულია], თავისი სტრუქტურა აქვს და ეს დასანახია. [სექტორი] მეტ-ნაკლებად ელიტურია და ვიცით ის ნაკლოვანებები, რაც შეიძლება გვქონდეს და რაც მიემართება რესურსული ორგანიზაციების კრიტიკას... შიგნით მეგობრული კრიტიკა... არდანახვა ადგილობრივი ხმების, არასახვა ადგილობრივი რეალობების, არდაინტერესება ადგილობრივი გადაწყვეტების, ეს კრიტიკა სულ იყო. ამ კრიზისმა გამოავლინა ეს. მე მეგონა, ჩვენ შევძლებდით რაღაცა ტიპის განახლებას, მეგონა სექტორი მოახერხებდა დაენახა თავისი თავი სარკეში უკეთ. ამ შემთხვევაში „გრასრუთებს“ არ ვგულისხმობ, ვგულისხმობ ცენტში არსებულ რესურსულ ორგანიზაციებს, რომლებსაც რაღაცა ტიპის ამბიცია და პრეტენზია გააჩნიათ, რომ არიან ბევრად მცოდნენი და აშ. მათი საჭიროება არის ცალსახად*

დღეს, რომ ისინი უნდა გადარჩნენ და ამაზე ორი აზრი მე არ მაქვს. ის, რომ მათ არასდროს თვითკრიტიკას არ მიმართეს, ეს უბრალოდ დასანანია".

(ექსპერტული ინტერვიუ)

„ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ის ვთქვათ, რა შეიძლება ცოტა უკეთესად გაგვეკეთებინა, რომ ცოტა შეგვემსუბუქებინა ეს დიდი დარტყმა, თორემ ჩვენი ბრალი ნამდვილად არ არის ის, რაც ხდება...მთავარი საკითხი – ვის წინაშე არის ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია... გასაგებია, რომ ფინანსურად ანგარიშვალდებული ხარ დონორის წინაშე, მაგრამ რა არის შენი ლეგიტიმაციის წყარო...შენი ლეგიტიმაციის წყარო არის ის ხალხი, თემი, ადამიანთა ჯგუფი ვისთვისაც მუშაობ. შეიძლება 5 კაცის ლეგიტიმაცია გაქვს, ეს ლეგიტიმაცია შეიძლება იყოს ძალიან დიდი იყოს ან ძალიან პატარა, მაგრამ სადღაც ეს [ლეგიტიმაცია] ხომ უნდა იყოს. ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ჩვენი [სექტორის] ლეგიტიმაციის წყარო [არ იყო ის ხალხი] ვის წინაშეც სინამდვილეში ანგარიშვალდებული ვიყავით".

(ექსპერტული ინტერვიუ)

კვლევის მონაწილეების ნაწილი ქართული სამოქალაქო სექტორის ამ და სხვა გამოწვევებსა და სტრუქტურულ მახასიათებლებზე საუბარს კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიიჩნევს უკეთესი გამოსავლების ძიების პროცესისთვის. თუმცა, ნაწილისთვის დღეს არსებული კრიზისი და გადარჩენის დღის წესრიგი, არ ტოვებს თვითრეფლექსიის დროს და სივრცეს, მით უფრო, სამოქალაქო სექტორის მიერ გამოვლენილი უპრეცედენტო მობილიზებისა და წინააღმდეგობის გათვალისწინებით.

7.2. დონორი ორგანიზაციების როლი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გადარჩენის პროცესში

ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ადაპტაციისა თუ გადარჩენის შესაძლებლობები და სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად განსაზღვრა დონორი ორგანიზაციების როლმა, რასაც კვლევის მონაწილეების უმრავლესობა კრიტიკულად აფასებს. კვლევის მონაწილეების, მათ შორის, ექსპერტული ინტერვიუების ანალიზი აჩვენებს, რომ განვითარების მხარდაჭერის გაცემაზე პასუხისმგებელი მთავარი აქტორები, რომლებიც პა-

რალელურად საერთაშორისო პოლიტიკური აქტორებიც არიან, მოუმზადებლები შეხვდნენ ქვეყანაში შექმნილ მწვავე პოლიტიკურ ვითარებას, რომლის დღის წესრიგი ღიად მოიცავდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების განეიტრალების ამოცანებს. მეტიც, დონორმა ორგანიზაციებმა ერთწლიანი განგრძობადი პროცესის განმავლობაშიც ვერ შეძლეს კოორდინირებულად და ადეკვატურად ეპასუხათ არსებული ვითარებისთვის და მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანათ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც დემოკრატიული ძალების გადარჩენის პროცესში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების უმრავლესობის კრიტიკა დონორი ორგანიზაციების მხრიდან სამოქალაქო სექტორის წინაშე დამდგარი განჭვრეტადი კრიზისისთვის მოუმზადებლობას და კრიზისის მართვის სტრატეგიისა და შესაბამისი გეგმის არქონას უკავშირდება. ეს კრიტიკა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი და მწვავეა იმ დონორი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც საქართველოს გარდა, ჩვენს რეგიონში და იმ კონტექსტებშიც მუშაობენ, სადაც უკანასკნელი წლებია ავტორიტარიზმის კონსოლიდაციის პროცესები აქტიურად მიმდინარეობს, რის შესახებ ცოდნაც (როგორც პოლიტიკური კონტექსტის, ასევე განვითარების დახმარების მიწოდების შესახებ) სწორედ ამ დონორი ორგანიზაციების შიგნით უნდა იყოს აკუმულირებული. მეტიც, არსებობდა მოლოდინი, რომ ავტორიტარულ კონტექსტებში განვითარების დახმარების მიწოდებაზე პასუხისმგებელი დონორების ეს სპეციფიკური გამოცდილება, მნიშვნელოვან როლს შეასრულებდა ადგილზე განვითარების დახმარების ეფექტიანი, სწრაფი და კრიზისული განაწილების პროცესში, რაც მცირე გამონაკლისის გარდა, ასე არ მომხდარა.

კვლევა აჩვენებს, რომ დონორმა ორგანიზაციებმა ვერც კრიზისის დადგომის შემდეგ შეძლეს სათანადო ადაპტაცია და კრიზისის დაძლევის მიზნით ორგანიზებული და კოორდინირებული სამუშაო პროცესის წარმართვა. კვლევის არაერთი მონაწილე დონორ ორგანიზაციებს შორის ამგვარი აუცილებელი კოორდინაციის ნიშნებს დღემდე ვერ ხედავს. დონორების მხრიდან კრიზისზე სწრაფი რეაგირებისა, თუ კოორდინაციის საჭიროებების ჩავარდნას და ზოგად დეზორიენტირებას თან ახლდა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან სექტორის ადაპტაციისა და გადარჩენის ხედვის არარსებობაც. არსებულმა მოცემულობამ პროცესი ორმხრივად გათიშა და ეს თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებსა და მათ ინდივიდუალურ პარტნიორ ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის ინდივიდუალიზებული გადარჩენის გეგმებზე დაიყვანა, რამაც ასევე წაახალისა არა სექტორული, არამედ ინდივიდუალური გამოსავლები.

დონორი ორგანიზაციების მდგომარეობა რესპონდენტების მხრიდან ხშირად აღიწერება სიტყვებით როგორიცაა – „დაბნეულობა“, „მოუმზადებლობა“ და შედეგად, „მოლოდინის“ და „გაჩერების“ მდგომარეობაში გადასვლა. კვლევის მონაწილეების შეფასებით, დონორი ორგანიზაციებისთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა კრიზისის მასშტაბი, რომელსაც გამუდმებით აღრმავებდა ხელისუფლების ახალი დამანგრეველი ინიციატივები, რაც პარალიზებისა და მუდმივი გაურკვევლობის მდგომარეობას ქმნიდა და არ ტოვებდა არსებითი გადაწყობის სივრცეს. შედეგად, საწყის ეტაპზე დონორი ორგანიზაციების დიდი ნაწილის შემთხვევაში წამყვანი მიდგომა გაჩერების და მოლოდინის სტრატეგია აღმოჩნდა, რამაც სწრაფი და კრიზისული მოქმედების საკითხი გადაავადა და საბოლოოდ გაართულა ადგილობრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა ე.წ. „აგენტების კანონისა“ და „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებების გათვალისწინებით.

განვითარების დახმარების მიწოდების მოქნილი და კრიზისული ინსტრუმენტების შექმნასა და ამოქმედებას ხელი შეუშალა დონორი ორგანიზაციების შიდა ბიუროკრატიამ, რაც არაერთ შემთხვევაში გამოიყენებოდა აუცილებელი და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების გაცემის სირთულეების გასამართლებლად. კვლევის მონაწილეების შეფასებით, განსაკუთრებით პატარა ორგანიზაციების შემთხვევაში, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა უმეტესად მორალური განზომილებით შემოიფარგლებოდა და იშვიათად ითარგმნებოდა რეალურ მხარდაჭერაში. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში საგრანტო განაცხადების გამოცხადების გადავადებამ, სელექციის ბუნდოვანმა პროცესმა, მხოლოდ დაბალბიუჯეტიანი და მოკლევადიანი პროექტების დაფინანსებაზე სწორებამ, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორგანიზაციების სწრაფი დასუსტების პროცესში.

> *„დონორები, საერთოდ, ელოდებიან რაღაცას, მაგრამ თვითონაც არ იციან, რას“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

> *„ბოლოს უკვე დონორები თავს იკავებდნენ გრძელვადიან გრანტებზე და ურთიერთობაზე და ამბობდნენ, რომ არ ვიცით რა იქნება, ვნახოთ, შევხედოთ...ჩვენ აქეთ დაგვრჩა სისხლისსამართლის პასუხისმგებლობის რისკი, უსაფრთხოების რისკი და გრანტების არარსებობა და ფაქტიურად აღარაფერი უნდა [ორგანიზაციის] დასრულებას, როდესაც არც უსაფრთხოება არის, არც თანამშრომლობა არის და არც ფინანსები“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

დონორი ორგანიზაციების მიერ ფინანსური მხარდაჭერის თაობაზე პირდაპირი უარი არაერთი ორგანიზაციის მიერ საქმიანობის შეწყვეტისთვის ან გაჩერებისთვის გადამწყვეტ არგუმენტად იქცა, რამდენადაც ორგანიზაციების ხელმძღვანელებისთვის ცხადი გახდა, რომ საერთაშორისო ფონდების შესაძლო მხარდაჭერის და/ან არსებული რესურსების მოქნილად გამოყენების გარეშე ვერ შეძლებდნენ მოსალოდნელ ჯარიმებთან გამკლავებას.

> *„პატარა ორგანიზაციებს ამის რესურსი არ ჰქონდათ, არც ჯარიმის თანხის რესურსი. [ზოგიერთს] ბუღალტერიც არ ჰყავდა, საბუთები რომ მოეწესრიგებინათ. ადგილობრივ ორგანიზაციებს ამის რესურსი არ აღმოაჩნდათ. იხვეწებოდნენ, დონორებს ხვდებოდნენ რომ, აი, მე რომ დამაჯარიმონ, თქვენ თუ შეგეძლებათ რომ დამეხმაროთ, ან რაღაცა ეს ფინანსური... [ცრემლები ადგება და წყვეტს საუბარს]“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

ამ ნეგატიური საზიარო გამოცდილების საპირისპიროდ, ვხვდებით არაერთ ინდივიდუალურ შემთხვევას, უმეტესად დიდი და საშუალო ზომის ორგანიზაციების გამოცდილებებში. მათთან წლების მანძილზე მყარი კავშირებისა და ნდობის მქონე მხარდამჭერმა დონორმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ორგანიზაციების გადარჩენაში და მოქნილობის, რეალური მხარდაჭერისა და ინდივიდუალური მიდგომების გამოყენების კარგი მაგალითებიც აჩვენეს. მეტიც, იმ შემთხვევებში, როდესაც მცირე ზომის ორგანიზაციებმა შეძლეს ასეთი ინდივიდუალიზებული და მოქნილი მხარდაჭერის მიღება მათი პარტნიორი დონორი ორგანიზაციებისგან, სხვა სტრუქტურული და საკანონმდებლო გამოწვევების მიუხედავად, შეძლეს საქმიანობის გაგრძელება და ფუნქციონირების ახალი შესაძლებლობებისა და გზების ძიება. ასეთი გამოცდილებები მცირე ზომის ორგანიზაციების შემთხვევაში იყო გამონაკლისი/იშვიათი და ძირითადად უკავშირდებოდა თბილისში მოქმედ ორგანიზაციებს, მყარი ორგანიზაციული და პერსონალური კავშირებითა და უნარებით, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა ორგანიზაციულ საჭიროებებზე მორგებული მხარდაჭერის მოძიებისა თუ ორგანიზაციული ადაპტაციის პროცესში. ამდენად, დონორი ორგანიზაციების როლმა და მხარდაჭერამ გადამწყვეტი როლი ითამაშა იმ ორგანიზაციების შემთხვევაში, ვინც შეძლეს ასეთი მხარდაჭერის მობილიზება. ასევე გადამწყვეტი აღმოჩნდა დონორი ორგანიზაციების როლი იმ ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობაში, რომელთაც ასეთი მხარდაჭერის მობილიზება ვერ მოახერხეს.

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ორგანიზაციები, რომელთაც პარტნიორი დონორების მხრიდან უკანასკნელი წლებია ჰქონდათ ორგანიზაციული მხარდაჭერის რესურსები (ე.წ. core funding) ან შედარებით მდგრადი ფინანსური მხარდაჭერა, მეტად მოქნილები აღმოჩნდნენ საქმიანობების მოდიფიცირების, დღის წესრიგების ადაპტირებისა და გადარჩენის ახალი შესაძლებლობების ძიების კუთხით. ამდენად, ცხადია რომ რესურსულმა მოქნილობამ და სიმყარემ მნიშვნელოვნად გაზარდა ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობის პოტენციალი.

კვლევის მონაწილეების აზრით, დონორი ორგანიზაციების მხრიდან გადამწყვეტი იქნებოდა კრიზისის დაწყებისთანავე მისი სწრაფი აღიარება, კოორდინაცია და განვითარების მხარდაჭერის გაცემის მოქნილი ინფრასტრუქტურის დროულად შექმნა, რაც დაეფუძნებოდა არა საქმიანობის ეფექტიანობის, მიღწეული შედეგების მდგრადობისა თუ ანგარიშვალდებულების პრინციპებს (რაც განვითარების დახმარების კლასიკურ მოდელებში მნიშვნელობს), არამედ ორიენტირებული იქნებოდა კრიზისულ, მყისიერ და მოქნილ მხარდაჭერაზე, რასაც მხოლოდ ორგანიზაციების გადარჩენასა და სიცოცხლისუნარიანობის გახანგრძლივებაზე ექნებოდა სწორება. დონორი ორგანიზაციების პირველადი „ლოდინის სტრატეგია“ მეტ-ნაკლებად იცვლება 2025 წლის მარტი-აპრილის პერიოდში, როდესაც ცხადი ხდება რომ USAID-ის დახურვით გამოწვეული ფინანსური კრიზისი მასშტაბურია და მას ყველა ზომის ორგანიზაციაზე აქვს მნიშვნელოვანი გავლენა. ინტერვიუები აჩვენებს, რომ ამ კრიზისის გათვალისწინებით არსებული დონორი ორგანიზაციები აქტიურად იწყებენ ფინანსური მხარდაჭერის გაცემას პარტნიორ სამოქალაქო ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით დიდი ზომის უფლებადაცვით ორგანიზაციებზე, რომელთა არსებული თუ მოსალოდნელი კრიზისი ამ პერიოდისთვის ასევე ხელშესახები ხდება. ამავე პერიოდში, უკვე ნათელია, რომ მალე ძალაში შევა ახალი საკანონმდებლო ინიციატივა „გრანტების შესახებ კანონში“ ცვლილებების სახით, რომელიც უმოკლეს დროში ჩაკეტავს განვითარების დახმარების ტრადიციული გზებით დისტრიბუციის შესაძლებლობებს, რამაც სავარაუდოდ ასევე მოახდინა გავლენა დონორების მიერ რესურსების სწრაფი გაცემის გადაწყვეტილებაზე.

დონორი ორგანიზაციების კრიზისული ფინანსური მხარდაჭერის მოპოვება მეტად მოახერხეს შედარებით დიდმა და რესურსულმა ორგანიზაციებმა, რაც, შესაძლოა, რამდენიმე გარემოებით იყო განპირობებული. 2025 წლის მარტი-აპრილის პერიოდში როდესაც კრიზისული დახმარების გაცემის პროცესი შედარებით დაჩქარდა, მის მიღებას უმეტესად დიდი და საშუალო ზომის უფ-

ლებადაცვითი ორგანიზაციები ახერხებდნენ, რომლებიც, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ ფუნქციონირებდნენ და მუშაობდნენ იმ დროისთვის არსებულ მნიშვნელოვან უფლებრივ საკითხებზე – მათ შორის, მოქალაქეებისა და აქტივისტების მიმართ არასათანადო მოპყრობის, დევნისა თუ შევიწროების საქმეებზე და ასევე, რეპრესიული გარემოს გაძლიერების კვალდაკვალ მცირე ზომის (მათ შორის რეგიონული) ორგანიზაციებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან, სამართლებრივ მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ. პატარა და რეგიონული ორგანიზაციების დიდი ნაწილი უკვე აღარ ფუნქციონირებდა, დასუსტებული იყო ან ახალი საკანონმდებლო ინიციატივების გათვალისწინებით, ამ დროისთვის ნაკლებად ითხოვდა დახმარებას.

განვითარების დახმარების სექტორზე და დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტებზე და დღის წესრიგზე, მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია განვითარების დახმარების გლობალურ სცენაზე მიმდინარე ცვლილებებმა, განსაკუთრებულად კი ამერიკის მთავრობის გადაწყვეტილებამ USAID -ის დახურვის თაობაზე, რამაც არსებითად შეამცირა განვითარების დახმარების რესურსები და კიდევ უფრო დაავიწროვა დონორი ორგანიზაციებისთვის მოქმედების შესაძლებლობები. ინტერვიუები აჩვენებს, რომ განვითარების დახმარებისთვის აკუმულირებული რესურსი, USAID-ის დახურვით შექმნილი რესურსული დეფიციტის და სამოქალაქო სექტორში დამდგარი ზიანის ფონზე, უმეტესად დიდ და საშუალო ზომის ორგანიზაციებზე გადანაწილდა, რომლებიც ამ დროისთვის ფუნქციონირებდნენ და ასევე, სექტორისთვის და საზოგადოებრივი პროცესებისთვის კრიტიკული ინფრასტრუქტურის ფუნქციას ასრულებდნენ.

დამატებით, კვლევის მონაწილეები გამოყოფენ იმ სტრუქტურულ ფაქტორებს, რომელთა არსებობამ ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრა პატარა და უმეტესად რეგიონული ორგანიზაციების მედეგობა და სიცოცხლისუნარიანობა. კრიტიკის მთავარი ხაზი გულისხმობს განვითარების დახმარების უთანასწორო გადანაწილების პრობლემას, რაც უპირატესად განვითარების დახმარების დისტრიბუციაზე პასუხისმგებელ აქტორებს მიემართება. არსებით საკითხად მიიჩნევა შედარებით დიდ და საშუალო ორგანიზაციებსა და პატარა ორგანიზაციებს შორის არსებული მნიშვნელოვანი და გადაულახავი რესურსული (არამხოლოდ ფინანსური) ასიმეტრია, რაც ათწლეულების მანძილზე სამოქალაქო სექტორის უთანასწოროდ განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა. ეს სტრუქტურული მოცემულობა ყველაზე მწვავედ კრიზისის დროს გამოვლინდა და ავტომატურად გამიჯნა ერთმანეთისგან პატარა და შედარებით დიდი ორგანიზაციების გადარჩენის გზები და შესაძლებლობები.

„[რეგიონული ორგანიზაციები] ყოველთვის დიდი ორგანიზაციების მხარდამჭერები იყვნენ. რეგიონულების როლი იყო დახმარება და აშ. რეალური ავტონომია ადგილზე ამ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ, ან კოორდინატორები იყვნენ ან დამხმარე, [დონორებმა] „ქოდიფენდენთ“ ურთიერთობა შექმნეს ცენტრსა და ადგილს შორის. „დრაივერები“ არასდროს ესენი [რეგიონული ორგანიზაციები] არ იყვნენ პროექტის, ამიტომ ახლა არც რესურსები აქვთ, არც უნარები და არც შესაძლებლობები, ეს დივერსიფიცირება ვერასოდეს რეალურად ვერ მოხდა“.

(ექსპერტული ინტერვიუ)

„მთავარი პრობლემა იყო, რომ წლების განმავლობაში დონორების პოლიტიკა იყო მიმართული იმაზე, რომ ადგილობრივი ენჯეო სექტორი ყოფილიყო ხელები ან განმახორციელებლები და არა პოლიტიკის მაწარმოებლები ან რესურსის მქონე ორგანიზაციები. ჩვენ წლების განმავლობაში ყოველდღიური ზეწოლით მოვახერხეთ მოგვეპოვებინა ორგანიზაციის განვითარებაზე გრანტი“.

(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)

განვითარების დახმარების დღის წესრიგის მნიშვნელოვანი კრიტიკა ასევე მიემართება მიდგომებს, რის მიხედვითაც წლების მანძილზე არ იქმნებოდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობისათვის აუცილებელი ფიზიკური ინფრასტრუქტურა. კვლევა აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საკუთრებაში არსებულმა სამუშაო სივრცეებმა, მათი მედეგობის მნიშვნელოვანი საფუძვლები შექმნა. თუმცა, ამგვარი შემთხვევები გამონაკლისია, რამდენადაც სამოქალაქო სექტორისთვის ავტონომიური და სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ადგილობრივი ფიზიკური ინფრასტრუქტურის შექმნა არასდროს ყოფილა განვითარების დახმარების პრიორიტეტი, რაც დღეს განსაკუთრებულად დიდ შეცდომად მიიჩნევა. ფიზიკური სივრცეების არქონა და მის შესანარჩუნებლად ფინანსური რესურსების მუდმივი მობილიზება, ყოველთვის იყო ორგანიზაციების სისუსტის და სიმყიფის მთავარი მიზეზი (განსაკუთრებით პატარა და საშუალო ზომის ორგანიზაციებისთვის), რაც კრიზისის დროს მათი დიდი ნაწილისთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა. განვითარების დახმარების მნიშვნელოვანი რესურსები, რაც სივრცეების განვითარებას მიემართებოდა, ძირითადად ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მართვის ქვეშ არსებული საჯარო ინფრასტრუქტურების შექმნას მოხმარდა, საიდანაც დღეს სრულად არიან გამოდევნილნი საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

> *„ადგილებზე არ შექმნეს დამოუკიდებელი ინფრასტრუქტურა, დამოუკიდებლობის ინსტიტუციური გარანტიები არ შექმნეს... უფრო სახელმწიფოს აძლიერებდნენ. მომავალში ეს უნდა, რომ სახელმწიფოს კი არა, თემის გაძლიერებაში ჩაიდოს რესურსები“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

დონორების მიმართ მნიშვნელოვანი კრიტიკა მათ მიერ ხელისუფლებისადმი ლოიალურად გაწყობილი ე.წ. „გონგო“ ((GONGO) a government-organized non-governmental organization) ორგანიზაციების მიმართ მხარდაჭერის გაგრძელების საკითხს მიემართება. ამ საკითხმა მიმდინარე კრიზისის ფონზე მეტი სიმწვავე შეიძინა, განსაკუთრებით რეგიონული და სათემო ორგანიზაციებისთვის, რომელთაც უსამართლოდ მიაჩნიათ ის, რომ წინააღმდეგობაში მყოფ, განადგურების პირას მყოფი ორგანიზაციებისა და ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ ორგანიზაციების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომები არსებობს. ამ უკანასკნელ ჯგუფს მიკუთვნებული ორგანიზაციები, კვლევის მონაწილეების აზრით, მომავალ გაკონტროლებულ „სამოქალაქო საზოგადოებად“ წარმოუდგენია ხელისუფლებას, რომელთა დიდი ნაწილი ჯერ კიდევ სარგებლობს დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. რესპონდენტების აზრით, ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დადგება დღის წესრიგში და მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მიერ ცხადი პოლიტიკის და კრიტერიუმების შემუშავება იმ სუბიექტების იდენტიფიცირებისათვის, ვინც, შესაძლოა, დემოკრატიულ ძალად და განვითარების დახმარების მიმღებ სამოქალაქო/საჯარო ინტერესების მქონე ჯგუფად ჩაითვალოს. ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ორგანიზაციების მიმართ მიდგომების შემუშავების საკითხი, მნიშვნელოვან მღელვარებას იწვევს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შიგნითაც და ის ხშირად აჩენს მოთხოვნებს „სიცხადესა“ და მოვლენებისთვის „სახელის დარქმევაზე“. ასევე, მღელვარების საკითხია ურთიერთობებისა და მიდგომების შემუშავების აუცილებლობა იმ ორგანიზაციების მიმართ, ვინც ე.წ. „რუსული კანონის“ მოთხოვნების მიხედვით დარეგისტრირდნენ სპეციალურ რეესტრში. ხშირად, ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ორგანიზაციები და სპეციალურ რეესტრში რეგისტრირებულ ორგანიზაციები ერთგვაროვნად განიხილებიან. თუმცა, კვლევა აჩვენებს რომ არაერთი ორგანიზაციის შემთხვევაში რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება იძულებას გულისხმობდა და რეგისტრაციის ფაქტი ავტომატურად არ უნდა მიიჩნეოდეს ხელისუფლებისადმი ლოიალობის მაჩვენებლად.

საინტერესოა, რომ კვლევა ავლენს ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოოპტაციის გარკვეულ მცდელობებს, რაც, შესაძლოა, გამოიხატებოდეს ხელისუფლების მიერ 2025 წლის 15 აპრილს სსიპ სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს შექმნაში, რომლის საქმიანობის მთავარ მიზნად სახელმწიფოს გრანტის გაცემის გზით საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა და ხელშეწყობა განისაზღვრა. სახელმწიფო გრანტად კი განისაზღვრა სააგენტოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებიდან გაცემული ფულადი სახსრები, მთავრობის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო გრანტის გაცემის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად.[109] შექმნიდან რამდენიმე თვეში, 2025 წლის ივლისში სააგენტომ საგრანტო კონკურსი გამოაცხადა, რომლის შედეგადაც 17-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ 100 000 ლარამდე ოდენობის სახელმწიფო გრანტი მიიღო, ხოლო საერთო სახელმწიფო საგრანტო ბიუჯეტმა 1 657 775 შეადგინა.[110] სააგენტოს ფუნქციონირების მცირე ხანგრძლივობის, მისი მუშაობის მასშტაბისა და მოცულობის გათვალისწინებით, ამ დროისთვის ნაადრევია მსჯელობა ხელისუფლების მიზნებსა და მის რეალურ შედეგებზე. ასევე, კვლევა აჩვენებს რომ ამ დროისთვის კოოპტაცია, როგორც ადაპტაციის ერთგვარი ფორმა, არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი უმრავლესობის მიერ არჩეულ სტრატეგიას.

7.3. ხელისუფლების შესაძლო მიზნები და სექტორის მომავალი

კვლევის მონაწილეების დიდი უმრავლესობის მოსაზრებით, ხელისუფლების ძირითადი ამოცანა სამოქალაქო ორგანიზაციების განადგურებაა, რაც გულისხმობს იმ დემოკრატიული ძალის, ენერგიისა და პოტენციალის განეიტრალებას, რომელსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვს საზოგადოებრივ პროცესებზე და განსაკუთრებული როლის შეტანა შეუძლია დემოკრატიული პროცესების შენარჩუნებასა და მისთვის ბრძოლაში. რამდენადაც ჩანს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდი ნაწილის მოთვინიერება შეუძლებელია, მმართველი პარტიის მთავარ ამოცანად მათი დასუსტება და განადგურება იქცა. კვლევის მონაწილეების ნაწილი ასევე საუბრობს ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი ორგანიზაციების როლისა და ადგილის

109 საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 აპრილის დადგენილება №119 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე, მუხლი 2.1.

110 კომერსანტი, სსიპ – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებული მცირე გრანტების საჯარო კონკურსი დასრულდა, 2025.

გამკვეთრებაზე, განსაკუთრებით რეგიონებში, რომელთაც შესაძლოა მომავალში გარკვეულ პრივილეგიებზე წვდომა მიიღონ და ავტონომიური და დამოუკიდებელი სამოქალაქო სექტორის მოთვინიერებულ და გაკონტროლებულ ალტერნატივად იქცნენ.

კვლევის მონაწილეების ნაწილის აზრით, ხელისუფლების ამოცანა დიდი და რესურსული, უმეტესად დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების განეიტრალებაა და მცირე ზომის რეგიონული ორგანიზაციები ახალი კანონების ძალაში შესვლის შედეგად გამოწვეული ნგრევის პროცესში „მოყვნენ". თუმცა, წინამდებარე კვლევისთვის გაწეული საველე სამუშაო არ ადასტურებს ამ დაშვებას და საპირისპიროს ამტკიცებს. კვლევა აჩვენებს, რომ ხელისუფლებისთვის დიდი და რესურსული ორგანიზაციების განეიტრალების კვალდაკვალ, მნიშვნელოვანია შედარებით მცირე რეგიონული ორგანიზაციების სრული განეიტრალებაც. არაერთი ორგანიზაციის შემთხვევაში ჩანს ამ მიზნით გაწეული საგანგებო „ძალისხმევა", რამაც პატარა რეგიონული ორგანიზაციები დახურვის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. მეტიც, კვლევა აჩვენებს, რომ ხელისუფლებისთვის მიუღებელია და სურს გაანეიტრალოს სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების საქმიანობის ის მცირე ნაწილიც კი, რაც ე.წ. „ადვოკატირების" სამუშაოებს მოიცავს და რაც სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებს დარგის პოლიტიკასა და საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე გავლენის მქონე სუბიექტებად აქცევთ.

კვლევის მონაწილეების აზრით, ავტორიტარიზმისა და მისი გავლენების შეკავებისა და მასზე მყისიერ რეაგირებასთან დაკავშირებულ შრომასთან ერთად, რასაც ბოლო პერიოდში სამოქალაქო ორგანიზაციების საქმიანობის დიდი წილი მიემართა, მნიშვნელოვანია არ გაჩერდეს შიდა მხარდაჭერის, სოლიდარობისა და უსაფრთხო სივრცეების შენება, რაც დროის გასვლასთან ერთად სასიცოცხლო მნიშვნელობას შეიძენს. ამასთან, რეაქციულ შრომასთან ერთად მნიშვნელოვანია არ დაითმოს ახალი ცოდნის შექმნისა და პროაქტიული მოქმედებების ძალისხმევა, რის დრო და სივრცე, სამოქალაქო სივრცის შეკუმშვის კვალდაკვალ, უფრო და უფრო ვიწროვდება.

კვლევის მონაწილეების უმრავლესობის აზრით, უახლოეს მომავალში რთული და ფაქტობრივად შეუძლებელი გახდება ორგანიზაციული ფორმით მოქმედი, დამოუკიდებელი და ავტონომიური დღის წესრიგის მქონე საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებობა, რამდენადაც ამ ტიპის ორგანიზებისთვის აუცილებელი საარსებო გარემო უკვე განადგურებულია. მომავალში, საზოგადოებრივი სივრცეების შენარჩუნების ამოცანები შესაძლებელია მეტწილად

არაფორმალური, დეცენტრალიზებული და თვითორგანიზებული კავშირებისა და ქსელების ფორმით არსებობდეს. ამ ვითარებაში ასევე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს ადგილებზე წარმოქმნილი თვითორგანიზებული ინიციატივებისა და სოციალური მოძრაობების მნიშვნელობა, რომლებიც ბოლო წლებში განსაკუთრებულად დიდ როლს თამაშობდნენ ქართული სამოქალაქო საზოგადოების თვითორგანიზებული და არაფორმალური მოქმედების პრაქტიკების ჩამოყალიბებაში და რომელთა გამოცდილებასაც, შესაძლოა, დაეფუძნოს სრულიად ახალი ტიპის, შინაარსისა და მოქმედების ფორმების მქონე მოქნილი და თვითორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნა.

> *„უნდა შევთანხმდეთ, 2022-ში და 2023-ში უნდა შევთანხმებულიყავით, რომ ყველაფერი რაც არსებობდა, ყველაფერი უნდა დავივიწყოთ. „ანლერნინგი“ უნდა გავაკეთოთ მთლიანად პროცესის, რადგან აღარაფერი აღარ იქნება ისე, როგორც იყო...შევეცადოთ, ახლა არის მომენტი, რაიმე ახალი ფორმების და სივრცეების შექმნაზე“.*
>
> *(სამოქალაქო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

8. დასკვნა

კვლევა აჩვენებს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ ხელისუფლების პოლიტიკა, რაც დისკრედიტაციის, მტრული და გამრიყავი გარემოს შექმნის პარალელურად, ასევე მოიცავდა სტრუქტურულ რეფორმებს ფუნდამენტური საკანონმდებლო ცვლილებების სახითა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დევნისა და რეპრესიების არაერთ ინსტრუმენტს, მნიშვნელოვნად აისახა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე და უმეტეს შეთხვევაში განსაზღვრა მათი არსებობის საკითხი.

სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართ ამ დრომდე გამოყენებული პოლიტიკა მიზნად ისახავდა ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სრულ განეიტრალების, რაც ავტორიტარიზმის დამყარების გზაზე ხელისუფლების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა. კვლევა აჩვენებს, რომ ხელისუფლების ამოცანა საზოგადოებრივი სექტორის განეიტრალების მიზნით, მიემართებოდა ყველა ტიპის ორგანიზაციას საქმიანობის ფორმისა და ორგანიზაციის ზომის მიუხედავად. მეტიც, „ქართული ოცნების“ სტრუქტურული რეფორმების პირველი ერთგვარი „ბუნებრივი“ სამიზნეები აღმოჩნდნენ პატარა ზომის რეგიონული, უმეტესად სათემო ორგანიზაციები და ინიციატივები, რომელთა დიდმა ნაწილმა არსებობა შეწყვიტა ან მინიმალურად და შეცვლილი ფორმით აგრძელებენ საქმიანობას. ასევე ჩანს, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების დიდ ნაწილში ახალი შემზღუდავი კანონმდებლობები ამოქმედდა „მსუსხავი ეფექტის“ გავლით, რამდენადაც კანონებმა თვითაღსრულებისა და თვითშეზღუდვის გზით დაიწყო მოქმედება და მათი პირდაპირ აღსრულების გარეშე ორგანიზაციების დიდი ნაწილის მომავალი განსაზღვრა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დარტყმა იყო 2024 წელს ე.წ. „რუსული კანონის“ მიღება, რომელმაც ფაქტობრივად დაიწყო სექტორის დაზიანების შეუქცევადი პროცესი და განსაზღვრა პატარა და საშუალო ორგანიზაციების საქმიანობა და მათი არსებობის საკითხი.

კვლევა ავლენს რომ ხელისუფლების მიერ 2024-2025 წლებში გატარებული საკანონმდებლო ცვლილებებმა ე.წ. „რუსული კანონის“, ე.წ „აგენტების კანონისა“ და „გრანტების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის სახით, ფაქტობრივად სრულად შეზღუდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესაძლებლობები, რაც კანონების ამოქმედების პარალელურად მძიმედ აისახებოდა როგორც საშუალო, ასევე დიდი ზომის რესურსულ ორგანიზაციებზე და მათ ფუნქციონირებაზე ფუნდამენტურ გავლენას ახდენდა. თუმცა, კვლევა ასევე აჩვენებს, რომ სტრუქტურულმა რეფორმებმა ვერ შეძ-

ლო შედარებით ძლიერი და რესურსული ორგანიზაციების საქმიანობის სრული გაჩერება, რასაც 2025 წლის ზაფხულიდან „ქართული ოცნების“ მხრიდან კონკრეტული სამიზნე ორგანიზაციების მიმართ დევნისა და რეპრესირების ინდივიდუალური მექანიზმების ამოქმედება მოჰყვა. რეპრესირებისა და დევნის ეს ტალღები ე.წ „აგენტების შესახებ“ კანონისა და „გრანტების შესახებ“ ახალი რეგულაციების ფარგლებში დაწყებულ მონიტორინგებსა და ინსპექტირებებში გამოიხატა. ცალკეულ შემთხვევებში კი ორგანიზაციების მიმართ სისხლისსამართლებრივი გამოძიების ფარგლებში გამოყენებული ყადაღის (ასევე, ჩხრეკის) ღონისძიებებს მოიცავდა, რამაც ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა დევნის სამიზნე ორგანიზაციების არსებული ფორმით მუშაობა და საზოგადოებრივი და უფლებადაცვითი საქმიანობის კრიმინალიზების გამოცდილებები შექმნა.

შეცვლილ სამართლებრივ და პოლიტიკურ გარემოზე საპასუხოდ, ქართული სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოყენებულ ძირითადად სტრატეგიას წინააღმდეგობა წარმოადგენდა. ორგანიზაციების ნაწილმა, უმეტესად მცირე ზომის რეგიონულმა და სათემო ორგანიზაციებმა, პირველი შემზღუდავი კანონმდებლობის ამოქმედებისთანავე საქმიანობის შეწყვეტის და ორგანიზებული სამოქალაქო სივრციდან გასვლის გადაწყვეტილება მიიღო. ხოლო ნაწილმა არსებულ გარემოსთან იმგვარი ადაპტაცია სცადა, რაც შესაძლებელს გახდიდა დამოუკიდებელი და ავტონომიური საქმიანობის ნაწილის გადარჩენასა და გაგრძელებას. კვლევა ასევე აჩვენებს, რომ ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობის ტრაექტორიები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. კერძოდ, სხვადასხვა სტრუქტურულმა ფაქტორმა, როგორიცაა რესურსებზე არათანაბარი წვდომა, ორგანიზაციების სიდიდე, კავშირები და სხვა, არსებით განსაზღვრა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიცოცხლისუნარიანობისა და მედეგობის შესაძლებლობები.

ამ დრომდე, ნაკლებად იკვეთება ხელისუფლების მხრიდან სამოქალაქო ორგანიზაციების კოოპტაციის პოლიტიკა. თუმცა, ჩანს, რომ ორგანიზაციების მცირე ნაწილმა ხელისუფლებისადმი ლოიალობისა და არსებული კანონმდებლობის დაკმაყოფილების ლოგიკა აირჩია. კვლევა ასევე ავლენს, რომ ახალი შემზღუდავი კანონების დაკმაყოფილების ლოგიკა ორგანიზაციების ნაწილის შემთხვევაში, არა ლოიალობის არამედ ადაპტაციის ამოცანებით შეირჩა და უმეტესად საბაზისო სერვისების გადარჩენით იყო განპირობებული. ამ დრომდე, სხვა ორგანიზაციებთან შედარებით მცირეა არსებული გარემოს პირდაპირი და უშუალო ზეგავლენა სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე თუმცა, კვლევაში გამოკითხული ამ ტიპის ორგანიზაციების

დიდი ნაწილი მათი საქმიანობის არსებულ ზეგავლენაზე, ორგანიზაციული მომავლის ბუნდოვანებაზე და არსებითი დაზიანების რისკებზე უთითებს.

კვლევა აღწერს საზოგადოებრივი ორგანიზაციების გადარჩენისა და ადაპტაციის დაგვიანებულ პროცესს, რაც წინააღმდეგობის გამოცდილების საპირისპიროდ, ავლენს გადარჩენის/ადაპტაციის კოლექტიური პროცესის არარსებობასა და ორგანიზაციების გადარჩენის გზების ინდივიდუალიზებას. კვლევა ასევე მნიშვნელოვან გამოწვევად სახავს საქართველოში მოქმედი დონორი ორგანიზაციების უკიდურესად პრობლემურ როლს, რომელთაც კვლევის მონაწილეების დიდი უმრავლესობის შეფასებით ვერ გაართვეს თავი მათ წინაშე მდგარ მნიშვნელოვან ამოცანას, სწრაფად და ეფექტიანად დაეჭირათ მხარი განადგურების წინაშე მყოფი ქართული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, რომელთა დიდი ნაწილი დღეის მდგომარეობით აღარ ფუნქციონირებს ან მნიშვნელოვნად შემცირებული, შეცვლილი და ხშირად ბაზისური საქმიანობის შენარჩუნებისა და გადარჩენისთვის იბრძვის.

დანართი №1: ინტერვიუები რესპონდენტებთან

რესპონდენტი #	რესპონდენტის სტატუსი	ინტერვიუს ჩაწერის თარიღი
რესპონდენტი #1	ექსპერტი	18.07.2025
რესპონდენტი #2	ექსპერტი	18.07.2025
რესპონდენტი #3	ექსპერტი	05.08.2025
რესპონდენტი #4	ექსპერტი	13.08.2025
რესპონდენტი #5	ექსპერტი/საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	21. 08.2025
რესპონდენტი #6	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	21.07.2025
რესპონდენტი #7	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	30.07.2025
რესპონდენტი #8	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	31.07.2025
რესპონდენტი #9	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	31.07.2025
რესპონდენტი #10	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	31.07.2025
რესპონდენტი #11	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	02.08.2025
რესპონდენტი #12	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	07. 08.2025
რესპონდენტი #13	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	08.08.2025
რესპონდენტი #14	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	11.08.2025
რესპონდენტი #15	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	15.08.2025
რესპონდენტი #16	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	18.08.2025
რესპონდენტი #17	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	18.08.2025
რესპონდენტი #18	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	19.08.2025
რესპონდენტი #19	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	19.08.2025
რესპონდენტი #20	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	19.08.2025

რესპონდენტი #21	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	20.08.2025
რესპონდენტი #22	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	28.08.2025
რესპონდენტი #23	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	02.09.2025
რესპონდენტი #24	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	11.09.2025
რესპონდენტი #25	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	12.09.2025
რესპონდენტი #26	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	17.09.2025
რესპონდენტი #27	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	24.09.2025
რესპონდენტი #28	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	26.09.2025
რესპონდენტი #29	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	01.10.2025
რესპონდენტი #30	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	18.10.2025
რესპონდენტი #31	საზოგადოებრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი	31.10.2025

გამოყენებული წყაროები:

ადამიანის უფლებათა ცენტრი, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ მასშტაბური უკანონო ფარული მოსმენისა და თვალთვალის ფაქტების სამართლებრივი შეფასება, 2021.

ანტიკორუფციული ბიუროს ოფიციალური ვებგვერდი, უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი, 2025.

ევროპის ფონდი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების სიტუაციური ანალიზი (ანგარიშის მოკლე მიმოხილვა), 2016

ზედელაშვილი დ. საქართველოს დემოკრატიზაცია ავტორიტარიზმის ჩიხში. Gnomon Wise, 2024.

მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა და დეზინფორმაცია 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, 2024.

ნინო სამხარაძე, სცილა და ქარიბდა: ქართული სამოქალაქო საზოგადოება ავტორიტარიზმსა და გეოპოლიტიკურ ცვლილებებს შორის, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2025.

სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, სტატუსმეტრი 2.0 – როგორ მიდის საქართველო ევროკავშირის 9 ნაბიჯის შესრულებისკენ, 2024.

სსო მეტრი 2024: საქართველო ქვეყნის ანგარიში საანგარიშო პერიოდი: იანვარი – ნოემბერი 2024.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ადამიანის უფლებების კრიზისი საქართველოში 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ, 2024 წლის 28 ნოემბერი-2025 წლის 28 თებერვალი. 2025.

საქართველოს კანონი „უცხოეთის აგენტების რეგისტრაციის აქტი“ 02/04/2025.

საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, 03/06/2024.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ, 2022.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ, 2022.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 15 აპრილის დადგენილება №119 საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე.

საქართველოს სახალხო დამცველის 2024 წლის ანგარიში, საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2024.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოში რეგისტრირებულ და აქტიურ სუბიექტთა რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა და ზომების მიხედვით, 2025.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდი, უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ ორგანიზაციათა რეესტრი, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, რატომ ეწინააღმდეგება რუსული კანონი ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას და კანონის უზენაესობის პრინციპებს? 2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სოფო ზვიადაძე, „ეს წინააღმდეგობა იწყება გამარჯვებიდან“ – დაუსრულებელი პროტესტის კვლევის ჩანაწერები, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების ასახვა მმართველი პარტიის დისკურსში, 2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ხელისუფლება თანასწორობისა და გამოხატვის თავისუფლების წინააღმდეგ: ჰომოფობიური საკანონმდებლო ცვლილებების ვრცელი სამართლებრივი ანალიზი, 2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, FARA სამოქალაქო და მედია ორგანიზაციებზე არ ვრცელდება: FARA-ს გამოყენების პრაქტიკა აშშ-ში და მისი დამზღვევი კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტანდარტები, 2025.

Amnesty International, Georgia: Stop the bill „On transparency of foreign influence" that threatens civil society; 2024.

Bernard M, Edgell A.B., Lindberg S. I. Institutionalising Electoral Uncertainty and Authoritarian Regime Survival, European Journal of Poliitical Research, 2019.

Chimiak, G., Kravchenko, Z. & Pape, U. Civil Society and the Spread of Authoritarianism: Institutional Pressures and CSO Responses. Voluntas 35, 221–225, 2024.

Chulitskaya T., Belarusian Civil Society Inside and Outside of the Country, Stocholm Center for Easter European Studies, SCEEUS Guest Commentary, 2024.

Civil Society Institute, Civil Society Organizations' State Funding Reform Policy Paper, 2012.

C.Pruth and E. Zillén, Hope and Resistance Go Together, The State of Woman Human Rigths Defenders, The Kvinna till Kvinna Foundation, November 2023,

Dalan Fund. Growing Against All Odds: Mapping funding for intersectional organizing in the CEECCNA regions. 2025.

European Commission, COMMISSION STAFF WORKING DOCUMENT Georgia 2025 Report Accompanying the document COMMUNICATION FROM THE COMMISSION TO THE EUROPEAN PARLIAMENT, THE COUNCIL, THE EUROPEAN ECONOMIC AND SOCIAL COMMITTEE AND THE COMMITTEE OF THE REGIONS 2025 Communication on EU enlargement policy, Brussels, 4.11.2025.

EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW (VENICE COMMISSION), GEORGIA, URGENT OPINION ON THE LAW ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE issued on 21 May 2024 pursuant to Article 14a of the Venice Commission's Revised Rules of Procedure; CDL-PI(2024)013, 2024.

EUROPEAN COMMISSION FOR DEMOCRACY THROUGH LAW OF THE COUNCIL OF EUROPE (VENICE COMMISSION) GEORGIA OPINION ON THE LAW ON THE REGISTRATION OF FOREIGN AGENTS, THE AMENDMENTS TO THE LAW ON GRANTS AND OTHER LAWS RELATING TO „FOREIGN INFLUENCE" Adopted by the Venice Commission at its 144th Plenary Session (Venice, 9-10 October 2025), CDL-AD(2025)034.

European Council conclusions, 27 June 2024, pr.36.

European Council meeting (14 and 15 December 2023) – Conclusions, pr.16.

Europe Foundation, Situation Analysis of Civic Space in Georgia, 2023.

European Parliament, Association agreement between the EU and Georgia European implementation assessment (update), 2022.

European Parliament resolution of 25 April 2024 on attempts to reintroduce a foreign agent law in Georgia and its restrictions on civil society (2024/2703(RSP)), 2024.

European Parliament, 2023 and 2024 reports on Georgia European Parliament resolution of 9 July 2025 on the 2023 and 2024 Commission reports on Georgia (2025/2024(INI)), P10_TA(2025)0158.

EXPERT COUNCIL ON NGO LAW THE LAW OF GEORGIA ON TRANSPARENCY OF FOREIGN INFLUENCE An opinion adopted by the Expert Council on NGO Law of the Conference of INGOs of the Council of Europe; EXPERT COUNCIL ON NGO LAW CONF/EXP (2024).

EXPERT COUNCIL ON NGO LAW OPINION ON THE LAW OF GEORGIA „FOREIGN AGENTS REGISTRATION ACT" Adopted by the Expert Council on NGO Law of the Conference of INGOs of the Council of Europe.

Freedom House, FREEDOM IN THE WORLD 2025, The Uphill Battle to Safeguard Rights, 2025

Freedom House, NATIONS IN TRANSIT 2022, From Democratic Decline to Authoritarian Aggression, 2022.

Freedom House, NATIONS IN TRANSIT 2023, War Deepens a Regional Divide, 2023.

Gerő, M., Fejős, A., Kerényi, S., & Szikra, D. From Exclusion to Co-Optation: Political Opportunity Structures and Civil Society Responses in De-Democratising Hungary. Politics and Governance, 11(1), 2023.

H. Gutbrod, A Dozen Daggers: How Georgia's 2024 Elections Were Systematically Rigged, 2024.

Jaba Devdariani, As USAID Dies, Many of Georgia's „Vibrant" CSOs Face Extinction, GEOpolitics, 2025.

Levitsky, S. & Lucan A. W. Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War. Cambridge Univesrity Press, 2010.

L. Fix and C. Kapp, The Dangers of Democratic Backsliding in Georgia, Council on Foreign Relations, 2023.

Ph. Fluri & T. Pataraia, Democratic Backsliding and De-Democratization: How the Georgian Dream Party Eroded the Rule of Law, Undermined the Integrity of Independent State Institutions, and Consolidated Power, Connections QJ 23, no 4. 2004.

Schedler, A., ed. Electoral Authoritarianism: The Dynamics of Unfree Competition, Lynne Rienner Publishers, 2006.

S. Schiffers, The 2024 Elections in Georgia: descent into hegemonic authoritarianism, Heinrich Boell Foundation, South Caucasus Region, Tbilisi, 2024.

The Observatory for the Protection of Human Rights Defenders, Under Siege: How Georgia Is Dismantling Civil Society Findings from the Observatory for the Protection of Human Rights Defenders' Field Mission.

Torres-Adán, Á., & Buzogány, A. Democratic backsliding in the shadow of crises. How pandemics, war and democratic regression impact attitudes towards democracy in Georgia. Contemporary Politics, 2025.

V-DEM Institute, DEMOCRACY REPORT 2025, 25 Years of Autocratization – Democracy Trumped?,

Yabanci, B., Turkey's tamed civil society: Containment and appropriation under a competitive authoritarian regime, Journal of Civil Society, 15:4, 285-306, 2019.

გამოყენებული მედია წყაროები:

„ბათუმელები“, საია „უცხოეთის აგენტების აქტს“ საკონსტიტუციო სასამართლოში ასაჩივრებს, 2025.

„კომერსანტი“, სსიპ – სახელმწიფო გრანტის მართვის სააგენტოს მიერ გამოცხადებული მცირე გრანტების საჯარო კონკურსი დასრულდა, 2025.

„პუბლიკა“, „ამ პროცესების მთავარი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების განადგურების გეგმის გადაფარვაა“ – მიქელაძე „პირბადეების საქმეზე“, 2025.

„პუბლიკა“, პროკურატურა: ფონდების ანგარიშები დავაყადაღეთ „საბოტაჟზე“ მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, 2025.

„პუბლიკა“, როგორ ვერ მიიღეს რუსული კანონი, პროტესტის ქრონიკა, 2023.

„პუბლიკა“, ყადაღებისა და რეპრესიების მიუხედავად, ჯიუტად ვაგრძელებთ საქმიანობას და ბრძოლას – არასამთავრობოები, 2025.

„რადიო თავისუფლება“, ალეკო ცქიტიშვილი ჯერ ავტობუსიდან ჩამოიყვანეს, შემდეგ მისი ბინა გაჩხრიკეს, 2025.

„რადიო თავისუფლება“, „ვემსახურებით საქართველოს მოქალაქეების ინტერესებს“ – NGO-ებმა ანტიკორუფციულ ბიუროს უპასუხეს, 2025.

„რადიო თავისუფლება“, პარლამენტმა ლგბტ უფლებების შემზღუდავი კანონ-პროექტი მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო, 2024.

„რადიო თავისუფლება“, პროკურატურა გამოკითხვაზე იბარებს დაყადაღებული სამოქალაქო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, 2025.

„რადიო თავისუფლება“, „შეიძლება ფიზიკურადაც გაგვისწორდნენ“ – არასამთავრობოების ოფისებზე ისევ გაჩნდა მუქარის წარწერები, 2024.

„რადიო თავისუფლება“, შვიდი სამოქალაქო ორგანიზაციის საბანკო ანგარიშებს ყადაღა დაადეს, აგვისტო, 2025.

„რადიო თავისუფლება“, 400-ზე მეტი NGO და მედიასაშუალება: ე.წ. აგენტების კანონის მიღება შეუძლებელს გახდის ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნას, აპრილი, 2024.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, რუსული კანონის ჩაგდებამდე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა, აპრილი 2024.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, სტრასბურგის სასამართლომ დაარეგისტრირა საჩივარი ივანიშვილის ფარას და რეპრესიული კანონების წინააღმდეგ, 2025.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების გაუქმებისკენ მიმართული რეპრესიული წესები. 2025.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, ბენეფიციარების შესახებ ინფორმაციას ანტიკორუფციული ბიურო „სამართლიანი არჩევნებისგანაც” ითხოვს, 2025.

სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განცხადება, 2025.

სამოქალაქო საზოგადოების ფონდი, სამოქალაქო საზოგადოების ფონდის პასუხი ანტიკორუფციულ ბიუროს, 2025.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი (400 მდე საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთობლივი განცხადება). 2023.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, რუსული კანონის ჩაგდებამდე საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები ვაჩერებთ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას, 2024.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, საია საკონსტიტუციო სასამართლოს მოუწოდებს დროულად განიხილოს ,,გრანტების შესახებ“ კანონთან დაკავშირებით წარდგენილი საკონსტიტუციო სარჩელები და შეაჩეროს სადავო ნორმების მოქმედება, 2025.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ,,ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოების რეპრესიების ახალი ეტაპი 30-მდე ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის წინააღმდეგ დაიწყო, 2025.

საქართველოს ამბები, არ დავუშვებთ რუსული კანონის მიღებას – მედიასაშუალებები ე.წ. აგენტების კანონზე; 2024;

„ტაბულა“, პრემიერი 5 ივლისზე: ვინ იყო ორგანიზატორი ვიცით, ლგბტ ორგანიზაციის დირექტორი და სირცხვილია, 2022.

„ფორმულა“, ღარიბაშვილმა 5 ივლისს ძალადობა წაახალისა, პროვოცირებაში კი დღესაც აქტივისტებს ადანაშაულებს, 2022.

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, კიდევ ერთხელ ფაშისტური, ანტი-ლგბტ კანონის რეალური მიზნების შესახებ, 2024.

შიდა ქართლი საინფორმაციო ცენტრი. გორის მერია ,,ფოტოგრაფთა კლუბს'' შენობიდან აძევებს, 2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსულ კანონთან“ დაკავშირებით არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების საჩივარის განხილვა დაიწყო, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, გრანტების შესახებ კანონში გატარებული ცვლილებების მიზანია ქართული სამოქალაქო საზოგადოების განადგურება – შეფასება, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, საზოგადოებას ვაწვდით განახლებულ ინფორმაციას ორგანიზაციის წინააღმდეგ ანტიკორუფციულ ბიუროში მიმდინარე პროცესის შესახებ, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სოლიდარობა ქვიარ თემს – ფაშისტური კანონი უპირობოდ უნდა გაუქმდეს!, 2024.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება” სამოქალაქო საზოგადოებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის ფორმალურ შესაძლებლობასაც ართმევს, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართულმა ოცნებამ“ სამოქალაქო საზოგადოებისთვის დამანგრეველი კანონების გამოყენება უკვე დაიწყო, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „ქართული ოცნება“ აგრძელებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დევნას – სოციალური სამართლიანობის ცენტრი ანტიკორუფციულ ბიუროში გაგზავნილი წერილობითი განმარტების ტექსტს აქვეყნებს, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ფონდების დაყადაღება პროტესტის დასჯისა და სამოქალაქო ორგანიზაციების დევნის კიდევ ერთი აგრესიული მცდელობაა, 2025.

სოციალური სამართლიანობის ცენტრი, ხელმომწერი ორგანიზაციები ვაფასებთ „ლაბორის“ ოფისის ჩხრეკას და ვგმობთ დამოუკიდებელი პროფკავშირის დევნას, 2025.

Civil Georgia, საკონსტიტუციო სასამართლო „უცხოელი აგენტების” კანონს განიხილავს, 2024.

Civil Georgia, „ქართული ოცნება“ ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს დღის წესრიგიდან ხსნის“, 2024.

Civil Georgia, „ქართული ოცნების“ პარლამენტმა რიგი შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებები მესამე მოსმენით მიიღო, 2025.

Ipress, პროკურორი: თამთა მიქელაძე აქციების დროს გამოირჩეოდა აქტიურობით, აკეთებდა მოწოდებებს და პირდაპირ ამბობდა, რომ ბრძოლა უნდა ყოფილიყო სასტიკი. მას ფინანსური დახმარებაც აქვს გაწეული, 2025.

Amnesty International, The EU and its member states should take urgent, coordinated measures to respond to Georgia’s crackdown on civil society and human rights organisations, 2025.

Civil Georgia, „ქართული ოცნება“ ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს დღის წესრიგიდან ხსნის“, 2024.

Civil Georgia, EU Delegation: Georgian Gov't Received 11 Times More Financial Support from EU than CSOs, 2024.

Civil Georgia, Facebook Removes Hundreds of Georgia Govt Linked Pages for 'Coordinated Inauthentic Behavior', 2019.

Civil Society Forum, Battered but Resilient, Georgian Civil Society in the Context of the Law on „Transparency of Foreign Influence": an EaP CSF survey, 2024.

FIDH Internation Federation for Human Rights, Georgia: Tbilisi City Court freezes bank accounts of seven further leading civil society organisations amid unfounded investigations for „sabotage", 2025.

Front Line Defenders, Defamation and Intimidation Attacks against Human Rights Defenders in Georgia must be investigated, 2024.

New York Times, Trump Calls Directly for Closure of U.S.A.I.D., February, 2025.

OMCT, Georgia: Tbilisi City Court freezes bank accounts of seven further leading civil society organisations amid unfounded investigations for „sabotage", 2025.